# არსენალი

„კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №5 (10). მაისი. 2005. ფასი 1,5 ლარი



## ნიკოლოზ დადიანის ლაშქრობა ბალკანეთში

## როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს

1425/2
2005

## МиГ-29 „ჯიშიანი" გამანადგურებელი

## ბევრი რამ სისხლის შხამებზე

## ტანკების აფეთქება ქართველებს „გამოუგონიათ"

## გაისროლე და... მოისროლე

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს 19



ბრაზილიური „გაცოფებული ხარი“ 54



ნიკოლოზ დადიანი და შიპკის გმირული ეპოპეა 38

ცეცხლოვანი მუშტი“ ორფოლოში 6





ბევრი რამ სისხლის შხამებზე 14



პოინტერი — ამაყი და ლამაზი ძაღლთა მეფე 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

ახალი ამბები
4 მოკლე ინფორმაციები
პოლიგონზე
6 „ცეცხლოვანი მუშტი“
ინტერვიუ
8 „ქართულ ჯარში ახალი თაობა მოდის, მას აღარ აქვს რუსული ძალის შიში“
1941-1945
10 ტანკების აფეთქება ქართველებს „გამოუგონიათ“
სპეცსამსახურები
11 სპეცსამსახური ხელწერას არ ცვლის?!
14 ბევრი რამ სისხლის შხამებზე
მკითხველის გვერდი
16 გაისროლე და... მოისროლე
კონსულტაცია
18 სამხედრო ლექსიკონი
18 კვალიფიციური რჩევები
მკითხველის გვერდი
19 როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს
მეზობელთა ჯარისათ
22 უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები
იარაღი
25 МиГ-29 – „ჯიშიანი“ გამანადგურებელი
კომპანიონი
30 პოინტერი – ამაყი და ლამაზი ძაღლთა მეფე
ნადირობის მოყვარულთათვის
34 სამტრედე ანუ სასტენდო თოფები
37 ანკესზე ჩამოსაცმელი სატყუარა
მამლუქები
38 ნიკოლოზ დადიანი და შიპკის გმირული ეპოპეა
რჩევები
40 სუსტი სქესის უკეთ ამოსაცნობად...
41 როგორ გავუმკლავდეთ ბახუსს
ცეცხლოვანი სითხე
40 დიდი წყურვილი (დასასრული)
46 სახალისო სტატისტიკა
კროსვორდი
47 არსენალკვორდი
გადარჩენის სკოლა
48 ელიტური მებრძოლი
48 შხამიანი მწერები და პარაზიტები
49 რჩევები შაშხანიდან მსროლელს
სუპერმობილი
50 Land Rover Discovery 3
„არსენალის“ იარაღის მაღაზია
54 ბრაზილიური „გაცოფებული ხარი“

## რედაქტორის სვეტი

„არსენალის“ მორიგი ნომერი 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავს ემთხვევა...

მეორე მსოფლიო ომი ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და დაუნდობელი იყო. ოფიციალური მონაცემებით ამ ომმა 300 ათასზე მეტი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. სამწუხაროდ, არ არსებობს ზუსტი მონაცემები, რამდენი ქართველი მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მართალია, ისინი იმ ქვეყანას ებრძოდნენ, რომლის შემადგენლობაშიც საქართველო შედიოდა, მაგრამ გვჯერა, რომ მათაც საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობა სწყუროდათ და სწორედ ამ იდეისთვის იბრძოდნენ „სხვის ომში“. მართალია, ახლა დაღუპულებს ვერ დავაბრუნებთ, მაგრამ ხომ შეიძლება მათ ხსოვნასა და ცოცხლად გადარჩენილებზე ვიზრუნოთ. რა თქმა უნდა, ყოფილი წითელარმიელების უფლებების შეუბღალავად. თანაც, თანამედროვე ისტორიაში უკვე მსგავსი მაგალითებიც მოგვეპოვება...

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი“ და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, აკურის ქუჩა №8.
(სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
**email:**
**arsenali@kvirispalitra.com**
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრიტანელმა რიგითმა გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი ჯილდო მიიღო



აპრილის მიწურულს, ერაყიდან დაბრუნებულმა ბრიტანეთის სამხედრო ძალების რიგითმა ჯონსონ ბიჰერიმ დედოფალ ელისაბედ II-ის ხელით ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ჯილდო, ვიქტორიის ორდენის ჯვარი მიიღო. ბუკინგემის სასახლეში დაჯილდოებული ბიჰერი 1982 წლიდან მოყოლებული, ორდენის ერთადერთი კავალერია. ოცდასამი წლის წინ ამ ჯილდოთი ფოლკლენდის კუნძულებისთვის ომში თავდადებულ ბრიტანელებს აჯილდოებდნენ. ბიჰერიმ კი ორდენი ერაყში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ მან ერაყული კამპანიის დროს საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, ორჯერ გადაარჩინა თანამებრძოლები. მეორე შემთხვევის დროს ჯონსონი მძიმედ დაიჭრა და რამდენიმე თვე კომაშიც გაატარა. როგორც თავად ჯარისკაცი ამბობს, როდესაც მის მიერ ჩადენილი გმირობის ამბავს მოუყვნენ, თავადაც ვერ დაიჯერა, თუ ასეთი რამის გაკეთებას შეძლებდა. თუმცა, მაშინვე დააყოლა — ნებისმიერი ჭეშმარიტი ბრიტანელი, ალბათ, იმავეს გააკეთებდაო. რა თქმა უნდა, ჟურნალისტებმა დაწვრილებით გამოჰკითხეს დედოფალთან შეხვედრის ყველა ნიუანსი და რიგითიც სიამაყით ყვებოდა, თუ როგორ „დაუყვავა“ მას ელისაბედმა და შეახსენა, რომ ბრიტანეთის უმნიშვნელოვანეს ჯილდოს ძალიან იშვიათად თუ უწყალობებს ვინმეს...

# პენტაგონს ადამიანი-ობობა ეწვია

პენტაგონმა ძალიან საინტერესო სიახლე შემოიღო — ამერიკის სამხედრო უწყების თანამშრომელთა ოჯახებისთვის (მეტწილად შვილებისთვის) ღია კარის დღე გამოცხად-და. ეს ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ქვეყნის სამხედრო ძლიერებისთვის მომუშავე ადამიანების ნათესავებმა და ახლობლებმა გაიგონ, ქვეყნისთვის რამდენად მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ ისინი. სწორედ ამ ღონისძიებას მიესადაგა პოპულარული კომიქსების — „ადამიანი-ობობასა“ და „კაპიტან ამერიკას“ გმირების ვიზიტი პენტაგონში. ბევრს შეიძლება ეს თამაშად და ტინგიცობად მოეჩვენოს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ ეფექტს იქონიებს ბავშვებზე ის გარემოება, რომ მათი მამა „ადამიან-ობობას“ მხარდამხარ მუშაობს.




საერთოდ, ფსიქოლოგების აზრით, ჩვეულებრივ მოქალაქეებზე კარგად იმოქმედებს მათი საყვარელი დადებითი გმირებისა და პენტაგონის ერთმანეთთან დაკავშირება. მეორე მსოფლიო ომის დროს ხომ „კაპიტანი ამერიკა“ სპეც სამსახურების პოპულარიზაციას ეწეოდა და ფაქტობრივად, ამერიკის თავისუფლებისა და სამართლიანობის სიმბოლოდ იქცა.

# თეთრმა სახლმა „F-22“-ებს წყალობის თვალით გადახედა



აშშ-ის კონგრესთან გამართული ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ, პენტაგონმა მაინც გადაწყვიტა, ახალი გამანადგურებლების F/A-22 Raptor-ების შეძენა. საქმე ისაა, რომ კონგრესმენთა უმრავლესობა თვლიდა (არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ამ თვითმფრინავის დაგეგმილი (სსძ-ს მოთხოვნით 381 ერთეული) რაოდენობით შეძენა, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებს არ სჭირდებოდა, ვინაიდან უახლოეს მომავალში მისი რეალური კონკურენტი არც ერთ ქვეყანას არ ექნებოდა დედამიწის ზურგზე. ამიტომ 2008 წლისთვის მხოლოდ 179 თვითმფრინავის წარმოებას ეთანხმებოდნენ. თუმცა აპრილის ბოლოს პენტაგონის შესყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა უკვე მოაწერა ხელი დოკუმენტს, რომელიც თვითმფრინავების სრული პარტიის შესყიდვას გულისხმობს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაკვეთის შემსრულებელი კომპანია Lockheed Martin-ი დღესდღეობით წელიწადში ოცამდე გამანადგურებელს აგებს და მათივე განცხადებით, ჯერჯერობით წარმოების გაზრდის არანაირი საშუალება არ არსებობს.

# ახალი დეტექტორი ტერორისტების გამოსაჭერად



ამერიკელმა ტექნოლოგებმა ზემგრძნობიარე დეტექტორი შეიმუშავეს, რომელიც ფეთქებადი ნივთიერებების, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებისა და კამიკაძე-ტერორისტების დიდ მანძილზე აღმოჩენას უზრუნველყოფს. მისი ძალა, ფაქტობრივად, 30-ჯერ აღემატება დღესდღეობით არსებული ნებისმიერი მსგავსი აპარატურის შესაძლებლობებს. როგორც გავლენიანი ჟურნალი „ნეიჩური“ იტყობინება, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა შექმნეს განსაკუთრებული ორგანული, ნახევრად გამტარი პოლიმერი, რომელიც ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით ლაზერული სხივის მსგავს ნაწილაკების კონას ასხივებს. თუ გამოსხივების არეალში, გზად ტროტილის ნაწილაკები შეხვდება, გენერაციის პროცესი წყდება და სხივი ქრება. სწორედ ეს გახლავთ საგანგაშო სიგნალი... მეცნიერები თვლიან, რომ მათი გამოგონება მალე უმუშევრად დატოვებს კინოლოგიურ სამსახურს, რომელიც ტერორისტებს ძაღლების გამოყენებით ეძებს. ამას ისიც განაპირობებს, რომ ძაღლების მომზადება ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, თანაც, როგორც წესი, ოთხფეხა მეგობრების სამუშაო სტაჟი არცთუ ისე ხანგრძლივია.

# ამერიკელები ფულად სახსრებს ვერ აკონტროლებენ



აშშ-ის თავდაცვის უწყებაში სერიოზული პრობლემები შეიქმნა. კონგრესის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ ცხადყო, რომ ერაყისა და ავღანეთის კამპანიებისთვის, ასევე ტერორიზმთან ბრძოლისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი შეუძლებელია. კონგრესის საერთო-საბუღალტრო ანგარიშგების სამმართველოს ხელმძღვანელმა დევიდ უოლკერმა განაცხადა, რომ პენტაგონს არ გააჩნია არანაირი სქემა, რომლის დახმარებითაც შეიძლებოდა გარკვეულიყო, კონკრეტულად რაზე დაიხარჯა ათობით და ასობით მილიონი დოლარი. ამასთან ერთად, უოლკერი პენტაგონს არაკვალიფიციური მენეჯმენტის წარმოებაშიც ადანაშაულებს და თვლის, რომ ფუჭი ხარჯების გარდა მიზნობრივი დანახარჯების გაზრდა სწორედ სამხედრო ეკონომისტებისა და ხელმძღვანელობის დაბალი კვალიფიკაციის ბრალია. არადა, 2006 წლისთვის აშშ-ის სამხედრო უწყების ბიუჯეტი 420 მილიარდს მიუკაკუნებს და თუ დანაკარგი მეოთხედ პროცენტს მაინც მიაღწევს, ძნელი გამოსათვლელი არ არის, რამდენ ხანს ეყოფოდა ქართულ სამხედრო უწყებას ის თანხა, რასაც ამერიკელები „ტყუილად“ ხარჯავენ.

# 70%-იანი „ბრაკი“?!

როგორც ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის გამწვევი კომისიის წევრები აცხადებენ, უკანასკნელ ხანს წარმოებული სამხედრო გაწვევების დროს, სულ უფრო და უფრო მატულობს დაავადებული წვევამდელების რიცხვი. წელს სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგართა პროცენტულმა მონაცემმა სარეკორდოს – 70 პროცენტს მიაღწია. თანაც, ეს სიმულაციასთან არანაირად არ არის დაკავშირებული. წვევამდელთა ერთ მესამედს ისეთი ქრონიკული დაავადებები აღმოაჩნდა, რომლის შესახებაც მათ არასოდეს სმენიათ. ყოველ მეხუთეს დამატებით გამოკვლევებზე აგზავნიან და შემდეგ საავადმყოფოებში აწვენენ.



დაავადებათა ნუსხაში ფსიქიკური, ენდოკრინული, ნერვული და ძვლოვან-კუნთოვანი დაავადებები ჭარბობს. ხშირია დისტროფიის შემთხვევებიც, თუმცა, ეს დაავადება რუსულ ჯარში გაწვეულ ჯანმრთელ ახალგაზრდებსაც ხშირად ემართებათ.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# "ცეცხლოვანი მუშტი"

## ქართველმა არტილერისტებმა სროლით გული იჯერეს



წარმოიდგინეთ, როდესაც ერთდროულად ასზე მეტი მსხვილკალიბრიანი ჭურვი და რაკეტა ეცემა მოწინააღმდეგის პოზიციაზე...

თუმცა, ვისაც ეს თავისი თვალით არ უნახავს, წარმოდგენაც გაუჭირდება, არადა მასირებული საარტილერიო საცეცხლე მომზადება იმის წინაპირობაა, რომ შეტევაზე გადასულმა ქვეითებმა და ტანკისტებმა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგით დაიკავონ მოწინააღმდეგის პოზიციები.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოს არტილერისტებმა პირველად გაშალეს თავისუფლად მხრები, რადგან უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ამ მასშტაბის საარტილერიო სწავლება ორფოლოს პოლიგონზე არ გამართულა.

საარტილერიო ქვედანაყოფების საველე სწავლება ქვედანაყოფების შერწყმით,



კოდური სახელწოდებით „ცეცხლოვანი მუშტი-2005“ (ამ სახელწოდებაში ნამდვილად იგრძნობა ერაყში მებრძოლი ამერიკელი სამხედროებისთვის მიბაძვა), ქართული არმიის დღეს – 30 აპრილს დამთავრდა.

ერთთვიან საველე სწავლებაში 1300-მდე არტილერისტი მონაწილეობდა, როგორც საარტილერიო ბრიგადიდან, ისე ოთხივე ქვეითი ბრიგადის საარტილერიო დივიზიონიდან.

სხვადასხვა, როგორც დახურული (ანუ საიდანაც სამიზნე არ მოსჩანს), ისე ღია პოზიციებიდან, ერთმანეთს ზუსტ სროლაში ეჯიბრებოდნენ 11 მმ-კალიბრიანი B-30 თუ 152 მმ-კალიბრიანი МСТА-16 ჰაუბიცების გათვლები, 2С3 Акация-თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებს Бм-21 Град-ისა და КЬ-70-ის ეკიპაჟები...

სამეთაურო პუნქტზე საარტილერიო ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი მამუკა ფარეშიშვილი თავის ხელქვეითებთან ერთად ნერგავს საარტილერიო ცეცხლის მართვის ავტომატიზებულ სისტემას თანამედროვე კომპიუტერების საშუალებით, რაც აჩქარებს და აადვილებს ცეცხლის კორექტირებას. ეს, თამამად შეიძლება ითქვას, ახალი სიტყვაა ქართულ არტილერიაში, რაც, გარკვეულწილად 21-ე საუკუნის ომების წარმოების თანამედროვე მეთოდებთან გვაახლოებს.

საარტილერიო ბრიგადა თითქმის მთლიანად კონტრაქტით აყვანილი სამხედროებითაა დაკომპლექტებული, რამაც, წესით, მათ მიერ რთული საბრძოლო ტექნიკის პროფესიულ დონეზე ათვისება უნდა გააადვილოს.

ორფოლოს პოლიგონზე სწავლების ბოლო კვირა თავსხმა წვიმაში წარიმართა. საველე ბანაკი, ისევე როგორც არტილერისტთა პოზიციები, ძნელად გასავალი ტალახის მასას დაეფარა, რაც ძალზე აძნელებდა საცეცხლე პოზიციების გავლას. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი ექსტრემალური პირობები რეალურ საბრძოლო სიტუაციას უახლოვდებოდა.

არტილერისტების შემდეგ ორფოლოს პოლიგონს უკვე ტანკისტები დაიკავებენ, ხოლო შემოდგომისთვის აქ ისევ არტილერისტები დაბრუნდებიან. თუკი მართლაც ასე ინტენსიურად გაგრძელდა ქართული ჯარის საველე მომზადება, ეს წინაპირობა იქნება მთლიანად შეიარაღებული ძალების მზადყოფნისთვის – აღადგინოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

*ირაკლი ალადაშვილი*



ქართული БМ-21 „გრადების“ ზალპისთვის მზადება



თვითმავალი საარტილერიო დანადგარები 2С3М Акация ქართული არმიისთვის „ახალი ხილია“, მაგრამ — უკვე ჩინებულად ათვისებული...



კოკისპირული წვიმის მიუხედავად არტილერისტებს დაგეგმილი სწავლება ერთი წუთითაც არ შეუჩერებიათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*საქართველოს ახალგაზრდა თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან ინტერვიუ „არსენალმა“ კრწანისის პოლიგონზე, „კალაშნიკოვებიდან“ სროლის შეჯიბრებისას შეათანხმა.*

*საინტერესო იყო, ჩვენი ჟურნალის მკითხველს თავად თავდაცვის მინისტრისგან მოესმინა პასუხები იმ კითხვებზე, რაც მეტ-ნაკლებად აღელვებთ ქართული არმიის ოფიცრებს, ჯარისკაცებსა თუ მათი ოჯახის წევრებს.*

*ზოგიერთ საკითხში „არსენალი“ მთლად ვერ გაიზიარებს მინისტრის მოსაზრებებს, თუმცა ჩვენ ყოველგვარი კომენტარის გარეშე გთავაზობთ ამ ინტერვიუს.*



# „ქართულ ჯარში ახალი თაობა მოდის, მას აღარ აქვს რუსული ძალის შიში“

## „ჩემთვის მთავარია, პიროვნებას მართვის უნარი ჰქონდეს“

**— ბატონო მინისტრო, ბოლო ერთი წლის განმავლობაში თქვენ სამ სხვადასხვა სტრუქტურას ედექით სათავეში...**

— ერთი წლის განმავლობაში იმდენგან ვიმუშავე, უკვე მერევა სად წავიდე — პროკურატურაში, „მვდ“-სა თუ თავდაცვაში. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. შს მინისტრობისას ყოველდღე მირეკავდა რაიონული თუ ქალაქის სამმართველოს უფროსი — ჩემი და ან დედაჩემი დააყაჩაღესო. ყველაზე დიდი პრობლემა თბილისი იყო. რა თქმა უნდა, ასეთი რეჟიმით მუშაობა იოლი არ იყო, მაგრამ თავდაცვაში უფრო მძიმე ვითარება დამხვდა. აი, ხომ ხედავთ (თითებს გვაჩვენებს), ხელი დავილურჯე, მაგიდაზე ისე ვაბრახუნებდი.

ჯარში ახალი თაობა მოდის, რომელსაც ნაკლებად აქვს რუსული ძალის შიში და ასეთი ჯარი უფრო ეფექტური იქნება. დღესაც გვყავს ჯარში რამდენიმე ოფიცერი, რომელსაც არასწორი შეხედულებების გამო ჯარისკაცებთან იდეოლოგიური მუშაობა კატეგორიულად აკრძალული აქვთ.

**— საერთოდ, თუ არსებობს ჯარში პოლიტიკურ-იდეოლოგიური სამსახური?**

— არა, არ არსებობს, იდეოლოგიური სამსახური სპონტანურად ვარ მე, არის პრეზიდენტი და ა.შ. ეს, რა თქმა უნდა, კარგი არ არის, მაგრამ ჩვენ ხომ ჯარი საერთოდ არ გვყავდა.

**— რამდენად კოორდინირებულად თანამშრომლობენ თავდაცვის სამინისტრო და შსს? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ საზოგადოებაში მუსირებს აზრი, თითქოს თქვენ და მერაბიშვილი დაპირისპირებული ხართ.**

— ჩვენ პიროვნული დაპირისპირება რომც გვქონდეს, ეს უწყებებს შორის დაპირისპირებაში (თანაც მე არასოდეს არავის დავუპირისპირდები და არც საამისო გარემოებებს შევქმნი) არასოდეს გადაიზრდება. მაგალითს მოგიყვანთ, დათო სიხარულიძე მე არ მომიყვანია მოადგილედ და ლევან ნიკოლეიშვილი თავდაცვაში მოსვლამდე ვანო მერაბიშვილის მოადგილე იყო. ახლა, როდესაც სადმე მივდივარ, ლევან ნიკოლეიშვილს ვეუბნები „შენ ხარ სტრუქტურის ბატონ-პატრონი-მეთქი“. ამ ადამიანებს დღესაც ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ „მვდ“-ს თანამშრომლებთან, ისევე როგორც მე.

**— სულ ოქრუაშვილისა და მერაბიშვილის კადრებზე ლაპარაკობენ.**

— ეს ჩვენი საზოგადოების ვიწრო აზროვნებაზე მეტყველებს. ზოგს ჰგონია, მერაბიშვილს თუ მივეკედლები, ძალაუფლებისკენ ხელ-ფეხი გამეხსნებაო, ზოგი ფიქრობს, დღეს თუ ოქრუაშვილის „დალზევების“ ხანა დაიწყო, მის გუნდში ყოფნა ფასეული აღარ არისო. ამას წინათ ერთი ჩემი მეგობარი მოვიდა და მითხრა — გორის პოლიციიდან ხალხი იმის გამო გაუშვეს, რომ ოქრუაშვილის კადრები ხართო. არ მჯერა ამის, რადგან ვიცი, რომ ასეთი ტენდენცია მერაბიშვილისა და მისი ხელქვეითებისგან არ მოდის, თანაც გორის პოლიციაში არ არის ისეთი ხალხი (ხელმძღვანელს ვგულისხმობ), რომელსაც ვინმე იმის თქმას გაუბედავდა — ოქრუაშვილის კადრი რომ ხარ, იმიტომ გიშვებო.

**— რა არის ყველაზე დიდი პრობლემა თავდაცვის სამინისტროში?**

— პრობლემა ის არის, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს სისტემა და ყველაფერი პიროვნებებზეა დამოკიდებული. ჯარი რომ ვარბენინო, ჩემი საქმე არ არის, მაგრამ მიწევს ამის გაკეთება. ხშირად მესმის კრიტიკა, უნდა დარბოდეს თუ არა ჯარისკაცი წელს ზემოთ შიშველი, უნდა გვყავდეს თუ არა ამდენი ტანკი და ამხელა ჯარი. ეს კითხვები აბსურდულად მეჩვენება დღეს, იმიტომ, რომ ჩვენ თავმოყვარეობაშელახული ქვეყანა ვართ, რომელსაც ტერიტორიების 1/3 დაკარგული აქვს. პრობლემაა ისიც, რომ ყველას არა აქვს გაცნობიერებული, რომ ჯარში სამსახური იდეოლოგიური ვალდებულებაა. ჯარში ისევ არსებობს სოციალური უთა-

ქართული ბიბლიოთეკა

ნასწორობა, კუთხური დაპირისპირება. აქ მოდიან ქურდული ტრადიციების მიმდევარი ახალგაზრდები. ორხევში ყოფნისასაც იმიტომ ვუბრძანე ჯარისკაცებს წელს ზემოთ გახდა, რომ მაინტერესებდა სვირინგი თუ ჰქონდათ. მეგონა ამ მხრივ ქუთაისელებისგან იქნებოდა პრობლემა, მაგრამ ზუგდიდელებმა „აჯობეს“.

**— რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტთან ზურაბ ჟვანიას, გია ბარამიძისა და თქვენს შეხვედრას ათასი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ვის გაუბრაზდა მაშინ პრეზიდენტი?**

– მაშინ პრეზიდენტთან ვისაუბრეთ და ვთქვი, გია ბარამიძის წინააღმდეგ არ ვმოქმედებ, უბრალოდ, ვლაპარაკობ იმ რეალობაზე, რაც არსებობს-მეთქი. მე მქონდა ჩემი შეხედულება, რომელიც სამხედრო ნაწილებში ერთკვირიანი სიარულისას ჩამოყალიბდა და ის არ დამიმალავს. მეტს აღარაფერს ვიტყვი, რათა მერე აღარ თქვან – ოქრუაშვილმა პროკურორის მანტია ვერ მოიცილაო.

**— თქვენ ახალ კადრებზე აკეთებთ აქცენტს, რამდენიმე ბატალიონის მეთაური დაანინაურეთ, თავდაცვაშიც მოდიან სამოქალაქო პირები, რომელთაც სათანადო ცოდნა არა აქვთ. ეს რამდენად სწორი მიდგომაა?**

– ჩემთვის მთავარია, პიროვნებას მართვის უნარი ჰქონდეს, აქ უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა ის ბატალიონს მართავს თუ ბრიგადას. შესაძლოა ჩემ მიერ მიღებული რომელიმე საკადრო გადაწყვეტილება არასწორია და ზოგისთვის ამდენი ნდობა არ უნდა გამომეცხადებინა, მაგრამ მე არ ვიზიარებ თეორიას, რომ ბატალიონის მეთაური არ შეიძლება ბრიგადის კარგი მეთაური იყოს. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ყოველთვის პატარა ჯარი გვეყოლება. აქ არ შეიძლება ისეთი კრიტერიუმებით მიდგომა, როგორც ეს რუსეთის ან აშშ-ის ჯარშია, სადაც ჩვენხელა ერთი პოლკი ჰყავთ.

**— მაგრამ იერარქია ხომ უნდა იყოს ჯარში. ლეიტენანტმა ხომ უნდა იფიქროს — თუ კარგად ვიმსახურებ, უფროსი ლეიტენანტი გავხდებიო.**

– ამ თეორიას ჯარში გენშტაბის ყოფილი უფროსი ვახტანგ კაპანაძე ნერგავდა და ეს კაცი ამიტომაც დავითხოვე. ის მავნებლურად ნერგავდა ამ თეორიას და ამბობდა – ბრიგადის მეთაურები: ბალახაძე, ოსეფაიშვილი, გოგავა, ჩხაიძე თანამდებობისთვის შეუფერებელნი არიანო და გამიზნულად უკლავდა ამ ხალხს სტიმულს. ოსეფაიშვილი, რომელსაც ყველაზე მეტად იწუნებდა კაპანაძე, დღეს საუკეთესო ბრიგადის მეთაურია.

**— რას იტყვით სამხედრო დაზვერვის საქმიანობაზე. ვიცი, რომ დეპარტამენტში სერიოზულად შემცირდა ხალხი და 500-დან 50 კაცზე ოდნავ მეტი დარჩა.**

– სამხედრო დაზვერვა გარკვეულწილად ეფექტურია, მათი საქმიანობა აქამდე არ მომწონდა, რადგანაც ზოგჯერ ინტერნეტიდან ამოღებული მასალების დასკვნებს მაძლევდნენ. სამხედრო დაზვერვა ინფორმაციის მოპოვებითა და ანალიტიკური საქმიანობით უნდა იყოს დაკავებული.

**— ცალკეული სადაზვერვო ბატალიონის შექმნას ხომ არ აპირებთ?**

– ამაზე არ მიფიქრია.

**— რამდენად ეფექტურია რეზერვისტების მომზადების პროგრამა?**

– არ ვიცი, ვის როგორ წარმოუდგენია რეზერვისტების ფუნქცია, მაგრამ დღესდღეობით ისინი მზადდებიან იმ მოთხოვნებისა და ამოცანების შესაბამისად, რომლებსაც მათ ვუსახავთ. ხშირად, როდესაც რეზერვისტების კრიტიკა მესმის, ვამბობ – გაიხსენეთ, როგორი ჯარი გვყავდა აფხაზეთის ომის დროს-მეთქი. ჯარს ჩვენი რეზერვისტების დისციპლინის 2/3-იც არ ჰქონდა.

**— სპეციალობის მიხედვით როდის დაიწყება რეზერვისტების მომზადება?**

– თუ ინვესტიცია ჩაიდება ტანკისტის, არტილერისტის ან მფრინავის მომზადებისთვის – ეს გრძელვადიანი ინვესტიცია უნდა იყოს. მირჩევნია იმ ბრიგადაში, რომელიც წვევამდელებით არის დაკომპლექტებული, ასეთი სპეციალისტები საკონტრაქტოები გვყავდეს – ანუ შერეული ბრიგადები იყოს. ტანკისტს, არტილერისტს ჩვენ მეტ სტიმულს უნდა ვაძლევდეთ, ვიდრე წვევამდელს. ამ პროფესიის ადამიანებს ჯარში გრძელვადიანი დარჩენისთვის დაინტერესება უნდა ჰქონდეთ, არ შეიძლება 300-ათასიანი ან მილიონიანი ტანკი ანდო ადამიანს, რომელსაც ორი კვირა აქვს დარჩენილი სამხედრო სამსახურის დასრულებამდე.

**— რა მნიშვნელობას ანიჭებთ სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციას და რამდენად მომგებიანია ეს ჩვენთვის?**

– ყველაზე ნაკლებ ყურადღებას მაგას ვაქცევ, რადგან ამ პროგრამას ამერიკული მხარე წარმატებით უძღვება.

**— ჩნდება კითხვა — რა დანიშნულება ექნება საგურამოს ბატალიონს?**

– მას ისეთივე დანიშნულება ექნება, როგორიც სხვებს. ეს არ იქნება ბატალიონი სხვა ბატალიონების დასასჯელად. მაგისთვის სხვა ბატალიონი იქნება.

**— სამხედრო პოლიცია?**

– პოლიცია როგორ შეიძლება ჯარისთვის დამსჯელ ინსტრუმენტად იქცეს? ჩემი მინისტრობისას პოლიცია ჯარისთვის დამსჯელი ინსტრუმენტი ვერასდროს გახდება. რაკი პოლიციაზე გადავედით, გეტყვით, რომ ამ უწყებას ექნება გამოძიების, მოკვლევის და სხვა ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღმოფხვრის ფუნქციები.

**— ბატონო ირაკლი, იარაღი თუ გიყვართ?**

– ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როდესაც სანადიროდ წამიყვანეს. 5-6 წელია უკვე დამოუკიდებლად ვნადირობ ჩემს „კუტოკთან“ ერთად, სადაც მოხვედრა ძალიან ძნელია. ყველაფერზე მიყვარს ნადირობა, მაგრამ განსაკუთრებით ფრინველზე, ძირითადად, იხვზე ვნადირობ ხოლმე. „ჰაი კლასის“ თოფები არ მიყვარს, იმიტომ, რომ ტალახში სიარულის შემდეგ (ამის გარეშე კი ნადირობა არ არსებობს) კარგი გაწმენდა სჭირდება, ეს კი მეზარება ხოლმე. ფრინველზე „ბრაუნინგს“ ვხმარობ 12-კალიბრიანი ტყვიებით. „იჟი“ მქონდა და მასზე უფრო ვიყავი შეჩვეული. ნათქვამია, მონადირემ თოფი არ უნდა შეიცვალოსო, მაგრამ „იჟთან“ ერთად ბოლო დროს „ბრაუნინგსაც“ მივეჩვიე. პისტოლეტებიდან კი „ვალტერი“ P99 მიყვარს. ამას წინათ ყუმბარმტყორცნი გავისროლე და ყურის ნერვი დავიზიანე, მაგრამ არაფერია...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტანკების აფეთქება ქართველებს „გამოუგონიათ“

წელს, 9 მაისს 60 წელი სრულდება, რაც მეორე მსოფლიო ომი ოფიციალურად დასრულებულად გამოცხადდა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღნიშნავენ ამ დღეს, როგორც ფაშიზმზე გამარჯვების დღესასწაულს.



მებრძოლები ყველა ღონეს ხმარობდნენ კუმულატიური იარაღისგან ტანკების დასაცავად. ფოტოზე: ქვიშის ტომრებითა და რკინის დეტალებით „გაძლიერებული“ ტანკი

*ამაზე ძალიან ცოტას ლაპარაკობენ, მაგრამ სამწუხაროდ, ქართველები ამ ომში ფრონტის ორივე მხარეს იბრძოდნენ. ახლა არც ჩვენ მოვყვებით იმის გარჩევას, თუ ვინ ვის ომში იბრძოდა და რისთვის სწირავდა თავს. ვფიქრობთ, რადგან ასე აკეთებდნენ, ე.ი. ეს სწორად და სამართლიანად მიაჩნდათ და მოდით მათ ხსოვნას პატივი მივაგოთ, ცოცხლებს კი დარჩენილი წლები შეძლებისდაგვარად გავულამაზოთ. მათ ხომ საშინელი დრო გამოიარეს. მით უფრო საამაყოა ის გარემოება, რომ არც ერთ მნიშვნელოვან ბრძოლასა თუ გამარჯვებას ქართველების გარეშე არ ჩაუვლია და ჩვენი თანამემამულენი ყოველთვის ღირსეულად წარმოაჩენდნენ საკუთარ სამშობლოს. ამჯერადაც ასეთ ქართველზე გვინდა მოგითხროთ. ბევრმა უკვე იცის ბალისტიკური რაკეტების შემქმნელის ნადირაძის თუ ამერიკული რეაქტიული გამანადგურებლების კონსტრუქტორის ქართველიშვილის შესახებ, თუმცა ზოგჯერ ისტორიულ დოკუმენტებში სრულიად უცნობ, ჩვენს თანამემამულე იარაღის დამამზადებლებსაც წავაწყდებით.*

რუსეთის არმიის ერთმა ჩვეულებრივმა ოფიცერმა, შტაბს-კაპიტანმა მგებროვმა ჯერ კიდევ 1914 წელს შექმნა იარაღი, რომლითაც ჯავშანსამიზნეების განადგურებას აპირებდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ I მსოფლიო ომის ფრონტზე ინგლისელებს ჯერ კიდევ არ გამოეყვანათ თავიანთი „საოცარი იარაღი“ – ტანკები. შტაბს-კაპიტან მგებროვის, რომლის ნამდვილი გვარი მღებრიშვილი იყო, შაშხანის ხელყუმბარა ხვრეტდა იმ დროისათვის არსებულ ნებისმიერ ჯავშანავტომობილს. ყუმბარა ჩამოცმული იყო შაშხანის ლულის ბოლოზე, ხოლო გასროლა ფუჭი ვაზნით ხდებოდა – გასროლისას წარმოქმნილი აირის წნევა ყუმბარას ასიოდე მეტრში ისროდა.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი თანამემამულე პიონერი აღმოჩნდა იმ სამხედრო საქმისა, რომელიც მოგვიანებით ყველა ქვეყნის არმიის სწავლებაში შევიდა – ქვეითთა ბრძოლა მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის გასანადგურებლად.

II მსოფლიო ომის დასაწყისში საბჭოთა არმიას აკლდა ჯავშანსაწინააღმდეგო იარაღი და ვერმახტის ტანკები თითქმის დაუბრკოლებლად მიიწევდნენ მოსკოვისკენ. არმიის შესაიარაღებლად საბჭოთა კონსტრუქტორები ათასნაირ ხერხს მიმართავდნენ – ბოთლებში ასხამდნენ აალებად სითხეს, რომელსაც მოფერებით „მოლოტოვის კოქტეილს“ ეძახდნენ და მსხვილკალიბრიან ჰაუბიცებსაც ამზადებდნენ.

გერმანელების ზურგში დარჩენილ საბჭოთა პარტიზანებს არ ჰქონდათ საშუალება, ეფექტური ტანკსაწინააღმდეგო იარაღი მიეღოთ „დიდი მიწიდან“, ამიტომაც თვითონ იგონებდნენ ვერმახტის ჯავშანტექნიკის გასანადგურებელ საშუალებებს.

1943 წელს ბელორუსიის ტყეებში პარტიზანები ინტენსიურად ესხმოდნენ თავს გერმანელების ავტოკოლონებს და ანადგურებდნენ მათ. უმეტესად პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებითა და შაშხანებით შეიარაღებული პარტიზანების მოსაგერიებლად და გასანადგურებლად გერმანელებმა ჯავშანტექნიკის გამოყენება დაიწყეს. გერმანული მსუბუქი ტანკები, რომლებიც ფრონტზე აღარ გამოდგებოდა, ზურგში, პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად გადაისროლეს, ხოლო ფრონტზე იმ დროისათვის თანამედროვე „ვეფხვები“ და „ავაზები“ გაგზავნეს. ამის მიუხედავად, პარტიზანებს ამან ხელი ვერაფერში შეუშალა, პირიქით – SS-ის სადამსჯელო რაზმების მსუბუქი ტანკები მათთვის იოლი ლუკმა გახდა. გერმანელებმა აგენტურა აამუშავეს და აბვერმა ასეთი ინფორმაცია მიიღო – თურმე მინსკის პარტიზანულ შენაერთში ერთი „მარჯვე ოსტატი“, გვარად შავგულიძე გამოჩენილა, რომლის დამზადებული იარაღითაც პარტიზანები შორი მანძილიდან აფეთქებდნენ გერმანულ მსუბუქ ტანკებსა და ჯავშანმანქანებს.

შავგულიძის ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი შაშხანა იყო. მას ლულის ბოლოში ქართველმა პარტიზანმა ერთგვარი მორტირი

ნადირაძის ყუმბარსატყორცნი 122 მმ კალიბრის რეაქტიულ ჭურვებს ისროდა



პარტიზან შავგულიძის შაშხანა-ყუმბარსატყორცნი



ეროვნული ბიბლიოთეკა

(საარტილერიო იარაღის სახეობა) დაუყენა. მორტირი 45 მმ-იანი ჭურვის ჰილზისგან დაამზადა, ხოლო მასში საკუთარი კონსტრუქციის ყუმბარა ჩადო. გასროლა აქაც ფუჭი ტყვიით ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ შავგულიძემ შექმნა როგორც ჯავშანგამტანი, ისე მსხვრევადფუგასური ყუმბარა. მათი საშუალებით მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის აფეთქებაც შეიძლებოდა და ცოცხალი ძალის განადგურებაც. სხვათა შორის, 40 წლის წინ გამოშვებული საქვეყნოდ ცნობილი საბჭოთა ყუმბარსატყორცნი РПГ-7 მხოლოდ ტანკსაწინააღმდეგო კუმულატიურ ჭურვებს ისროდა და რუსმა კონსტრუქტორებმა მისთვის მხოლოდ რამდენიმე წლის წინ შექმნეს ქვეითსაწინააღმდეგო ჭურვი.

ქართველი „ხელმარჯვე ოსტატის“ ტანკსაწინააღმდეგო იარაღს ოფიციალურად ПРГШ – შავგულიძის პარტიზანული შაშხანა-ყუმბარსატყორცნი ეწოდებოდა. იგი დაცულია მუზეუმში, როგორც ორიგინალური იარაღის სახეობა.

ცნობილი საბჭოთა კონსტრუქტორი ალექსანდრე ნადირაძე სანამ ბალისტიკური რაკეტების შექმნას დაიწყებდა, მანამდე II მსოფლიო ომის დროს ტანკსაწინააღმდეგო იარაღის კონსტრუირებით იყო დაკავებული. 1944 წელს ნადირაძე სათავეში ჩაუდგა იმ ინჟინრებს, რომლებსაც გაძლიერებულჯავშნიანი გერმანული „ვეფხვების“, „ავაზების“ და „ფერდინანდების“ საწინააღმდეგო იარაღი უნდა შეექმნათ. ალექსანდრე ნადირაძემ მანამდე დაამზადა რაკეტის გასაშვები მოწყობილობა, რომლის გამოყენება მხრიდანაც შეიძლებოდა და დაზგაზე დამაგრებითაც.

კარგად შეჯავშნული გერმანული „მხეცების“ გასაჩერებლად კი უფრო სერიოზული იარაღი იყო საჭირო, რომლის კუმულატიური ჭურვიც 170-200 მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს გახვრეტდა. ნადირაძემ და მისმა კოლეგებმა მცირე ხანში გააკეთეს მრავალჯერადი გამოყენების დაზგის ყუმბარსატყორცნი СПГ-122, რომელიც 122 მმ კალიბრის რეაქტიულ კუმულატიურ ჭურვებს ისროდა და ნებისმიერი გერმანული ტანკის ჯავშანს ხვრეტდა. სხვადასხვა მიზეზის გამო ნადირაძის СПГ-122 მაშინ შეიარაღებაში არ მიუღიათ, თუმცა დღევანდელი რუსული ტანკსაწინააღმდეგო დაზგის ყუმბარსატყორცნი СПГ-9 (რომლის რამდენიმე ეგზემპლარი ქართულ არმიასაც აქვს შეიარაღებაში) ნადირაძისეულის „შვილობილად“ შეიძლება მივიჩნიოთ.

როგორც ხედავთ, ქართველ ინჟინრებს თავიანთი პატარა წვლილი აქვთ შეტანილი იმ სამხედრო საქმეში, რასაც ჯავშანსატანკო საბრძოლო ტექნიკის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია. ■

# სპეცსამსახური ხელწერას არ ცვლის?!

*ყველა შედარება თუ პარალელი გარკვეულწილად პირობითია და პირდაპირი ანალოგიების გატარება, როგორც წესი, არაკორექტულია. ეს „ჩვეულებრივი“ საზოგადოებისათვის, ხოლო სპეცსამსახურების საქმიანობაში ისტორია და დღევანდელობა, უხილავი ძაფებითაა „გადაბმული“. ყველა ეს „ძაფი“ ერთ ადგილას იყრის თავს, სადაც შესვლა მხოლოდ ერთეულებს ძალუძთ. ეს ადგილი... სპეცსამსახურების არქივებია. იქ ალინუსხება, როგორც წარმატებული (რაც შესაძლებელია საერთოდ არ გახდეს საზოგადოებისათვის ცნობილი), ასევე წარუმატებელი ოპერაციები (რაც უფრო ხშირად ხდება ცნობილი). არქივები მონაცემთა და კონკრეტულ გამოცდილებათა ის უშრეტი წყაროა, რომელიც არასოდეს შრება. საჭიროა პიროვნების (მსახიობის, მეცნიერის, პოლიტიკოსისა და ა.შ.) კომპრომეტირება, დაშანტაჟება ან ლიკვიდირება? არქივებში ჩახედავენ ძველ ოპერაციებს და ყველაზე მისაღებ მეთოდს შეარჩევენ. ბუნებრივია, ახალი რეალიების გათვალისწინებით. თუმცა ხშირად მეთოდიც იგივე რჩება. პატარა „იალლიშებიც“ მოსდით, როცა ძალიან მონდომებენ და ყველაფერს იმდენად იდეალურად დაგეგმავენ და განახორციელებენ, რომ აშკარად ჩანს — მსგავსი ფაქტებისა და მოვლენების თანხვედრა ცხოვრებაში ობიექტურად შეუძლებელია. ამ დროს სპეცსამსახურები, როგორც წესი, საპირისპირო შედეგს იღებენ — საზოგადოებას უკვე აღარ სჯერა დეზინფორმაციის.*

მშვიდობიან პერიოდში არასასურველი ობიექტის სწრაფი ლიკვიდაციისათვის, სპეცსამსახურები, თითქმის ყოველთვის უბედური შემთხვევის იმიტაციას ქმნიან, რადგანაც ჯანმრთელი ადამიანის მოულოდნელი გარდაცვალების „საუკეთესო“ ახსნა, საყოფაცხოვრებო პირობებში, მისი ტრაგიკული დაღუპვა ან სხვა უბედური შემთხვევაა (ავტოავარია, დენის დარტყმა, აბაზანაში „დახრჩობა“, იარაღის „გავარდნა“, საკვები პროდუქტით მოწამვლა, გაზით გაგუდვა და ა.შ.). იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება დაცვისა და მაღალკვალიფიციური ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, „ლიკვიდატორების“ ამოცანა გაცილებით რთულდება. თებერვლის დასაწყისში თბილისში დატრიალებული ტრაგედია, როდესაც ორი ადამიანი ნახშირჟანგით გაიგუდა, სამწუხაროდ, ერთადერთი მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. ამ მიზეზით მანამდეც და შემდეგაც, საქართველოში რომ ბევრი ადამიანი დაიღუპა, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ მრავალმხრივ ანალოგიური ფაქტი სამოცი წლის წინ საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვშიც მომხდარა. ფაქტების შედარების შემდეგ ამ ორ მოვლენას საოცრად ბევრი საერთო აღმოაჩნდა.

მაშინაც ორი ადამიანი გაიგუდა ნახშირჟანგით, მხოლოდ არა გამათბობლის, არამედ გაზის წყლის გამაცხელებლის („კალონკის“) მიზეზით. გარდაცვალება ტრაგიკული შემთხვევა იყო თუ წინასწარ განზრახული, იქაც გაურკვეველი დარჩა. ოფიციალური ვერსია მაშინაც ახლობლების პროტესტს იწვევდა. სპეცსამსახურები მაშინაც ცდილობდნენ გარდაცვლილთა დისკრედიტებისათვის ამ ფაქტისთვის ცნობილი „ბინძური შეფერილობა“ მიეცათ. საინტერესო კიდევ ისაა, რომ მოსკოვში გარდაცვლილებს ბევრი რამ აკავშირებდათ საქართველოსთან.

## მაინც რა მოხდა მოსკოვში?

გამოჩენილი საბჭოთა ალპინისტი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და იმავდროულად ცნობილი მოქანდაკე ევგენი აბალაკოვი და ვინმე იური არციშევსკი 1948 წლის 24 მარტს დაიღუპნენ. ოფიციალური ვერსია – ნახშირჟანგით მწვავე მოწამვლა.

ამ დღეს აბალაკოვი და არციშევსკი (მაიორი, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სამხედრო კათედრის თანამშრომელი) მოსკოვში აბალაკოვის ნაცნობის სახლში, აბაზანაში ჩაკეტილები მკვდრები იპოვეს.

## ვინ იყვნენ ძმები აბალაკოვები?

ევგენი აბალაკოვი (1907-48წ) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბჭოთა ალპინისტი იყო. უფროს ძმასთან ვიტალისთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1906-86წ.) ერთად, ისინი 1931 წელს გამოჩნდნენ საბჭოთა მთამსვლელთა რიგებში. 1930-40-იან წლებში მრავალი მწვერვალი დალაშქრეს კავკასიონისა და პამირის მთებში. ევგენი ამავე დროს ძალზე ცნობილი და ნიჭიერი მოქანდაკეც იყო. მისი მასწავლებელი, სტალინის მიერ ძალზე დაფასებული მოქანდაკე ვერა მუხინა ე. აბალაკოვს იხსენებდა, როგორც კარგ ხელოვანს, უშიშარ მთამსვლელს და ვაჟკაცურ პიროვნებას, რომელიც დაჯილდოებული იყო „რკინის ჯანმრთელობით და ადამიანური წესიერებით". მის პიროვნულ თვისებებზე შემთხვევით რომ არ ვაკეთებთ აქცენტს, მკითხველი თავად მიხვდება.

1931 წლიდან მოყოლებული, როცა მათ კავკასიონზე პირველად შედგეს ფეხი, აბალაკოვებს ყოველთვის გამორჩეულად კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოსთან და ქართველებთან.

1934 წლის აგვისტო-სექტემბერში ძმები პამირის სამხედრო-სასწავლო ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, რომელსაც მაშინდელი საბჭოთა არმიის მთავარსარდალი, იმავდროულად იუსტიციის მინისტრი, შემდგომში რეპრესირებული (დახვრიტეს 1938 წ.) ნიკოლაი კრილენკო ხელმძღვანელობდა. აბალაკოვები მეგობრობდნენ წითელი არმიის სხვა მეთაურებთანაც, რომლებიც შემდგომში „ტროცკიზმის" ბრალდებით დასაჯეს.

**ე. აბალაკოვი კავკასიონზე. 1943 წელი**



ამ პერიოდიდან მოყოლებული ძმები აბალაკოვები სამხედრო ალპინიზმის ინსტრუქტორები არიან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში და არა ერთი სამხედრო-სასწავლო ლაშქრობა განახორციელეს, ხოლო პამირის მთებში ჩატარებული სწავლებისათვის ვიტალი თავად ვოროშილოვმა დააჯილდოვა ოქროს საათით. ამ პერიოდში ძმები აქტიურად მონაწილეობდნენ სრულიად საიდუმლო საბჭოთა გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციებშიც და მათი დახმარებით მრავალი სტრატეგიული დანიშნულების ნედლეული აღმოაჩინეს.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან ე. აბალაკოვი მოსკოვის მისადგომებთან იბრძოდა, როცა მოულოდნელად, 1942 წლის აგვისტოში „ნკვდ"-ში გამოიძახეს. ორი დღის შემდეგ ის უკვე თბილისში იყო იმ 150 ყველაზე ცნობილ საბჭოთა ალპინისტთა შორის, რომლებიც ბერიას ბრძანებით მაშინ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საბჭოთა „სპეცნაზის" სამთო-სამხედრო ინსტრუქტორები და მებრძოლები გახდნენ. ამ სპეცდანაყოფების უშუალო ხელმძღვანელი კი ცნობილი საბჭოთა „ტერმინატორი" და „დივერსიების მეფე", გენერალი სუდოპლატოვი იყო. მათ ევალებოდათ კავკასიის მთებში უღელტეხილებისა და საცალფეხო ბილიკების დაცვა სახელგანთქმული გერმანული სამთო-სამხედრო დანაყოფის „ედელვაისის" შემოტევებისაგან. ამ პერიოდში შეიქმნა ამიერკავკასიის ოპერატიული ჯგუფის ალპინისტური ქვედანაყოფი, რომელიც ოპერატიულ და მეთოდურ უზრუნველყოფას უწევდა სამხედრო ნაწილებს. ერთი წლის მანძილზე ევგენი აბალაკოვი ბაკურიანში გახსნილ „ნკვდ"-ს „სპეცნაზის" სამთო-სამხედრო და სათხილამურო მომზადების საიდუმლო სკოლის უფროსის მოადგილე იყო, სადაც მთებში ბრძოლის ტაქტიკასა და ტექნიკას ასწავლიდა. 1943 წლიდან ის კვლავ ალპინიზმს დაუბრუნდა და 1948 წლამდე რამდენიმე ურთულესი ასვლა განახორციელა კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე. იმავდროულად აქტიურად აგრძელებდა შემოქმედებით მუშაობასაც – მისმა რამდენიმე ქანდაკებამ გამოფენებზე პრემიაც კი დაიმსახურა. 1948 წლის 22 მარტს მოსკოვის მეცნიერთა სახლში ე. აბალაკოვმა წაიკითხა მოხსენება პამირის ექსპედიციის შედეგების შესახებ. წინ ახალი დასალაშქრი მწვერვალები იყო და თვითონაც „ცხოვრების მწვერვალზე" იყო. თითქოს არაფერი მოასწავებდა ტრაგედიის მოახლოებას...

მაგრამ 24 მარტს, გამთენიისას იგი მეტად საეჭვო, გამოცდილი სპორტსმენისთვის ძნელად დასაჯერებელ ვითარებაში იპოვეს გარდაიცვლილი. ვერავინ იჯერებდა, რომ კაცი, რომელიც მრავალჯერ გადაურჩა სიკვდილს მთებში – აბაზანაში ნახშირჟანგით გაიგუდა.

მიუხედავად იმისა, რომ აბალაკოვი საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო, იმ დროს გამოძიება ფაქტიურად არ ჩატარებულა. ოფიციალური ვერსიით, მომხდარი ტრაგიკულ შემთხვევად დაფიქსირდა. ასეთია მშრალი ფაქტები. დღეს ძალზე გაძნელებულია თითქმის 60 წლის წინანდელი შემთხვევის ყველა ნიუანსის მიკვლევა. მით უფრო, რომ საბჭოთა ოფიციოზი მაქსიმალურად შეეცადა აბალაკოვის სიკვდილის ვერსია „უბედურ შემთხვევას" არ გასცდენოდა, თან ბინძური მინიშნებებით და „პიკანტური სოუსით" ყოფილიყო შეზავებული. ოფიციალურ ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ ევგენი აბალაკოვის ოჯახის წევრები. მათი აზრით, ეს მკვლელობა იყო.

1948 წლის 27 მარტს გაზეთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნდა ნეკროლოგი, რომელიც ასე იწყებოდა – „უაზრო შემთხვევამ ჩვენ რიგებს გამოაკლო"... ხოლო მეორე დღეს გაზეთმა „იზვესტიამ" მცირე ნეკროლოგით აუწყა მისი გარდაცვალება. ასე „გამოეხმაურა" საბჭოთა ხელისუფლება ე. აბალაკოვის სიკვდილს. ქართულ გაზეთებში კი აბალაკოვზე საერთოდ არაფერი დაბეჭდილა. ეს უფრო გასაოცარია, რადგანაც ეს პიროვნება საქართველოს სპორტული საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი. უფრო მეტიც, 1945 წლის ოქტომბერის ბოლოს, რვა დღის მანძილზე, ურთულეს კლიმატურ პირობებში მან ქართველ ალპინისტებთან (ბ.ხერგიანთან და გ.ზურაბიანთან) ერთად დალაშქრა უშბა, იქ დაღუპული მეგობრის, ცნობილი ქართველი ალპინისტის ალიოშა ჯაფარიძის ცხედრის მოსაძებნად, მაგრამ მხოლოდ ჩანაწერებს და ტანსაცმლის ნაწილს მიაკვლიეს. თვითონაც ძლივს გადაურჩნენ სიკვდილს. ამ ამბის შემდეგ ქართველი მთამსვლელი ქალი, საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებლად აღიარებული ალექსანდრა ჯაფარიძე ევგენი აბალაკოვს „ძმად" მოიხსენიებდა.

## ვინ იყო იური არციშევსკი?

იური ანატოლის ძე არციშევსკი, მაიორი, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის (თრტიი) სამხედრო კათედრის თანამშრომელი.

განსაკუთრებით მწირია ცნობები ამ პიროვნების შესახებ. დიდი მცდელობის მიუხედავად, მხოლოდ მისი გარდაცვალებ-

ბიბლიოთეკა



ე. აბალაკოვი ოფიცერ-ალპინისტებთან ერთად ბაკურიანში

ის ნეკროლოგს მივაკვლიეთ, რომელიც საქართველოში გამომავალ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ 1948 წლის 28 მარტის ნომერში გამოქვეყნდა, სადაც თრტიის სამხედრო კათედრის ოფიცერთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობა იუწყებოდა არციშევსკის გარდაცვალებას.

საბჭოთა ალპინისტთა სიაში მისი გვარი ერთადერთხელ გვხვდება –1947 წელს სხვა სამ პიროვნებასთან, მათ შორის, ორ ახალგაზრდა მანდილოსანთან ერთად, ის კავკასიონის მცირე სირთულის ერთ-ერთ მწვერვალზე (სონგუტიხოხი, 4460მ) ასულა. ალპინიზმის კორიფეებთან – აბალაკოვებთან მას არც ერთი ასვლა არ ჰქონდა ჩატარებული. მათ შორის, არც ე. აბალაკოვისთვის ბოლო, 1946-47 წლების პამირის ექსპედიციებში.

მაშ, რა საერთო უნდა ჰქონოდა მათთან? სავარაუდოდ, მათ ერთმანეთი ბაკურიანის სპეცსკოლაში გაიცნეს, სადაც ე. აბალაკოვი სამთო პირობებში ბრძოლის ინსტრუქტორი, ხოლო არციშევსკი, ჩვენი აზრით, „ნკვდ“-ს ოფიცერი იყო. ამ ვერსიას ადასტურებს ისიც, რომ აბალაკოვის მიერ ომის პერიოდში შესრულებული ქანდაკებების ჩამონათვალში ვინმე არტიშევსკის პორტრეტიც მოიხსენიება. ამ შემთხვევაში ალბათ მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე და არციშევსკი-არტიშევსკი ერთი პიროვნებაა.

არსებული ცნობებით, 1948 წლის 23 მარტს ის და ე. აბალაკოვი მოსკოვში შეხვდნენ ერთმანეთს, მომავალ ლაშქრობებს გეგმავდნენ და ნაცნობთან შეიარეს. გამთენიისას კი ისინი გაგუდულები იპოვეს აბაზანაში.

## ვერსიები

გარდაცვალების ადგილი, ვითარება და ოფიციალური ვერსია – „ისინი აბაზანის ოთახში შიგნიდან ჩაკეტილები ნახშირჟანგით გაიგუდნენ“ – დაეჭვების საფუძველს იძლეოდა. ორაზროვანი მინიშნებაც აშკარა იყო. ახლობლების ინფორმაციით ისინი შიგნიდან კი არა, გარედან გადაკეტილ აბაზანის ოთახში აღმოაჩინეს და სიცოცხლისათვის ბოლომდე ბრძოლის კვალი ეტყობოდათ – გარედან დაკეტილი კარის გამომტვრევას ცდილობდნენ. წყლის გამაცხელებლის („კალონკის“) გაუმართაობის გამო ნახშირჟანგით მოწამვლის ვერსიამ მრავალი კითხვა წარმოშვა. რა უნდოდათ ორივეს ჩაკეტილ აბაზანაში? რატომ ვერ შეძლეს გამოსვლა? როგორც აბალაკოვის ახლობლები აცხადებდნენ, გამაცხელებელი გამართულად მუშაობდა, მაშ, როგორ მოხდა მოწამვლა? რატომ გამოიძახეს სახლის პატრონებმა „სასწრაფო დახმარება“ მხოლოდ დილით?

ევგენი აბალაკოვის ოჯახის წევრები თვლიან, რომ ეს იყო არა ტრაგიკული შემთხვევა, არამედ საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული მკვლელობა. მათი აზრით, ძმები აბალაკოვები დიდხანს იყვნენ „ნკვდ“-ს მეთვალყურეობის ქვეშ, უფროსი ძმა – ვიტალი, შპიონაჟის ბრალდებით ციხეშიც კი იჯდა. რატომ? რა შეიძლება გამხდარიყო ლიკვიდაციის ოპერაციის მიზეზი? ჩვენი აზრით, უფროსი ძმის გამო მხოლოდ უმცროსს არ მოკლავდნენ. რეალური მიზეზი თვით ე. აბალაკოვის წარსულში უნდა ვეძებოთ. ვერსიები კი შემდეგია:

1. ცნობილი სპორტსმენი ევგენი აბალაკოვი წლების მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული არმიისა და „ნკვდ“-ს „სპეცნაზის“ მომზადებასთან. ამუშავებდა სამხედრო შემადგენლობის სპეციალური ფიზიკური მომზადების პროგრამებს, მათ შორის, ალპინისტ-მებრძოლების მომზადების მეთოდიკას. იცოდა ბევრი საიდუმლო, „ცივი ომის“ პერიოდში უკვე ხელს უშლიდა საბჭოთა სპეცსამსახურებს და თავიდან მოიცილეს, თანაც ძალზე ბინძური კომპრომატით.

2. „ტროცკისტებთან“ (კრილენკო და სხვები) ძველი მეგობრობა ასევე შეიძლება გამხდარიყო მისი ლიკვიდაციის მიზეზი.

3. ე. აბალაკოვმა კარგად იცოდა საბჭოთა კავშირის სტრატეგიული მინერალური რესურსების (მათ შორის, შესაძლოა ურანის) საბადოების მდებარეობა. 1948 წელს, როცა საბჭოთა ატომური ბომბი ჯერ შექმნილი და გამოცდილი არ იყო, ასეთი „ბევრის მცოდნენი“ უკვე სახიფათონი იყვნენ. ვერსია კიდევ ძალზე ბევრია. სიმართლე და ობიექტური პასუხი წლებისა და ისტორიის სანახებში ჩაიკარგა. იმ დროს მომხდარი ფაქტი საბჭოთა კავშირში არსებული სისხლიანი დიქტატურისა და სპეცსამსახურების ჩვეულებრივი ხელწერა იყო (მანამდე სამი თვით ადრე, 1948 წლის იანვარში, ასევე, ვითომდა უბედური შემთხვევის („ავტოავარიის“) ინსცენირებით მოკლეს ცნობილი რეჟისორი მიხოელსი და თეატრალური კრიტიკოსი, იმავდროულად „ნკვდ“-ს აგენტი გოლუბოვი – ამის შესახებაც ჩვენ უკვე ვწერდით). დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრის იდუმალებით მოცული დაღუპვის ფაქტი ობიექტურ და დროულ გამოძიებას საჭიროებს.

ბევრი ექსპერტი, ჟურნალისტი თუ უბრალო მოქალაქე, რომ არაფერი ვთქვათ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე და ახლობლებზე, თვლის, რომ თბილისში მომხდარი ტრაგიკული ფაქტი „შემთხვევითი მოწამვლა“ კი არ არის, არამედ სპეცსამსახურის დაგეგმილი და განხორციელებული ოპერაციაა. ოფიციოზის პოზიცია ჯერჯერობით უბედური შემთხვევისკენ იხრება. ჩვენი აზრით, ისინიც კარგად ხედავენ ბევრ შეუსაბამობას გამოძიების პროცესში, ექსპერტიზის დასკვნებში და რეალურად მომხდარში, მაგრამ აშკარა სამხილების უქონლობის გამო ხელს ვერ ადებენ იმ ქვეყანას, რომელსაც შეეძლო ამგვარი ოპერაციის ჩატარება, რისი დიდი ისტორიული გამოცდილებაც აქვს. ასეთი მოუზომავი მოქმედება დიდ საერთაშორისო სკანდალს გამოიწვევდა. ბოლო წლების პრაქტიკაში ყატარი იყო ერთადერთი ქვეყანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც იანდარბიევის მკვლელობის ორგანიზებაში ღიად დასდო ბრალი რუსეთს და მისი ორი მოქალაქეც დააპატიმრა. მაშინ ყატარის სპეცსამსახურებმა კარგად იმუშავეს და „ცხელ კვალზე“ ბევრი აშკარა სამხილი მოიპოვეს.

თვით ისეთი ზესახელმწიფოც კი, როგორიც აშშ-ია, თავისი მზვერავის ფრედ ვუდროფის მკვლელობაში ღიად და პირდაპირ ვერავის ადანაშაულებს. თუმცა ყველამ ძალიან კარგად იცის ვინ მოკლა ვუდროფი და რომელი ქვეყნის ინტერესებში შედიოდა ეს არა მარტო აშშ-ის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაცია. ამის მიზეზი კი იმ აშკარა და პირდაპირი სამხილების უქონლობაა, რომლებიც უშუალო ორგანიზატორამდე მიიყვანდა. სპეცსამსახურები ყოველთვის ფარულად თამაშობენ თავის „სისხლიან თამაშებს“. ვინც მოუმზადებლად გადავა შეტევაზე (თუნდაც „საინფორმაციო ფრონტზე“), ყოველთვის მარცხდება, რადგანაც ამ დროს მოწინააღმდეგე ჩასაფრებულია და „ნიანგის ცრემლების“ ღვრასთან ერთად „პოლიტიკოსთა ანგაჟირებული დასკვნების“ შესახებ წინმსწრებ დარტყმა-გაფრთხილებას აკეთებს. ამიტომაც, ამ ერთ ბრძოლაში დამარცხებული სპეცსამსახური იძულებულია „...ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ პრინციპი გამოიყენოს, არ გაახმაუროს ფაქტები და მომავალ ბრძოლებში გამარჯვებისთვის ემზადოს.

ე. აბალაკოვიც და ზ. ჟვანიაც 41 წლისანი გარდაიცვალნენ. საკმაოდ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ძალზე ბევრს მიაღწიეს. თუმც, წინ კიდევ მრავალი მწვერვალი ელოდათ...



# ბევრი რამ სისხლის შხამებზე

*ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუპოვის ტრაგიკული გარდაცვალების პირველ დღეებში, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის წარმომადგენლები, სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სწორედ მათ მიერ გაკეთებულმა დაბნეულმა და ხშირად ურთიერთგამომრიცხავმა საჯარო განცხადებებმა განაპირობა გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიაში თავიდანვე დაეჭვება. ექსპერტებს ისეთი მარტივი თეორიული(!!!) საკითხები ეშლებოდათ, რომლის უცოდინარობაც მე-4-5 კურსის სტუდენტებსაც კი არ ეპატიებათ. სისხლში ნახშირჟანგის შემცველობის სასიკვდილო დოზად მათ მიერ სახელდებოდა ჯერ 10, 20, შემდეგ 40 და ბოლოს 60%. საინტერესოა, ამ ხალხს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კურსი სტუდენტობისას არ უსწავლიათ? თუ სისხლის შხამების გავლისას „შატალოზე“ იყვნენ და მერეც მაგრა იზარმაცეს? კომბლე ალბათ პირველი და ყველაზე გამოჩენილი ქართველი ექსპერტი იყო — შეჭმული ცხვრების ჩიჩიას მგლების კბილებში ეძებდა და ამით ადგენდა „ბოროტმოქმედს“ და შემდეგ სათანადოდ სჯიდა. თანამედროვე ექსპერტების შეგნებულ თუ უნებლიე შეცდომებთან შედარებით, „ექსპერტ კომბლეს“ შედეგები უფრო ზუსტი და სანდოა.*

სასამართლო მედიცინის სპეციალურ სასწავლო(!!!) ლიტერატურაში დაწვრილებითაა გაანალიზებული მომწამვლელი ნივთიერებების ჯგუფები და მათი მოქმედებების თავისებურებები. ჩვენც სწორედ ერთ-ერთით ვისარგებლეთ და აი, რა გავარკვიეთ.

მომწამვლელი ნივთიერება არის აირის, ორთქლის, კვამლის, სითხის, ფხვნილისა და კრისტალების სახით, რომლებიც სხვადასხვა ინტენსივობით მოქმედებს. აირის, ორთქლისა და კვამლის სახით შხამი ყველაზე ძლიერად მოქმედებს, რადგან იგი ორგანიზმში ძალზე სწრაფად შედის სასუნთქი გზებიდან. სიძლიერის მიხედვით შემდეგ მოდის სითხის და ბოლოს ფხვნილის ან კრისტალების სახით შეყვანილი შხამი, რადგან ამ უკანასკნელთ სითხეებში გასახსნელად გარკვეული დრო ესაჭიროება.

შხამნივთიერებათა კომბინირებული მოქმედება იწვევს ინტენსიურ მოწამვლას და ხშირად ერთი ნივთიერება მეორე ნივთიერების მოქმედებას აძლიერებს. ზოგიერთი შხამები (აირები) ორგანიზმში ერთად შეყვანილი უფრო ძლიერად მოქმედებენ, ვიდრე რომელიმე მათგანი ცალკე.

ორგანიზმში შხამის შეყვანის გზებს დიდი მნიშვნელობა აქვს მოწამვლის ინტენსივობისათვის. ყველაზე სწრაფად მოქმედებს სისხლიდან (ვენიდან) და ფილტვიდან, ხოლო ნაკლები ინტენსივობით კუნთებიდან და კანქვეშა ქსოვილიდან მოხვედრილი შხამი.

ადამიანის სიცოცხლისათვის განსაკუთრებით საშიშია ე.წ. სისხლის შხამები, რომლებიც მოქმედებს სისხლზე და მის თვისებებს ცვლის. სისხლის შხამები ორგანიზმის სხვა ქსოვილებზეც მოქმედებს, მაგრამ ცვლილებებს მეტწილად სისხლში იწვევს. ამ სახის შხამების საკმაოდ დიდი ჯგუფიდან ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით საინტერესოა მეტაჰემოგლობინის წარმომქმნელი მომწამვლელი ნივთიერებები. მეტაჰემოგლობინი ჰემოგლობინის ისეთი მტკიცე შენაერთია, რომ უჯრედებს ჟანგბადს არ აწვდის, რის გამოც ირღვევა ადამიანის სუნთქვა და დგება ასფიქსიური სიკვდილი.

ყოველივე ეს უფრო მარტივად გასაგები რომ იყოს, გავიხსენოთ: ნორმალური სუნთქვისთვის ვარგისი სუფთა, მშრალი ჰაერი (100%) შედგება შემდეგი აირებისაგან: აზოტი (78%), ჟანგბადი (21%), ნახშირორჟანგი (0,04%), ინერტული ანუ კეთილშობილი აირები: ჰელიუმი, არგონი და სხვ. (0.94%) და სხვა არამუდმივი მინარევები (0.02%). ამ ჰარმონიაში თუ უცხო აირი შეიჭრა, აძევებს რომელიმე „მასპინძელს“ და მის ადგილს იკავებს.

ერთ-ერთი ასეთი „დაუპატიჟებელი და საშიში სტუმარია“ ნახშირჟანგის ($CO$) მხუთავი აირი. ის უფერო და უსუნო აირია, რომელიც არასრული წვის პროცესში წარმოიშობა და ჰემოგლობინის შეკვრას იწვევს. მოწამვლის დროს სისხლში წარმოიქმნება კარბოქსილჰემოგლობინი, რომელსაც ჟანგბადის შეთვისების უნარი არა აქვს და შინაგანი სუნთქვის მოშლის შემდეგ ასფიქსიურ სიკვდილს იწვევს.

აქვე წარმოგიდგენთ ნახშირჟანგით მოწამვლის ცხრილს, რომელიც ჰენდერსონჰაგარდის და საიერსიანტის ცხრილების შერწყმის შედეგადაა შედგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცეო“-თი ინტოქსიკაციის პროცესი ოთხ სტადიად შეიძლება დავყოთ: პირველი სტადია (სისხლში კარბოქსიჰემოგლობინის შემცველობა 10-30%): ამ დროს შეიმჩნევა შუბლის და საფეთქლების ტკივილი, თავბრუსხვევა, ხმაური ყურებში, აჩქარებული გულისცემა, გულისრევის შეგრძნება.

მეორე სტადია (30-50%): კუნთების მოდუნება, არაადეკვატური რეაქცია და ალკოჰოლით სიმთვრალის მსგავსი შეგრძნება, სუნთქვა და პულსი აჩქარებულია, სახე ფერმკრთალია, იწყება გულისრევა. ტანზე ღია ვარდისფერი ლაქები ჩნდება.

შემდეგ დგება მესამე – კომატოზური სტადია (50-60%): გრძნობის დაკარგვა, ძლიერი ღებინება, სისხლის წნევა ეცემა. ამ მომენტში მოწამლულის გადარჩენის მცირე შანსი კიდევ არსებობს. ნახშირჟანგს მეტატოქსიკური მოქმედება აქვს. უგონო მდგომარეობაში მყოფი მოწამლული სუფთა ჰაერზე რომ გამოვიყვანოთ, მას შეიძლება მალე დაუბრუნდეს გრძნობა. დახმარების აღმოუჩენლობის შემთხვევაში დგება მეოთხე სტადია (70%-ზე ზემოთ) და ადამიანი იღუპება.

თუ ადამიანი პირდაპირ მოხვდება ისეთ ოთახში, სადაც ნახშირჟანგის კონცენტრაცია უკვე 60%ზე მეტია, ვითარდება წამიერი, მომენტალური მოწამვლა ყოველგვარი სტადიებისა და საწყისი სიმპტომების გარეშე. ის ეცემა, კარგავს გრძნობას და სულ რამდენიმე წუთში იღუპება.

სიკვდილის შემთხვევაში უხვადაა გამოხატული ალისფერი გვამური ლაქები, რომლებიც სხეულის ყველა ნაწილში კარგად ემჩნევა. შინაგან ორგანოებში არის ასფიქსიური სიკვდილისათვის დამახასიათებელი ცვლილებები და, რაც მთავარია, სისხლი მკვეთრი წითელი ფერის უნდა იყოს. სისხლის ასეთი შეფერვა გვხვდება სხვა შხამებით გამოწვეული სიკვდილის დროსაც, ამიტომ დადგენილია, რომ ექსპერტებმა ნახშირჟანგით გამოწვეული მოწამვლა სისხლის მრავალმხრივი (სპექტრული და ქიმიური) გამოკვლევებით უნდა დაადასტურონ.

მოწამვლის კლინიკური სურათისთვის დამახასიათებელია სიმძიმის გრძნობა კიდურებში, ამიტომ მოწამლულს თვითდახმარება არ შეუძლია (მაგ. ახალგაღვიძებულს) და ბოლომდე ნახშირჟანგის შემცველ გარემოში რჩება. გარდა ამისა, ინტოქსიკაციის აუცილებელი თანმდევია პირღებინება (საინტერესოა, შემთხვევის ადგილზე იყო თუ არა ამის კვალი?).

ექსპერტების დასკვნით, სისხლში ნახშირჟანგის შემცველობა აღენიშნებოდათ:

| CO-ს შემცველობა ჰაერში (%) | მოწამლულ გარემოში ყოფნის ხანგრძლივობა (სთ) | კარბოქსიჰემოგლობინის შემცველობა სისხლში (%) | მოწამვლის კლინიკური სურათი |
|---|---|---|---|
| 0,02-0,05 | 4-6 | 10-20 | ქოშინი, თავის სუსტი ტკივილი, გადაღლა |
| 0,05-0,1 | 3-4 | 20-30 | აღგზნებადობა, აზროვნების პერიოდული მოშლა |
| 0,1-0,2 | 1,5-3 | 30-50 | თავის ძლიერი ტკივილი, ცნობიერების აბნევა, კუნთების ძლიერი სისუსტე, გულყრა, პირღებინება, |
| 0,2-0,5 | 45წთ.-1,5სთ | 50-70 | უგონო მდგომარეობა, სუნთქვის ძლიერი შესუსტება. დახმარების აღმოუჩენლობის შემთხვევაში სიკვდილი |
| 0,8 | 30-45 წთ | 80 | სწრაფი სიკვდილი |
| 1,0 და მეტი | 2-30 წთ | 80-ზე მეტი | მომენტალური სიკვდილი |

ჟვანიას 60,6%, იუსუპოვს 73,9%. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იუსუპოვი უფრო დიდხანს იყო იმ ბინაში. გარდა ამისა, ვინც პირველები შევიდნენ ბინაში, ისინიც უნდა მოწამლულიყვნენ, რადგანაც იმ მომენტში მხუთავი გაზის კონცენტრაცია იმდენად მაღალი უნდა ყოფილიყო, რომ თუნდაც ჩამტვრეული ფანჯარა ოთახის სრულ გაწმენდას ვერ მოასწრებდა.

ნახშირჟანგით მოწამვლის სიმძიმეს სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს დაზარალებულის დაშორება მოწამვლის კერასთან და მოწამლულ გარემოში ყოფნის ხანგრძლივობა. ამ სახის მოწამვლების მრავალი შემთხვევის საექსპერტო დასკვნების შესწავლის შემდეგ, გამოიკვეთა რამდენიმე კანონზომიერება, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთს შემოგთავაზებთ, კერძოდ:

1. მოწამვლის კერასთან ვინც უფრო ახლოა, ის უფრო მეტ მხუთავ აირს იღებს და, ბუნებრივია, მის სისხლშიც კარბოქსინჰემოგლობინის შემცველობა მეტი უნდა აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში კი რატომღაც პირიქითაა.

2. მაგალითები გვიჩვენებს, რომ ადამიანი მოწამვლის პირველ ორ სტადიას (უსიამოვნო შეგრძნებებს, თავბრუსხვევას, გულისრევას და ა.შ.) ვერ გრძნობს იმ შემთხვევაში, თუ სძინავს ან გრძნობაზე არ არის.

3. თუ არ ჩატარდა მოწამვლის ადგილის ხანგრძლივი და საფუძვლიანი განიავება, შემდგომ შემსვლელების მოწამვლის ალბათობა ძალზე მაღალია.

საბჭოთა კავშირში სამხედრო ტოქსიკოლოგია, ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და ამავე დროს ყველაზე გასაიდუმლოებული მილიტარისტული პროექტი იყო. მის განსახორციელებლად თანხებს არ იშურებდნენ. ჯერ კიდევ სტალინის დროს ქიმიური იარაღის შექმნას და გამოყენებას „კგბ“-ს ყველაზე საიდუმლო დანაყოფი „ლაბორატორია X“ ფარულად ახორციელებდა და სხვადასხვა „უბედური შემთხვევით“ ნიღბავდა. სულ ცოტა ხნის წინ კი მოსკოვში, „დუბროვკის“ ცნობილი შტურმის დროს რუსეთის სპეცსამსახურებმა მანამდე უცნობი ტოქსიკური იარაღი გამოიყენეს, რის შედეგადაც 200-მდე სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა.

ასე რომ, ამ მიმართულებით „შედეგიანი“ მუშაობა კვლავ გრძელდება...

**რუბრიკა მოამზადა ბესიკ ალადაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სამწუხაროდ, ტელევიზიითაც და პრესაშიც ხშირად ყველა სახის ყუმბარსატყორცნს „მუხას“ უწოდებენ. არადა, გამორიცხულია, რომ სხვადასხვა ზომისა და სიგრძის (ტექნიკურ მონაცემები არ ვიცი) იარაღი ერთსა და იმავე სახელსა და ფუნქციას ატარებდეს. ძალიან გთხოვთ, დაწეროთ ამის შესახებ.**

**პატივისცემით, ბესო ბერიტაშვილი**

# გაისროლე და... მოისროლე

## ყველა ერთჯერადი ყუმბარსატყორცნი „მუხა“ არ არის

გასული საუკუნის ბოლოსთვის მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარული გახდა ერთჯერადი ნივთების მოხმარება — ისადილებ პლასტმასის თეფშზე და ნაგავში მოისვრი, გარეცხვით თავს არ შეიწუხებ, გამოიყენებ ჩაის ნაყენის ერთჯერად პაკეტს და მასაც ზემოხსენებულ გზას გაუყენებ. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ სამოქალაქო კოლეგებს საბრძოლო იარაღის კონსტრუქტორებმაც მიბაძეს. არა, ერთჯერადი ტანკი თუ შვეულმფრენი ჯერ არავის შეუქმნია, მაგრამ ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები კი ფართოდ გავრცელდა.

ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო იარაღის შემქმნელებად ფაშისტური გერმანიის ძალზე ჭკვიანი კონსტრუქტორები უნდა მივიჩნიოთ. 1942 წელს აშშ ლენდლიზით იარაღს აწოდებდნენ საბჭოთა კავშირს. ამ იარაღის სახეობებს შორის იყო იმ დროისათვის ახალი ხილი — ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვი „ბაზუკა“. როგორც ომების დროს ხშირად ხდება, გერმანელებმა ნაალაფარის სახით რამდენიმე „ბაზუკა“ ჩაიგდეს ხელში და ცოტა ხანში მის საფუძველზე შექმნეს ერთჯერადი „პანცერფაუსტი“ (PANZERFAUST), რომელსაც საბჭოთა ჯარისკაცები „ფაუსტპატრონას“ ეძახდნენ. ამ, შედარებით მსუბუქი (3,5 კგ) ერთჯერადი კუმულატიური ტანკსაწინააღმდეგო ჭურვით გერმანელები ბერლინის ქუჩებში საბჭოთა Т-34 ტიპის ტანკებს 100 მ-ის მანძილიდან თავისუფლად აფეთქებდნენ, რადგან „ფაუსტპატრონა“ 200 მმ სისქის მონოლითურ ჯავშანს ხვრეტდა. საბჭოთა ტანკისტები იძულებულნი იყვნენ, ტანკების შუბლსა და ბორტებზე რკინის „ლეჟანკები“ დაედუღებინათ — „ფაუსტპატრონის“ კუმულატიური ქობინი საწოლის რკინის დეტალებთან შეხებისთანავე ფეთქდებოდა, კუმულატიური ჭავლი იფანტებოდა და ტანკის ჯავშანს ველარ ხვრეტდა.



**მეორე მსოფლიო ომის დროს ვერმახტის შეიარაღებაში მყოფ „პანცერფაუსტებს“ სროლის ინსტრუქცია აუცილებლად მოყვებოდა...**



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთჯერადი ყუმბარსატყორცნები ცოტა ხნით დაივიწყეს — ზესახელმწიფოები ატომური იარაღის შექმნით იყვნენ დაკავებულნი და პატარა ჭურვებისთვის აღარ სცხელოდათ.

კორეის ომის დაწყებისთანავე და შემდგომ ვიეტნამის ჯუნგლებში ბრძოლისას ამერიკელები მიხვდნენ, რომ მსუბუქი და რაც მთავარია, ერთჯერადი ყუმბარსატყორცნების გარეშე იოლად ვერ გავიდოდნენ. ამიტომაც 1962 წელს აშშ-მა შეიარაღებაში მიიღო კომპაქტური ერთჯერადი რეაქტიული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი M72, მოგვიანებით, ანალოგიური იარაღი „მინიმანი“ შვედეთის არმიაშიც გამოჩნდა.

სწორედ ვიეტნამის ჯუნგლებში იგდო ხელთ საბჭოთა ГРУ-მ ამერიკული M72-ების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც სასწრაფოდ მოსკოვში გაიგზავნა. პირველი საბჭოთა ერთჯერადი ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ყუმბარსატყორცნი РПГ-18 „Муха“ 1972 წელს მიიღეს შეიარაღებაში და იგი ფაქტობრივად ამერიკული M72-ის ანალოგს წარმოადგენდა. „მუხა“ ორი ერთმანეთში ჩასმული მილისგან შედგება. გასროლის წინ ხდება მისი გაშლა. მთლიანად „მუხა“ 2,6 კგ-ს იწონის და მასში მოთავსებული რეაქტიული კუმულატიური ჭურვის გასროლა პირდაპირი დამიზნებით 135 მ-ის სიშორეზე შეიძლება. მისი ჯავშანგამტანობა არანაკლებ 150 მმ-ია, თანაც მიზანში $60^0$-იანი კუთხით მოხვედრის დროს.

იმის გამო, რომ „მუხის“ გასასროლად ჯარისკაცს რამდენიმე ოპერაციის შესრულება სჭირდებოდა (მილის უკანა სახურავის მოხსნა, მილების გაშლა, დამცველის ქვემოთ ჩაწევა), რასაც ბრძოლის დროს ასე საჭირო წამები მიჰქონდა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება გაუმჯობესებული ერთჯერადი ყუმბარსატყორცნების შექმნის შესახებ.

РПГ-22 „Нетто“ შეიარაღებაში 1980 წელს მიიღეს. მას არ სჭირდებოდა მილების გახსნა, თუმცა კონსტრუქტორებმა პატარა წამატებული მილი მაინც დაუტოვეს. 2,7 კგ-იანი „ნეტო“ 73 მმ კალიბრის რეაქტიულ ჭურვს 160 მ-ის სიშორეზე ისროდა და 200 მმ სისქის ჯავშანს ხვრეტდა. ამბობენ, ეს უცნაური სახელი მას ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელის პატივსაცემად დაერქვა.

შემდგომ ერთჯერად ყუმბარსატყორცნად იქცა РПГ-26 „Аглень“. იგი საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1985 წელს მიიღეს და თავისი „წინაპრებისა-



ამერიკული M-72 (მარჯვნივ) და მისი სროლის ტექნიკის დემონსტრირება



გან“ კონსტრუქციულად ბევრად უფრო გაუმჯობესებული გახლდათ. მინაპლასტიკისგან დამზადებული რაკეტის გასაშვები მილის ბოლოები რეზინის ხუფებით იყო დაფარული. მსროლელს მილების გაშლა ან ხუფების მოხსნა აღარ სჭირდებოდა. თანაც „მუხასგან“ განსხვავებით, თუკი ჯარისკაცი სროლას გადაიფიქრებდა, „აგლენს“ ისევ დამცველზე დააყენებდა. გაშლილი „მუხის“ დაკეცვა კი შეუძლებელი იყო. 77 სმ სიგრძის „აგლენი“ 73 მმ კალიბრის რეაქტიულ ჭურვს 170 მ-ზე ისროდა და 220 მმ სისქის ჯავშანს ხვრეტდა. რაკეტის საწყისი სიჩქარე გასროლის მომენტში 144 მ/წმ-ს აღწევდა. მთლიანად „აგლენი“ 2,9 კგ-ს იწონიდა.

80-იან წლებში მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ თავიანთი ტანკები დინამიკური დაცვის ელემენტებით აღჭურვა — მათზე კუმულატიური ჭურვის მოხვედრისას ფეთქდებოდა ამ ელემენტში მოთავსებული ტროტილი და აფეთქების ტალღა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვის მიმართულ კუმულატიურ ჭავლს ფანტავდა. ამის გამო 1989 წელს საბჭოთა არმიის შეიარაღებაში გამოჩნდა 105 მმ კალიბრის ერთჯერადი РПГ-27 „Таволга“, რომელსაც ტანდემურად (ერთმანეთის მიყოლებით) განთავსებული ორი კუმულატიური ქობინი ჰქონდა. პირველი, მცირე ზომის ქობინი, ტანკის დინამიკური დაცვის ელემენტს აფეთქებდა. მეორე, ძირითადი კუმულატიური ქობინი კი უკვე უშუალოდ ტანკის ჯავშანს ხვრეტდა. 1,1 მ-ის სიგრძისა და 7,5 კგ მასის „ტავოლგა“ 150 მ-ის მანძილზე 350 მმ სისქის ჰომოგენურ ჯავშანს ხვრეტდა. მისი პირველი ქობინის კალიბრი 64 მმ იყო, ხოლო მეორე ძირითადისა — 105 მმ.



РПГ-ების ოჯახი (მარცხნიდან): РПГ-18 Муха, РПГ-22 Нетто, РПГ-26 Агнель, РПГ-27 Таволга და ერთ-ერთი მათგანის მიერ აფეთქებული ამერიკული M1-A1 „აბრამსი“

ერთჯერადი ყუმბარსატყორცნები მათი შედარებით სიიაფისა და სიმარტივის გამო, ფართოდ გამოიყენება ყველა შეიარაღებულ კონფლიქტში. ასე იყო ავღანეთშიც და ასეა დღეს ჩეჩნეთშიც. აფხაზეთის ომშიც გამოჩნდა „ერთჯერადები“. სტატიის ავტორს ქართული დანაყოფების შეიარაღებაში ომის დროს, ძირითადად, „მუხები“ თუ უნახავს, მაშინ როდესაც მოწინააღმდეგეს „აგლენებიც“ ჰქონდა.

ყველაზე „შთამბეჭდავად“ РПГ-26 „Агленъ“-ები 1998 წლის 9 თებერვალს გამოჩნდა, როდესაც კრწანისში საქართველოს პრეზიდენტის საავტომობილო კორტეჟს,ძირითადად,ამ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები დაუშინეს თავდამსხმელებმა. ცნობილი რუსი პოლიტიკოსი ევგენი პრიმაკოვი ერთ-ერთ სატელევიზიო სიუჟეტში ირონიულად იცინოდა და არ სჯეროდა, რომ რუსული ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები შევარდნაძის გერმანულ შეჯავშნულ „მერსედესს“ ვერ აფეთქებდა. ლიმუზინს ორი РПГ-26 კაპოტის წინა მარჯვენა მხარეს მოხვდა და მანქანის ძრავამ ერთგვარი, ტანკის დინამიკური დაცვის ელემენტის ფუნქცია შეასრულა. რაკეტის მიმართული კუმულატიური ჭავლი მანამდე გაიფანტა, სანამ შეჯავშნულ სალონამდე მიაღწევდა.

*ირაკლი ალადაშვილი*





საქართველოს პარლამენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი" აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Вылет – გაფრენა

Вылет на перехват – გაფრენა გზის გადასაჭრელად

Вылет на разведку – დასაზვერი გაფრენა

Вымпел – ალამი

Выносливость – ამტანობა, გამძლეობა

Выработка – გვირაბი

Выполнение задачи – ამოცანის შესრულება

Выполнение приказа – ბრძანების შესრულება

Высадка воздушного десанта – საჰაერო დესანტის გადასხმა

Высадка морского десанта – საზღვაო დესანტის გადასხმა

Выслуга лет – ნამსახურობა

Высота – სიმაღლე

Высотный – მაღლივი

Выстраивать – დამწკრივება

Выстрел – გასროლა

Выстрел беспламенный – უალო გასროლა

Выстрел боевой – საბრძოლო გასროლა

Выстрел затяжной – დაყოვნებული გასროლა

Выстрел меткий – ზუსტი გასროლა

Выстрел одиночный – სათითაო გასროლა

Выстрел прицельный – გასროლა დამიზნებით

Выстрел холостой – უქმი, ფუჭი გასროლა

Выступ – შვერილი

Выступ курка боевой – ჩახმახის საბრძოლო შვერილი

Выступ ударника боевой – დამცემის საბრძოლო შვერილი

Выступ спускового крючка – სასხლეტი კაუჭის შვერილი

Вытяжной – ამომწოვი

Выхлоп – გამონაბოლქვი

Выход из боя – ბრძოლიდან გამოსვლა

Выход из строя – მწყობრიდან გამოსვლა

Вышиб – საგდები

Вышка – კოშკურა

Вьючный – საპალნისა, სასაპალნე

# კვალიფიციური რჩევები

**„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.**

**კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80**

სამხედრო მოსამსახურეებს თანამდებობრივ და წოდებრივ სარგოსთან ერთად რა დანამატები ეძლევათ?

სამხედრო მოსამსახურეებს ეძლევათ შემდეგი სახის დანამატები:

ოფიცერთა შემადგენლობას ოფიცრის თანამდებობაზე ნამსახურები კალენდარული წლების (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით, ნამსახურობისთვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი (წელთა ნამსახურობის) ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;
ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;
გ) 5-დან 10 წლამდე – 25%
დ) 10-დან 15 წლამდე – 25%
ე) 15-დან 20 წლამდე – 30%
ვ) 20-დან 25 წლამდე – 35%
ზ) 25-დან 30 წლამდე – 40%
თ) 30 წელი და მეტი – 45%.

კაპრალთა და სერჟანტთა (მიჩმანთა) შემადგენლობას სამხედრო თანამდებობაზე ნამსახურები კალენდარული წლების (მათ შორის, ყოფილი სსრკ-სა და სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში) მიხედვით ნამსახურობისთვის (გარდა სავალდებულო სამხედრო სამსახურისა) ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი (წელთა ნამსახურობის) ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით:

ა) 1-დან 2 წლამდე – 5%;
ბ) 2-დან 5 წლამდე – 10%;
გ) 5-დან 10 წლამდე – 25%
დ) 10-დან 15 წლამდე – 25%
ე) 15-დან 20 წლამდე – 30%
ვ) 20 წელი და მეტი – 35%.

სამხედრო მოსამსახურეებს და სამოქალაქო პირებს მაღალმთიან ადგილებში სამსახურისთვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით (ზღვის დონიდან):

ა) 1500 მეტრამდე ძნელად მისადგომ ადგილებში – 15%;
ბ) 1500-2000 მეტრამდე – 20%;
გ) 2000-2500 მეტრამდე – 30%.

1500 მეტრამდე ძნელად მისადგომი ადგილების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს, რომლებიც ქვედანაყოფებთან ერთად გასული არიან მუდმივი დისლოკაციის (დაბანაკების) პუნქტის გარეთ – სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებში, ბანაკებში, პოლიგონებზე, სათადარიგო აეროდრომებზე, მანევრებსა და წვრთნებზე, სამხედრო ამოცანათა დამუშავებისთვის, ახალი სამხედრო ტექნიკის შესწავლისა და ათვისებისთვის (მეცადინეობაზე გასვლის დღიდან მეცადინეობის დამთავრების დღის ჩათვლით, რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი შტაბის სასწავლო გეგმით), ეძლევათ საველე ფული ყოველდღიური ანაზღაურების სახით თანამდებობრივი სარგოს 3%-ის ოდენობით.

სამხედრო მფრინავებს თანამდებობრივი სარგო მიეცეთ სამმაგი ოდენობით და ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვალოთ ნამსახურების სამ დღედ, ხოლო მფრინავ შემადგენლობას – ორმაგი ოდენობით და ნამსახურობის ერთი დღე ჩაეთვალოთ ნამსახურობის ორ დღედ. აღნიშნული კატეგორიის შემადგენლობის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ამასთან, სამხედრო მფრინავებს თითოეული საბრძოლო გაფრენისთვის ეძლევათ დანამატი 60 ლარის ოდენობით.

სამხედრო-საზღვაო ძალების მცურავი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს ეძლევათ შემდეგი დანამატი:

ა) საზღვაო აკვატორიაში საბრძოლო მორიგეობისას ზღვაში ყოფნის ყოველი ერთი საათისთვის – 0,8 ლარის ოდენობით;

ბ) საბრძოლო მორიგეობისას შეზღუდული საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმში ბაზაში დგომის ყოველი ერთი საათისთვის – 0,4 ლარის ოდენობით;

გ) ზღვაში ყოფნის ყველა სხვა შემთხვევაში (წვრთნები, მანევრები და ა.შ.) ყოველი ერთი საათისთვის – 0,2 ლარის ოდენობით.

სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს (გარდა უცხო ენის სპეციალისტებისა) უცხო ენების ცოდნისა და სამსახურში პრაქტიკული გამოყენებისთვის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) დასავლეთ ევროპული ერთი ენის ცოდნისთვის – 10%;

ბ) აღმოსავლეთ ქვეყნების ერთი ან დასავლეთ ევროპული ორი ენის ცოდნისთვის – 20%;

გ) აღმოსავლეთ ქვეყნების ორი ან დასავლეთ ევროპული სამი ენის ცოდნისთვის – 30%.

სამხედრო მოსამსახურეებსა და სამოქალაქო პირებს სამეცნიერო ხარისხისთვის ეძლევათ ყოველთვიური პროცენტული დანამატი თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) მეცნიერებათა კანდიდატს – 15%;
ბ) მეცნიერებათა დოქტორს – 25%.

# როგორ იცავენ ამერიკის პრეზიდენტს




გამარჯობა ძვირფასო არსენალელებო... ახლა ბევრი მითქმა-მოთქმაა აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. მაინტერესებს, როგორ იცავენ მის უსაფრთხოებას და საერთოდ, როგორ მუშაობს აშშ-ის პრეზიდენტის დაცვა როგორც აშშ-ში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

*ზურა ქსოვრელი*



სახელმწიფოს პირველ პირთა დაცვის აუცილებლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი საკითხი იყო. მეფეები, სულთნები თუ პრეზიდენტები მმართველობის პირველივე წუთიდან თავიანთი პირადი გვარდიის ფორმირებას იწყებდნენ, რომლის ვალდებულებაც პირველი პირისა და მისი ოჯახის წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო. ასეთ სამსახურებში მუდამ საუკეთესოთა შორის საუკეთესონი მსახურეობდნენ. ისინი სამხედრო პირთა ელიტას წარმოადგენდნენ. ყველა მათგანი შესანიშნავად ფლობდა იარაღს და ორთაბრძოლის სხვადასხვა საშუალებას. მაგრამ ყველაზე მთავარ კრიტერიუმად მაინც ერთგულება მიიჩნეოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ეს ნიშან-თვისება ხდებოდა ხშირად გადამწყვეტი. ისტორიისთვის კარგად არის ცნობილი ისეთი შემთხვევები, როდესაც სწორედ პირადი დაცვის წევრებს, რომლებიც ამავე დროს შეთქმულების მოთავეებიც კი ყოფილან, მოუკლავთ დაცვის ობიექტი. ისტორიის განვითარებასთან ერთად იცვლება თავდამსხმელთა მოტივებიც. ახლა გარდა პოლიტიკური მტრებისა, რელიგიური ფანატები და უბრალოდ, ფსიქიკურად დაავადებულები მომრავლდნენ. იმისთვის, რომ ამ მიმართულებით ბრძოლა ეფექტური გამხდარიყო, საჭირო გახდა პირველი პირების უსაფრთხოების სამსახურის შეცვლა.

აშშ-ის საიდუმლო სამსახური დღესდღეობით პირადი დაცვის ერთ-ერთი ყველაზე პროფესიული გუნდია მსოფლიოში. მისი მუშაობა გასაიდუმლოებულია და მასზე მეტად მწირი ინფორმაცია არსებობს. სწორედ მის მაგალითზე განვიხილავთ ამ მძიმე სპეციალობის ნიუანსებს.

შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახური 1865 წლის 5 ივლისს ფინანსთა სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა. ამ სამსახურის პირველი ამოცანა ყალბი ფულის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. დაახლოებით 30 წლის შემდეგ მას პრეზიდენტის უსაფრთხოების დაცვის ფუნქციაც დაეკისრა.

საიდუმლო სამსახურის აგენტები თავდაპირველად მხოლოდ თეთრ სახლს იცავდენ და, პრაქტიკულად, არ ევალებოდათ შეესრულებინათ რაიმე ამოცანა მის ფარგლებს გარეთ. აშშ-ის პრეზიდენტების დაცვა შენობიდან გასვლისას, ადგილობრივი პოლიციის განყოფილებებზე იყო დამოკიდებული. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე პრეზიდენტის დაცვა 27 კაცისაგან შედგებოდა, რამდენიმე წელიწადში მათი რიცხვი 34-მდე გაიზარდა. 1922 წელს აშშ-ის კონგრესმა შექმნა განსაკუთრებული ორგანიზაცია – თეთრი სახლის პოლიცია, რომელიც 33 კაცისაგან შედგებოდა. 1940 წელს ამ სამსახურის თანამშრომელთა რიცხვი 80-მდე, 1942 წელს კი 140-მდე გაზარდეს. მას შემდეგ, რაც 1963 წელს პრეზიდენტი კენედი მოკლეს, საიდუმლო სამსახურმა, სერიოზული რეორგანიზაცია განიცადა. თუ ამ წელს თანამშრომელთა რიცხვი 412 კაცს შეადგენდა, 70-იანი წლებისათვის მათმა რიცხვმა ორიათასს მიაღწია. შემუშავდა ახალი საკანონმდებლო აქტები, რომელთა თანახმადაც დაცვის უფლებები გაფართოვდა და პრეზიდენტს ავალდებულებდა გაეთვალისწინებინა მისი მოთხოვნები და რჩევები.

ამ სამსახურის პირადი შემადგენლობა დღესდღეობით რამდენიმე ათას კაცს შეადგენს. შეიცვალა სამსახურის მიზანიც. ახლა მას არა მხოლოდ პრეზიდენტის, არამედ დიპლომატიური მისიების და ფინანსთა სამინისტროს გარკვეული ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფაც ევალება.

თეთრი სახლი მუდმივად ყურადღების




პირველ პირთან ერთად სამოგზაუროდ მიემგზავრება ლიმუზინიც და, თანაც ერთი კი არა — ოთხი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრშია. განსაკუთრებით კი ტერორისტების ან ფსიქიურად დაავადებული ადამიანების ინტერესის საგანს წარმოადგენს. აქ ყოველდღიურად ფიქსირდება უცხო პირების აკრძალულ ტერიტორიაზე შესვლის მცდელობის შემთხვევები. რამდენიმე ასეთ მაგალითს მოგითხრობთ.

1974 წელს ადამიანმა, რომელიც საკუთარ თავს მესიად თვლიდა, პრეზიდენტის რეზიდენციის ჭიშკარი ავტომობილით შეანგრია და გამოაცხადა, რომ მანქანა დანაღმული იყო. მასთან მოლაპარაკება ოთხი საათის მანძილზე გრძელდებოდა, ბოლოს კი სპეცრაზმელებმა გააუვნებელყვეს. „მესიის" სტუმრობის შემდეგ, თეთრი სახლის თითქმის ასი წლის ლამაზი ჭიშკარი თანამედროვე კარით შეცვალეს, რათა ამგვარი შემთხვევა აღარ განმეორებულიყო. თუმცა ბოროტმოქმედები ვერც რკინის ულტრათანამედროვე კარმა და ვერც 1983 წელს წამოჭიმულმა ბეტონის მაღალმა კედლებმა დააშოშმინა. პირიქით, თურმე მანიით შეპყრობილ ადამიანებს განსაკუთრებით იზიდავდა თეთრი სახლის კედლები. არაერთხელ დაფიქსირებულა ღობეზე გადაძრომის შემთხვევა. 1976 წელს, ვაშინგტონელმა ტაქსის მძღოლმა 2,5 მეტრიანი რკინის მილის საშუალებით ღობის გადალახვა მოახერხა და დაცვის წევრმა მაშინ მოკლა, როცა ამ მილით ხელში სახლის უახლოესი ფანჯრისკენ გაიქცა.

1978 წელს ერთ-ერთმა ფანატიკოსმა გადაწყვიტა დაერწმუნებინა პრეზიდენტი კარტერი, რომ აშშ დოლარზე გაკეთებული წარწერა — „ჩვენ გვწამს ღმერთი", მკრეხელობაა. მან კიმონო ჩაიცვა, ხელში ბიბლია დაიკავა და ღობეზე გადაძვრა. როდესაც დაცვამ მისი შეჩერება სცადა, ამ უკანასკნელმა წიგნში დამალული დანა ამოიღო და დაცვის ერთ-ერთი წევრი დაჭრა. დაცვამ ის ცოცხლად შეიპყრო, თუმცა ნებისმიერი მსგავსი ფაქტის შემთხვევაში მათ უფლება აქვთ გაუფრთხილებლად გახსნან ცეცხლი...

დაფიქსირებულა მეტად სახალისო შემთხვევებიც. მაგალითად, ერთი ბოროტმოქმედი დაცვას წყლის პისტოლეტით ემუქრებოდა. მისდა სამწუხაროდ, დაცვის წევრებს „იუმორის გრძნობამ უმტყუნა" და ვაჟბატონი ვირის აბანოში მიაბრძანეს.

თეთრ სახლში შესასვლელად ხშირად გამოუყენებიათ ყალბი დოკუმენტებიც. მაგალითად, 1985 წელს ერთმა სტუდენტმა, რომელმაც თავი ორკესტრის მუსიკოსად გაასაღა, მართალია სულ 15 წუთით, მაგრამ მაინც შეძლო შენობაში შესვლა. ხანდახან თეთრ სახლს უხარმაზარი დემონსტრაციებიც კი ესხმოდნენ თავს.

არსებობს ვერსია, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს გატაცებული ერთ-ერთი ლაინერი სწორედ თეთრი სახლისთვის იყო „განკუთვნილი". 1974 წელს ერთ-ერთმა გაკოტრებულმა ბიზნესმენმა, რომელიც ფსიქიკური აშლილობით იყო დაავადებული, მოკლა აეროპორტის დაცვის წევრი, ორი პილოტი და თვითმფრინავით თეთრ სახლზე თავდასხმა მოინდომა. მან ძალზე გვიან აღმოაჩინა, რომ უპილოტოდ თვითმფრინავის მართვა არ შეეძლო და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა თავი მოიკლა.

1977 წლიდან პრეზიდენტის დაცვის სამსახურმა ახლანდელი სახელწოდება შეიძინა — „საიდუმლო სამსახური". ის დღემდე ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მისი ხელმძღვანელი პრეზიდენტს კი არა, ფინანსთა მინისტრს ექვემდებარება. აშშ-ის სს-ს შტაბ-ბინა, ასევე დაცვის ქვედანაყოფის უმთავრესი ნაწილი, ვაშინგტონშია განთავსებული. ამჟამად პრეზიდენტის უშუალო დაცვას მისი პირადი დაცვის დივიზიონი (Prezidental Protective Division) უზრუნველყოფს. სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა დღესდღეობით 5 ათასს კაცს შეადგენს. მათგან დაახლოებით 2100 სპეციალური აგენტია. 1200 მსახურობს „დაცვის ქვედანაყოფში", 1700 კი ტექნიკურ, ადმინისტრაციულ და სხვა დამხმარე პერსონალს წარმოადგენს. საიდუმლო სამსახურის თანამშრომელი აუცილებლად უნდა იყოს 21-დან 37 წლამდე, აშშ-ის მოქალაქე. უნდა იყოს ჯანმრთელი და გაიაროს შემოწმება საიმედოობაზე. დაცვის ნაწილში მსახურების მსურველს საკმარისია ჰქონდეს საშუალო განათლება და ჩააბაროს წერილობითი ტესტი. მათ კი, ვისაც სპეციალური აგენტის წოდებაზე აქვთ პრეტენზია, ბაკალავრის დიპლომის წარდგენა და გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. სპეციალურ აგენტსა და უბრალო დაცვის წევრს შორის სხვაობა ისაა, რომ პირველს შეუძლია აწარმოოს გამოძიებაც და დაცვითი ოპერაციებიც. მეორეს ფუნქცია კი მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.

სპეციალური აგენტები ხშირად იმეორებენ, რომ მათ პირველი პირის გულის ცემაც კი ესმით. საკმარისია პრეზიდენტმა მაგიდის ქვედა მხარეზე განლაგებულ „განგაშის ღილაკს" მუხლი მიაჭიროს, რომ ოვალური კაბინეტი ორ წამში დაცვის წევრებით გაივსება.

როდესაც პრეზიდენტი თავის სამუშაო კაბინეტში იმყოფება, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია პარკის სამხრეთი ნაწილი, რადგანაც აქედან, სადაც უამრავი ტურისტი თუ უბრალო გამვლელი მოძრაობს, ყველაზე კარგად მოჩანს ეს ოთახი. უსაფრთხოების მიზნით შეცვლილია პარკის ამ ნაწილის რელიეფი. თუკი ვინმე შეეცდება ოვალური კაბინეტისაკენ ტყვია გაისროლოს, იგი ან ხეს ან ბეტონის საყვავილეს მოხვდება, ყოველი ნარგავი თუ ნივთი ერთგვარი სანგრის ფუნქციას ასრულებს. საიდუმლო სამსახურმა გამოთვალა ტყვიის ფრენის ყველა შესაძლო ტრაექტორია და გამორიცხა მისი ოვალურ კაბინეტში მოხვედრის ალბათობა.

თეთრი სახლის ნაწილი ღიაა ტურისტული ექსკურსიებისთვის. წელიწადში აქ დაახლოებით მილიონ ორასი ათასი ტურისტი მიდის. საიდუმლო სამსახური მათ ყურადღებით „ფილტრავს", სპეციალური აპარატურა კი ამოწმებს, რომ შენობაში იარაღით არავინ შევიდეს.

მოკლედ რომ ვთქვათ, თეთრი სახლი აქტიური სახელმწიფო ცენტრია. წელიწადში აქ დაახლოებით 216 ათასი ოფიციალური პირი და 18 ათასი მაღალი ან საშუალო რანგის სტუმარი მოდის. რეზიდენციის მუდმივი საშვი მხოლოდ 5400



ქალაქში პრეზიდენტის ლიმუზინით მგზავრობა მეტად ხმაურიანი და შთამბეჭდავი სანახაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანს აქვს, რომელთა შორის 2000 აკრედიტებული ჟურნალისტია.

თვად თეთრი სახლის პერიმეტრში მსახურობს ხუთასი ფორმიანი ოფიცერი და ამდენივე აგენტი სამოქალაქო ტანსაცმელში. კიდევ ასი ექსპერტი უზრუნველყოფს ტექნიკურ საკითხებს და იმ ბარგის შემოწმებას, რომელიც რეზიდენციის ტერიტორიაზე შედის. საიდუმლო სამსახურის სამეთაურო პუნქტი უშუალოდ ოვალური კაბინეტის ქვევით მდებარეობს. სწორედ აქ შედის მთელი ინფორმაცია და გაიცემა ყველა ბრძანება. პუნქტთან მუდმივი კავშირი აქვს სპეციალურ სარაკეტო დანაყოფს, რომელიც ასევე რეზიდენციის ტერიტორიაზეა განლაგებული. პარკში დამონტაჟებულია შენიღბული „მიწა-ჰაერის" ტიპის სარაკეტო კომპლექსები. დანაყოფის ნაწილი კი ხელის გადასატანი სარაკეტო კომპლექსებით არის აღჭურვილი. ვერც ერთი თვითმფინავი თუ ვერტმფრენი ვერ მიუახლოვდება თეთრ სახლს სპეციალური ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტს ჩამოაგდებენ. სადაც არ უნდა მიდიოდეს პრეზიდენტი, ჰოსპიტალში თუ ქალაქგარე რეზიდენცია კემპ დევიდში, იგი ვერტმფრენს იყენებს, უფრო ზუსტად კი, ორ ვერტმფრენს. ერთი თეთრი სახლის პატარა მინდორზე ჯდება, მეორე კი, რომელიც აგენტებისთვისაა განკუთვნილი, ჰაერში კიდია.

ქალაქში პრეზიდენტის ლიმუზინით მგზავრობა მეტად ხმაურიანი და შთამბეჭდავი სანახაობაა. სახელმწიფო დროშითა და პრეზიდენტის შტანდარტით შემკულ ლიმუზინს წინ პოლიციისა და დაცვის აგენტების რამდენიმე მანქანა მიუძღვის, ამდენივე უკან მისდევს. ქუჩა ივსება საყვირების ხმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი მძღოლი ვალდებულია დროებით შეჩერდეს და გზა ესკორტს დაუთმოს. ქალაქში კორტეჟის მოძრაობის სიჩქარე 15 კმ/სთ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ეს კეთდება იმისათვის, რომ საიდუმლო სამსახურის აგენტებმა ნებისმიერ მომენტში დროულად მოახდინონ რეაგირება. აგენტები ქალაქში მგზავრობისას აკვირდებიან სახლის სახურავებს, ფანჯრებს, კარებს. წინასწარ გეგმავენ მარშრუტის სამ შესაძლო ვარიანტს, რომელთაც წინასწარვე სწავლობენ. ამათგან მხოლოდ ერთმა აგენტმა, რომელიც მოწინავე მანქანაში ზის, იცის, თუ რომელი კონკრეტული მიმართულებით უნდა წავიდეს. პრეზიდენტის მანქანაში ჩაჯდომისთანავე ესკორტი მოძრაობის ჩვეული რიტმით მიდის და ერთხელაც არ ჩერდება დანიშნულ პუნქტამდე. კორტეჟი დაგვიანებულებს არ ელოდება. ხშირად მომხდარა, რომ აგენტებს მოვალეობის შესრულებისას სენატორები, ოფიციალური პირები და შეყოვნებული პირველი ლედიც კი დაუტოვებიათ.



პრეზიდენტის კორტეჟი დაგვიანებულებს არ ელოდება. ხშირად მომხდარა, რომ აგენტებს მოვალეობის შესრულებისას სენატორები, ოფიციალური პირები და შეყოვნებული პირველი ლედიც კი დაუტოვებიათ

საიდუმლო სამსახური ფლობს ყველა საეჭვო პირის დოსიეს და ნებისმიერ მათ გადაადგილებას აკვირდება.

დაცვის სამსახურს არა აქვს უფლება ჩაერიოს დემოკრატიულ პროცესებში. დემონსტრანტებს, რომლებიც მრავლად იკრიბებიან ვაშინგტონის ქუჩებში, უფლება აქვთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება პრეზიდენტის მიმართ ნებისმიერი სიტყვით და ამ შემთხვევაში დაცვა უმოქმედოდაა. სანამ აქციის მონაწილეები ტრანსფორმატებს არ წამოწევენ, მათ არ აქვთ მიზეზი, ისინი პრეზიდენტისათვის სახიფათოდ მიიჩნიონ. დაცვა არასოდეს ცდილობს იყოს შეუმჩნეველი. ამას გარკვეული ფსიქოლოგიური ეფექტიც აქვს. მრისხანე შავსათვალიანების ხილვისას ბოროტმოქმედი იწყებს ნერვიულობას და უშვებს შეცდომებს. რაც შეეხება აგენტთა შავ სათვალეს, ისინი მათ ორი მიზეზით ატარებენ: ჯერ ერთი, რომ სათვალე იცავს თვალებს იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე საღებავის ან მჟავას სახეში შესხმას მოისურვებს (ასეთებიც მომხდარა) და მეორე – შავი სათვალის მიღმა არ ჩანს, თუ საით არის მიმართული აგენტის მზერა.

პრეზიდენტის საზღვარგარეთ მოგზაურობა განსაკუთრებული თემაა. ამისთვის ემზადება ყველა – თეთრი სახლის აპარატი, საიდუმლო სამსახური და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტთა კორპუსი. ჩვეულებრივ მგზავრობისას პრეზიდენტს ახლავს ოთხასამდე ადამიანი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მათი რიცხვი ათასებს აღწევს. ვიზიტამდე, დანიშნულ სახელმწიფოში იგზავნება სპეციალური დანაყოფი, რომელიც ოფიციალურ პირთა და საიდუმლო სამსახურის წევრთაგან შედგება. ისინი ადგილობრივ ხელისუფლებასთან და თავდაცვის ორგანოებთან ვიზიტის ყველა დეტალს ამუშავებენ. სპეციალური აპარატურით ამოწმებენ შენობებს და სწავლობენ მოძრაობის მარშრუტებს. დგამენ შესაძლო გაუთვალისწინებელი შემთხვევების სცენარს, სწავლობენ ყველა გზაჯვარედინსა და ქუჩას. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ლიმუზინი აუღებელი ციხესიმაგრეა, წინასწარ გამოთვლიან, თუ სად, რა სიჩქარით უნდა იმოძრაოს მან. თავად ავტომობილი დაჯავშნულია, აქვს ტყვიაგაუმტარი მინები, თვითვულკანიზებადი და თვითწებადი საბურავები.

პირველ პირთან ერთად სამოგზაუროდ მიემგზავრება ლიმუზინიც და, თანაც ერთი კი არა – ოთხი. საზღვაო ქვეითი კორპუსის №1 ვერტმფრენიც კი გიგანტურ სატრანსპორტო ლაინერის ფუზელაჟში იტვირთება. ეს ყველაფერი იმით აიხსნება, რომ პრეზიდენტი სამხედრო ძალების მთავარსარდალია და იგი მხოლოდ თავისი, სპეციალური საკომუნიკაციო აპარატურით აღჭურვილი ტრანსპორტით უნდა გადაადგილდებოდეს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის საიდუმლო სამსახურს დაახლოებით ასი წარმომადგენელი ჰყავს ყველა შტატში. ისინი იმყოფებიან მსოფლიოს ხუთ უმსხვილეს დედაქალაქშიც – პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომსა და ბანგკოკში.

აშშ-ის საიდუმლო სამსახურს აქვს თავისი სასწავლო ცენტრი ჯორჯიის შტატში. ახალწვეულები აქ გადიან სწავლებას ცხრა თვის მანძილზე, რომლის დამთავრების შემდეგაც საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთ „საველე ოფისში" იწყებენ სამსახურს და მხოლოდ ხუთი-რვა წლის მსახურობის შემდეგ თუ ეძლევა ზოგიერთ მათგანს შანსი აშშ-ის პრეზიდენტის პირად დაცვაში ჩაირიცხოს.

**ანა ფალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები

**უკრაინა ევროპის დიდი საზღვაო სახელმწიფოა, რომლის საზღვრების მესამედი შავი და აზოვის ზღვებზე, პორტ უსტ-დუნაისკიდან ქალაქ მარიუპოლამდე გრძელდება.**

**საზღვაო საზღვრების საერთო სიგრძე 1900 კილომეტრია და ზღვაზე ქვეყნის სუვერენიტეტისა და ინტერესების მთავარი გარანტი სამხედრო-საზღვაო ძალებია.**




კორვეტები (პროექტი 1124). შეიარაღება: 57მმ-იანი ან 76მმ-იანი ქვემეხები, 30მმ-იანი საზენიტო ავტომატები, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „OCA M"-ი, 533მმ-იანი სატორპედო აპარატები, რეაქტიული ბომბების სატყორცნი დანადგარები;

საზღვაო ტრადიციებსა და ისტორიას საფუძველი ზაპოროჟიელმა კაზაკებმა ჩაუყარეს. კაზაკები მსუბუქი, სწრაფი „ჩაიკებით" (საზღვაო ლაშქრობებისათვის განკუთვნილი ნიჩბებიანი ნავი. ატარებდა 12-15 წყვილ ნიჩაბსა და 4 მეტრი სიმაღლის მოსახსნელ ანძას) მდინარე დნეპრიდან ეშვებოდნენ და შორეულ მანძილებზე აზოვის, შავსა და ხმელთაშუა ზღვებში სამხედრო ოპერაციებს ატარებდნენ. ლაშქრობები წინასწარ იგეგმებოდა, ხოლო სამიზნეს სიცილია, კორსიკა, ეგვიპტე და სხვა ქვეყნები წარმოადგენდა. XVI საუკუნის შუა წლებში შავ ზღვაში თურქეთის ფლოტს ჰეტმანი სამუელ კოშკა დაუპირისპირდა. საზღვაო ლაშქრობებში სახელი გაითქვეს მამაცმა ატამანებმა პოკატილამ, კალგიმ, ლებედმა და სხვებმა. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში თურქებთან ბრძოლებში განსაკუთრებით ისახელა თავი ჰეტმანმა პეტრე საგაიდაჩნიმ.

1917 წელს უკრაინამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და პატრიოტულად განწყობილმა მეზღვაურებმა 12 ოქტომბერს სევასტოპოლში საესკადრო ნალმოსან „ზავიდნიზე" უკრაინის ეროვნული დროშა აღმართეს. რუსეთის საზღვაო მინისტრის ნების წინააღმდეგ რადას განკარგულებაში კიდევ რამდენიმე ხომალდი გადავიდა, ხოლო 1918 წლის აპრილისათვის სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის უმეტეს ხომალდებზე უკრაინის დროშა ფრიალებდა. მაშინ მოვლენები სხვა მიმართულებით განვითარდა და საქმის ბოლომდე მიყვანა არ მოხერხდა.

უკრაინის შეიარაღებული ძალების შექმნის წინაპირობა გახდა პირველი პრეზიდენტის ლეონიდ კრავჩუკის მიმართვა ქვეყნის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო მოსამსახურეებისადმი, სადაც მათ უკრაინის ერთგულებაზე ფიცის მიღებისაკენ მოუწოდა. 1992 წლის 18 იანვარს მფრინთავთა მე-3 სკოლამ უკრაინელ ხალხს ერთგულება შეჰფიცა. შემდეგ მას კიდევ სხვა საზღვაო ნაწილები შეუერთდა.

1992 წლის 5 აპრილს პრეზიდენტმა კრავჩუკმა ხელი მოაწერა ბრძანებას „უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნაზე", რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე დისლოცირებული შავი ზღვის ფლოტის ნაწილების საფუძველზე უნდა შექმნილიყო. კიევის ენერგიულ ნაბიჯებს რუსეთის მხრიდან ბევრი წინააღმდეგობა დახვდა.

რამდენიმე ხომალდის ეკიპაჟმა უკრაინის დაქვემდებარებაში გადასვლა სცადა, მაგრამ რუსებმა ძალისმიერი მეთოდებით ეს მცდელობები აღკვეთეს. 1992 წლის 21 ივლისს დონუზლავში სადარაჯო ხომალდ СКР-112-ზე მეთაურის კაპიტან-ლეიტენანტ სერგეი ნასტენკოს ბრძანებით, უკრაინის დროშა აღიმართა და ხომალდმა კურსი ოდესისაკენ აიღო. უკრაინულ „პოტიომკინს" შავი ზღვის ფლოტის სარდლობამ კორვეტი МПК-93, სარაკეტო კატარღა Р-60, სადესანტო ხომალდი МДК-184, სადარაჯო ხომალდი „რაზიტელნი" და საბრძოლო თვითმფრინავები დაადევნა. СКР-112-ის კურსის მიმართულებით გაკეთდა გასროლები, დესანტის გადასხმისა და სავალი ხრახნების მწყობრიდან გამოყვანის მცდელობები, მაგრამ ეკიპაჟმა მაინც შეძლო ოდესამდე მშვიდობიანად მიეღწია. СКР -112 უკრაინის პირველი საბრძოლო ხომალდი გახდა.

ერთი კვირის შემდეგ უკრაინის ფლოტს შეემატა დიდი სადაზვერვო ხომალდი „სლავუტიჩი", რომელიც ნიკოლაევში საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტისათვის შენდებოდა.

1993 წლის აპრილში კიევმა დაიქვემდებარა ოდესაში ხომალდების კონსერვაციის დივიზიონი, რომლის ბაზაზე პირველი საწყალოსნო რაიონის ცალკეული დივიზიონი ჩამოყალიბდა. იმავე თვეში იზმაილში დაიშალა სამდინარე კატარღების ბრიგადა, რომელიც მე-3 საწყალოსნო რაიონის ცალკეულ დივიზიონად გადაკეთდა. ეროვნული საზღვაო ძალების ფორმირება ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობდა. 1994 წლის ივლისიდან ყოველი ხომალდის ბორტზე ასო „U" – „უკრაინა" და შემდეგ მისი ნომერი იწერება.



დიდი სადესანტო ხომალდი U402 კონსტანტინ ოლშანსკი (პ.775)

ეროვნული ბიბლიოთეკა

1997 წლის 1 აგვისტოს უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი საზღვაო აღლუმი შედგა „სლავუტიჩის“, „ჰეტმან საგაიდაჩნის“, „ხმელნიცკის“, „ვინიცას“, „შოსტკას“, სხვები მცურავი საშუალებების, ავიაციისა და საზღვაო ქვეითების მონაწილეობით.

უკრაინას მაღალგანვითარებული გემთმშენებელი მრეწველობა აქვს, რომელიც ფლოტის ახალი ხომალდებით შევსებაში წამყვან როლს თამაშობს. 1993 წელს ქერჩის ქარხანა „ზალივმა“ ფლოტს ფრეგატი „ჰეტმან საგაიდაჩნი“ გადასცა. იმავე წელს ფლოტს კორვეტი „ლუცკი“ შეემატა. 1995 წელს დასრულდა საჰაერო ბალიშის პრინციპზე მოცურავე პატარა სადესანტო ხომალდი „დონეცკის“ მშენებლობა. ცოტა ხნის წინ რემონტის შემდეგ მუდმივი მზადყოფნის ძალებს სარაკეტო კორვეტი „პრიდნეპროვე“ დაემატა. დასრულების სტადიაშია კორვეტი „ტერნოპოლი“. ნიკოლაევის ერთ-ერთ ქარხანაში დგას სარაკეტო კრეისერი „უკრაინა“, რომლის აგება 1984 წელს დაიწყო. არსებული ინფორმაციით, მოსალოდნელია კრეისერის რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარად გაყიდვა. თუმცა არის გარკვეული სიძნელეებიც. რაკეტულ ტექნოლოგიებზე რეჟიმის საერთაშორისო კონტროლი 300 კმ-ზე შორს მფრინავი რაკეტების გაყიდვას კრძალავს, არადა „უკრაინაზე“ შტატით გათვალისწინებული რაკეტა „ბაზალტი“ 500 კმ-ზე დაფრინავს. ამასთანავე, გაყიდვაზე რუსეთის თანხმობაა საჭირო.

საკმაოდ მძიმე და ხანგრძლივი აღმოჩნდა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პროცესი. 1997 წლის 28 მაისს უკრაინისა და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პარამეტრებზე“. შეთანხმებით ფლოტი პროპორციით 50X50 გაიყო. ნაწილი ხომალდების (117 ერთეული) გადაცემაზე რუსეთმა უარი განაცხადა და ამის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია გაიღო. საბოლოოდ, უკრაინას შეხვდა: 43 საბრძოლო ხომალდი, 115 უზრუნველყოფის გემი, კატარღა და სხვა საშუალება, 17 სარეიდო კატარღა, 12 თვითმფრინავი,


წყალქვეშა ნავი ზაპოროჟიე
მთავარი იარაღი 533მმ-იანი 10 სატორპედო აპარატია. შეუძლია 22 ტორპედოს ან 32 ნაღმის ტარება.

30 შვეულმფრენი, 227 სანაპირო ობიექტი, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების 50%.

შავი ზღვის ფლოტი კი გაიყო, მაგრამ უკრაინა-რუსეთის ურთიერთობებში ჯერ ისევ გასაკვევი რჩება აზოვის ზღვის სტატუსი. არ არის დარეგულირებული ქერჩის არხებისა და ფარვატერების კუთვნილება. 2003 წლის სექტემბერში, როცა რუსეთმა ქერჩის სრუტეში კუნძულ ტუზლას მიმართულებით დამბის მშენებლობა წამოიწყო, ამას ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა; უკრაინა უსაფრთხო ნაოსნობის, ნავიგაციური და ჰიდროგრაფიული უზრუნველყოფისათვის ყველა იმ ჰიდროგრაფიული ობიექტისა და გემის გადმოცემას მოითხოვს, რომლებიც შავი ზღვის ფლოტის გაყოფის შემდეგ რუსეთს დარჩა.

საერთაშორისო კონტაქტები სამხედრო-საზღვაო ძალების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც 1993 წლიდან ოდესაში იტალიური სადესანტო ხომალდი „სან ჯორჯიოს“ ვიზიტით დაიწყო. 1994 წლის 2 ივლისს ფრეგატი „ჰეტმან საგაიდაჩნი“ რუანში იმყოფებოდა და ნორმანდიაში მოკავშირეთა დესანტის გადმოსხმის 50 წლისთავის ზეიმში მონაწილეობდა.

ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურება უკრაინული ხომალდების მეგობრული ვიზიტები აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, საქართველოს, თურქეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების პორტებში. თავის მხრივ, უკრაინის პორტებში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, იტალიის, საქართველოსა და სხვა ქვეყნების ხომალდები.

უკრაინა 1994 წელს „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამას შეუერთდა და „სი ბრიზ 94“-ში კორვეტი „ლუცკით“ იყო წარმოდგენილი. საზღვაო ძალების ხომალდები, ავიაცია და ქვეითები რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო სწავლებებში „სი ბრიზ“ (აშშ/უკრაინა), „კოოპერატივ პარტნერ“(NATO), „შავი ზღვის პარტნიორობა“ (თურქეთი), „ბრიზი“ (ბულგარეთი) და სხვა.

საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში, როცა აფხაზეთიდან დევნილი ქართველების კოდორის ხეობიდან გამოყვანა გახდა საჭირო, დახმარების ხელი უკრაინელმა საზღვაო მფრინავებმა გამოგვიწოდეს. Ka-27 ტიპის შვეულმფრენებმა ასეულობით ქართველი გადაარჩინეს. უკრაინა საქართველოს მცურავი საშუალებებით დაეხმარა, როცა ჩვენი ქვეყანა საზღვაო საზღვრის დაცვას იწყებდა. ბალაკლავაში რემონტი რამდენიმე ქართულმა კატარღამ გაიარა.

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების მოვალეობად რჩება შეიარაღებული კონფლიქტების შეჩერება, ლოკალიზაცია და ნეიტრალიზაცია, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ერთად ზღვის მხრიდან აგრესიის მოგერიება.

მთავარი ამოცანებია: შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნება „ბლექსიფორის“ ფარგლებში; საერთაშორისო და შიდა ტერორიზმის, მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა; იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღკვეთა; ოპერატიულ ზონაში ხელსაყრელი რეჟიმის შენარჩუნება; განაღმვის ოპერაციები; ზღვაზე სამაშველო ოპერაციების წარმოება; საერთაშორისო სამშვიდობო-

პატარა, სადესანტო ხომალდი საჰაერო ბალიშზე U420 დონეცკ (პ.129 8ვნ.)



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰუმანიტარულ ოპერაციებში მონაწილეობა და სხვა.

სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედის: წყალზედა და წყალქვეშა ძალები, საზღვაო ავიაცია, სანაპირო სარაკეტო ჯარები, საზღვაო ქვეითი და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.

ორგანიზაციულად საზღვაო ძალები აერთიანებს სარდლობას, ნაირგვაროვანი ძალების ესკადრას, სამხრეთისა და დასავლეთის სამხედრო-საზღვაო რაიონებს, საზღვაო საავიაციო ბრიგადას, სანაპირო თავდაცვის ბრიგადას, სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებს, საბრძოლო, ტექნიკური, ზურგისა და სამედიცინო სამსახურის ნაწილებსა და დაწესებულებებს, სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ინსტიტუტს, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს.

სამხედრო-საზღვაო ძალებში ამჟამად დაახლოებით 20 ათასი ადამიანი მსახურობს. გააჩნია 30-მდე საბრძოლო ხომალდი და კატარღა, 50-მდე უზრუნველყოფის გემი და კატარღა. რეფორმებით, რომლის მთავარი მიზანია თანამედროვე სამხედრო სტრუქტურის შექმნა, 2015 წლისათვის სამხედრო-საზღვაო ძალებს ეყოლება 20 საბრძოლო ხომალდი და კატარღა, 40 დამხმარე გემი, 10 თვითმფრინავი, 20 შვეულმფრენი. დაგეგმილია ახალი ხომალდების აგება და მოძველებულის მოდერნიზაცია.

საზღვაო ავიაციაში დაახლოებით 2500-მდე სამხედრო მსახურობს და აქვს 14 ჰიდროთვითმფრინავი Бе-12, 28 შვეულმფრენი Ка-25 და Ка-28, სატრანსპორტო თვითმფრინავები Ан-26, Ан-24. ძირითადი აეროდრომებია: ლიმანსკოე, ვესიოლოე, ოქტიაბრსკოე, მირნი.

სანაპირო დაცვის ძალებში 1800-მდე მოსამსახურეა. დისლოკაციის ადგილებია: სიმფეროპოლი, ევპატორია, პერევალნოე და მეჟგორიე; შეიარაღებულია სანაპირო სარაკეტო კოპლექსებით „უტიოსითა“ და „რუბეჟით“, 100მმ-იანი, 130მმ-იანი და 180მმ-იანი არტილერიით.

**მტრალავი**
**მელიტოპოლი (პ.1265)**




საზღვაო ქვეით ჯარში 1500 ადამიანია. აღჭურვილია ტანკებით, ჯავსანტრანსპორტიორებით, სარაკეტო სისტემებითა და სხვა.

საზღვაო ძალების მთავარი ბაზა სევასტოპოლშია სტრელეცკაიას უბეში; საზღვაო ბაზებია: დაბა დონუზლავი და დაბა ჩერნომორსკოე; ბაზირების პუნქტებია: იზმაილი, ოდესა, ოჩაკოვო, ნიკოლაევი, ქერჩი, ნოვოოზიორნოე, ბალაკლავა.

**სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაშია:**

*წყალქვეშა ნავი* U01 **ზაპორიჟიე** *(პ.641)* – უკრაინამ 1997 წლის 1 აგვისტოს მიიღო, მაგრამ აკუმულატორების უქონლობა მის მწყობრში შეყვანას აფერხებდა. აკუმულატორები საბერძნეთიდან შემოვიდა და მოსალოდნელია „ზაპორიჟიეს“ ფლოტის შემადგენლობაში შეყვანა.

*ფრეგატები*: U130 **ჰეტმან საგაიდაჩნი** *(პ.11351)* და U132 **სევასტოპოლ** *(პ.1135 )*;

*კორვეტები*: U200 **ლუცკ** *(პ.1124M)*, U206 **ვინიცა** *(პ.1124)*, U208 **ხმელნიცკი** *(პ.12412)*;

*სარაკეტო კატარღები*: U153 **პრილუკი** და U154 **კახოვკა** *(პ.206)*, U155 **პრიდნეპროვიე** და U156 **კრემენჩუგ** *(პ.12411)*; საარტილერიო კატარღა U120 **სკადოვსკ** *(პ.1400)*;

*მტრალავები*: საზღვაო U310 **ჩერნიგოვ** და U311 **ჩერკასი** *(პ.266)*; საბაზო: U330 **მელიტოპოლ** და U331 **მარიუპოლ** *(პ.1265)*; სარეიდო U360 **გენიჩესკ** *(პ.1258)*;

*სადესანტო ხომალდები*: დიდი U402 **კონსტანტინ ოლშანსკი** *(პ.775)*, საშუალო U410 **კიროვოგრად** *(პ.773)* და პატარა, საჰაერო ბალიშზე U420 **დონეცკ** *(პ.129 83წ.)*; ამავე პროექტის U421 **ივან ბოგუნი** და U423 **გორლოვკა** ბერძნებმა იყიდეს; პატარა სადესანტო კატარღა U537 **ვილ** *(პ.1176)*;

სპეცდანიშნულების ხომალდებიდან მწყობრშია მართვის ხომალდი U510 **სლავუტიჩი**. სადაზვერვო ხომალდები: საშუალო U511 **სიმფეროპოლი** და პატარა U512 **პერეიასლავი**; მალე დასრულდება საშტაბო ხომალდის U500 **დონბასის** აგება.

უზრუნველყოფის გემების შემადგენლობაშია: 4 ჰიდროგრაფიული გემი, 16 კატარღა, მაშველი გემები, ბუქსირები, ტანკერები, სატრანსპორტო გემები, ბარჟები და დახლოებით 50 ერთეულამდე სხვა მცურავი საშუალება.

2003 წლის 23 მაისიდან სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალია ვიცე-ადმირალი იგორ კნიაზი;

სამხედრო-საზღვაო ძალების დღეა 1 აგვისტო.

*თემური ჩაჩანიძე*





# МиГ-29

# „ჯიშიანი“ გამანადგურებელი

МиГ-29-ის პროექტირება საჭოთა კავშირში 1972-74 წლებში დაიწყო და იქცა მეოთხე თაობის ერთ-ერთ პირველ თვითმფრინავად, რომლითაც მოსკოვს ნამდვილად შეეძლო დასავლეთის გამანადგურებლებს დაპირისპირებოდა. ორძრავიანი МиГ-ის პირველი გაფრენა 1977 წლის 6 ოქტომბერს შედგა, ხოლო მისი სერიული გამოშვება მხოლოდ 5 წლის შემდეგ 1982 წელს დაიწყო მოსკოვის ქარხანა МАПО-ში.

სულ მოსკოვში აიწყო 1250 МиГ-29, ხოლო ნიჟნი ნოვგოროდში 200-ზე მეტი 2-ადგილიანი МиГ-29УБ სასწავლო-savარჯიშო თვითმფრინავი დამზადდა.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს 443 МиГ-29 ჰყავს შეიარაღებაში, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციას კი – 35.

ამ დროისთვის ბულგარეთს ჰყავს 22 МиГ-29, უნგრეთს – 28, ინდოეთს – 80, ერაყს – 30 (თუმცა აქედან 21 ინტერნირებულია ირანში), გერმანიას – 24 (ამასწინათ ბუნდესვერმა თავისი „მიგები“ პოლონეთს სიმბოლურ თანხად, – თითო ევროდ მიჰყიდა), იემენს – 4, ყაზახეთს – 22, რუმინეთს – 14, სლოვაკიას – 24, ჩრდილო კორეას – 30, პოლონეთს – 30, სირიას – 40, უკრაინას – 62, ხორვატიას – 4, იუგოსლავიას – 16.

გარდა ამისა, მალაიზიამ რუსეთიდან 1996 წელს 18 МиГ-29 შეისყიდა, ირანმა ერაყიდან გადმოფრენილი 21 МиГ-ის გარდა, უშუალოდ მოსკოვისგან 14 თვითმფრინავი იყიდა, რამდენიმე ასეთი გამანადგურებელი კუბასაც გააჩნია, ხოლო ბელორუსმა ზოგიერთი თავისი МиГ-29 პერუს მიჰყიდა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლუკაშენკომ მწარედ გააცურა ლიმის ხელისუფლება, რადგან ბელორუსში ნაყიდი МиГ-ები საფრენად უვარგისი აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, ჩეხეთმა 1995 წლის დეკემბერში 10 ცალი МиГ-29 პოლონეთს 11 შვეულმფრენ „სოკოლში“ გაუცვალა, რითაც მთელი მსოფლიო გააოცა. მკითხველს რომ წარმოდგენა ჰქონდეს, პოლონური შვეულმფრენი „სოკოლი“ შვილობილია საბჭოთა Ми-2 შვეულმფრენისა, რომლითაც „მიმინო“ გაყინულ ჰოლანდიურ ქათმებს თელავში ეზიდებოდა.

თუმცა МиГ-29-ზე საეჭვო ბიზნესის გაკეთება მარტო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ დაწყებულა.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში, ერთ-ერთ დახურულ ზესაიდუმლო საკვლევ ინსტიტუტში საკმაოდ დიდი თანამდებობის მქონე ვინმე შევჩენკომ დასავლეთის დაზვერვას МиГ-29-ის რადიოელექტრონური მოწყობილობებისა და რადიოლოკატორის საიდუმლოება მიჰყიდა.

КГБ-მ შევჩენკო კი დაიჭირა, მაგრამ უკვე „გახდილ“ МиГ-ს რაღა ეშველებოდა. თუმცა იმ დროისთვის ჯერ კიდევ ყოვლისშემძლე სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა უკვე 1984 წლისთვის ამ გამანადგურებლის ახალი მოდიფიკაცია МиГ-29С შექმნა. სწორედ ამ მოდიფიკაციის ირანისთვის მიყიდვას აღუდგა წინ აშშ და კიშინიოვისგან თავად შეიძინა რამდენიმე გამანადგურებელი. რადგან МиГ-29С-ს ახალი რადიოელექტრონული მოწყობილობა ჰქონდა დამონტაჟებული, საწვავის ავზების მოცულობაც გაიზარდა, რამაც დაუჯდომელი ფრენის სიშორე 2900 კილომეტრამდე, ხოლო საბრძოლო დატვირთვა – 2-დან 3 ტონამდე გაზარდა.



თუმცა მსოფლიოს თავი МиГ-29-მ ლე ბურჟეში გააცნო. ეს იყო პირველი საბრძოლო თვითმფრინავი, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოფენაზე უჩვენა.

ლე ბურჟეშივე ახალმა МиГ-მა კიდევ ერთი საინტერესო „ტრიუკი“ ჩაატარა. მფრინავ-გამომცდელი კვოჩური МиГ-29-ზე წარმოუდგენელ საჰაერო მანევრებს ასრულებდა მრავალრიცხოვანი მაყურებლის თვალწინ. მოულოდნელად დაბალ სიმაღლეზე, ერთ-ერთი საჰაერო მარყუჟის დროს თვითმფრინავის ძრავაში ფრინველი მოხვდა, რამაც რეაქტიული ძრავის აალება გამოიწვია და მფრინავმა ბოლო მომენტშიღა მოასწრო კატაპულტირება. 80 მ-დან დაშვებისას კვოჩურის პარაშუტმა ვერ მოასწრო მთლიანად გაშლა და მფრინავს დამტვრევა არ ასცდებოდა, მაგრამ იგი მისმავე მართვადაკარგულმა МиГ-მა იხსნა. თვითმფრინავის აფეთქების ტალღამ ბოლომდე გაშალა მფრინავის პარაშუტი და კვოჩურიც დასახიჩრებას გადაურჩა.

ყველაფერში ეჭვიანი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც „ეშმაკ რუსებს“ არაფერში არ ენდობოდა, დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვმა სპეციალურად გაითამაშა ეს სპექტაკლი, რათა რეკლამა გაეწია მართლაც ძალზე ეფექტური К-36 კატაპულტირებადი სკამისთვის. მაგრამ თუ შევადარებთ თითქმის 30 მლ დოლარის ღირებულების МиГ-29-ისა და კატაპულტირებადი სკამის ფასს,

ეროვნული ბიბლიოთეკა



МиГ-29К პირველ საბჭოთა ავიამზიდ „თბილისზე" პირველად 1989 წლის 1 ნოემბერს დაჯდა...



გერმანელებმა გაერთიანების შემდეგ მათ შეიარაღებაში აღმოჩენილი „მიგები" პოლონეთს სიმბოლურ თანხად, — თითო ევროდ მიჰყიდეს

ეს მტკიცება სიგიჟეს დაემსგავსება.

ცოტა ხანში МиГ-29-მ ორმაგად „გამოიჩინა" თავი, როდესაც ორმა МиГ-მა ჰაერში ერთმანეთს ფრთები გაჰკრა.

დიდ ბრიტანეთში ფერფორდის სამხედრო ბაზაზე 250 ათასი მაყურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს 2 МиГ-29-ის გაბედულ საჰაერო მანევრებს. რუსი მფრინავები ისე გაერთნენ, რომ მთელი სიჩქარით ერთმანეთს ფრთებით წამოედნენ, ერთ МиГ-ს ცხვირი ნახევრად მოსტყდა, მეორეს – ფრთის ნაწილი და ორივე ცეცხლწაკიდებულმა თვითმფრინავმა მრავალრიცხოვანი მაყურებლის თავზე დაიწყო ჩამოვარდნა.

15 მაყურებელი მაშინვე შოკში ჩავარდა, მაგრამ, საბედნიეროდ, თვითმფრინავის დაცემისას არავინ დაშავებულა, თუმცა ამერიკულ სატრანსპორტო „ჰერკულესს" კი კინაღამ ცეცხლი გაუჩინეს.

რაც ყველაზე საოცარია, უზარმაზარი სიჩქარით შეტაკების მიუხედავად, ორივე მფრინავმა მოახერხა კატაპულტირება და მიწაზე მშვიდობით დაეშვა. „ბი-ბი-სი"-ს მიერ თვითმფრინავების შეტაკების შესახებ გადაღებული ვიდეოკადრები კი სენსაციად იქცა.

მაგრამ რაც МиГ-29-ს საქართველოში შეემთხვა, ზემოთ ნათქვამს აშკარად ჯაბნის.

1991 წლის 17 იანვრის ღამეს ამერიკამ ჰაერიდან მასიურად შეუტია ერაყის სარადარო სისტემებს და განსაკუთრებით სამხედრო აეროდრომებს. ამერიკელ პილოტებს ყველაზე მეტად იმ ორ ათეულამდე МиГ-29 ტიპის გამანადგურებლის ეშინოდათ, რომელთა მიყიდვა მოსკოვმა სადამ ჰუსეინისთვის მოასწრო. ეს მე-4 თაობის გამანადგურებელი თვითმფრინავები საჰაერო ორთაბრძოლებში ტოლს ნამდვილად არ დაუდებდნენ ნაქებ ამერიკულ F-16-ებს თუ F-15-ებს, მაგრამ ამერიკელებმა მათთან ცხაკაიას (ახლანდელი სენაკის) აეროდრომიდან გაქცეული რუსი პილოტის, კაპიტან ალექსანდრ ზუევის მიერ გადაცემული საიდუმლო ინფორმაციები გამოიყენეს და ერაყის МиГ-ები მოულოდნელად აეროდრომზევე გაანადგურეს.

ამ შემთხვევამდე ორი წლით ადრე, 1989 წლის 19 მაისის საღამოს, კაპიტანი ზუევი ცხაკაიის სამხედრო აეროდრომზე მორიგედ გამწესეს, როგორც თვითმფრინავების გამშვებ-მიმღები...

იმ საღამოს კაპიტანი ზუევი, რომელსაც არა მარტო სამხედრო ქალაქში, არამედ ცხაკაიის ბევრ სასადილოშიც კარგი მოქეიფის სახელი ჰქონდა, კოლეგებს მშვენიერი ტორტით გაუმასპინძლდა – შვილი შეეძინა და დამილოცეთო („კგბ"-ს გამომძიებლებმა მოგვიანებით გაარკვიეს, რომ ზუევს ბიჭი სინამდვილეში ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეეძინა). გახარებული კაპიტანი თავისი ხელით სთავაზობდა

ამერიკელებს ეგონათ რომ რუსებმა ლე ბურჟეს კატასტროფა სპეციალურად, ახალი კატაპულტის რეკლამირებისთვის მოაწყვეს....





დიდ ბრიტანეთში, ფერფორდის სამხედრო ბაზაზე 250 ათასი მაყურებელის თვალწინ მომხდარი კატასტროფა უჩვეულოდ იღბლიანად დასრულდა...

ბიბლიოთეკა

ტორტის მოზრდილ ნაჭრებს მფრინავებსა და ტექნიკოსებს.

ნახევარ საათში სამორიგეოში ერთმა პილოტმა შეიხედა, რომელიც ტკბილეულს არ ეტანებოდა და „ბედნიერ" მამას ცოტა ხნის წინ გამასპინძლებაზე უარი უთხრა; იგი განცვიფრდა — სამორიგეოში უკლებლივ ყველა ხვრინავდა. მოულოდნელად თვითმფრინავების სადგომიდან გასროლის ხმაც გაისმა.

როგორც აღმოჩნდა, კაპიტანი ზუევი თურმე რამდენიმე დღის განმავლობაში ცხაკაიის სხვადასხვა აფთიაქში ყიდულობდა დასაძინებელ წამლებს, რომლითაც გულუხვად შეკაზმა ტორტი და როგორც კი ყველას დაეძინა, სასწრაფოდ გადაჭრა ტელეფონის ხაზები და თვითმფრინავების სადგომზე მორიგე ტექნიკოსს თავს დაესხა. ზუევმა ვერ შეძლო მისთვის იარაღის წართმევა, ამიტომ პისტოლეტი ესროლა, დაჭრა და მორიგე გამანადგურებლისკენ გაიქცა. დაჭრილმა ტექნიკოსმა, მართალია, მოახერხა „კალაშნიკოვის" ჯერის „დადევნება" კაპიტნისთვის, მაგრამ ააცილა.

ზუევი ჩახტა მორიგე თვითმფრინავში (მორიგე გამანადგურებლები ყოველთვის საწვავით გაწყობილნი დგანან, რათა განგაშის სიგნალისთანავე ჰაერში აფრინდნენ), სწრაფად აამუშავა და ცაში აიჭრა, თუმცა მაშინვე მობრუნდა, გადაუფრინა მორიგე МиГ-ების სადგომს და ქვემეხით მათ დაცხრილვას შეეცადა (რათა მდევარი შეეჩერებინა, მით უმეტეს, რომ აეროდრომზე უკვე განგაში იყო ატეხილი), თუმცა ქვემეხის მეორე დამცველის მოხსნა დაავიწყდა და სროლა ვერ შეძლო.

კაპიტანმა ზუევმა ჩართო МиГ-29-ის ორივე რეაქტიული ძრავის ფორსირებული რეჟიმი, გადაუფრინა ქართულ სოფლებს და ზღვით რამდენიმე წუთში თურქეთის საჰაერო სივრცეში შეიჭრა.



ჩვენი დოსიე: 1992 წლამდე ცხაკაიაში საბჭოთა საავიაციო პოლკი იდგა, რომლის შეიარაღებაშიც გახლდათ იმ დროისთვის ამიერკავკასიაში ყველაზე თანამედროვე МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თვითმფრინავები. 17-ტონიანი МиГ-29 მაქსიმალურ 2450 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს და შეუძლია 18 კმ სიმაღლეს მიაღწიოს. მას 3 ტ საერთო მასის ბომბი და რაკეტა მიაქვს და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მანევრირებად გამანადგურებლად ითვლება.

ცხაკაიიდან გატაცებული გამანადგურებლის პილოტმა ზუევმა ამერიკელებს МиГ-29-ის საიდუმლო გაუმხილა

ერთ-ერთ თურქულ სამხედრო აეროდრომზე ყველასთვის მოულოდნელად დაფრენილმა საიდუმლო საბჭოთა გამანადგურებელმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

მართალია, კაპიტანი ზუევი მაინც წარდგა თურქული სასამართლოს წინაშე, მაგრამ იგი სამხედრო დისიდენტად ცნეს და მალე ამერიკაში გადააფრინეს. ეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის ერთგვარი შვება იყო, რადგან თურქებმა ამერიკელები МиГ-29-ს ახლოსაც არ გააკარეს და გატაცებული თვითმფრინავი ისევ საბჭოთა კავშირს დაუბრუნეს (1976 წელს პილოტ ბელენკოს მიერ იაპონიაში გატაცებული МиГ-25, იაპონელების თანხმობით, ამერიკელებმა ნაწილ-ნაწილ დაშალეს, დაწვრილებით შეისწავლეს და მხოლოდ შემდეგ დაუბრუნეს მოსკოვს).

ცხაკაიაში სატრანსპორტო თვითმფრინავით ჩატანილი გატაცებული МиГ-ი შესასწავლად ცალკე დააყენეს. სამხედრო აეროდრომს ჯერ კიდევ 20 მაისს, ორი სამგზავრო ლაინერით მოსკოვიდან რამდენიმე ათეული გენერალი და ოფიცერი „ესტუმრა". მათ პოლკის პირად შემადგენლობას შავი დღე აყარეს.

ამერიკაში თავამოყოფილმა კაპიტანმა ზუევმა იქაურ სპეციალისტებს სულ წვრილად ჩაუკაკლა კრემლის საამაყო МиГ-29-ისა და საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების საიდუმლოებები.

ორი წლის შემდეგ, ერაყში, „უდაბნოს ქარიშხლის" ოპერაციის დაწყებისთანავე, პენტაგონმა უთუოდ კაპიტან ზუევის რეკომენდაციებით ისარგებლა და პირველ რიგში ერაყის საჰაერო მართვის პუნქტებსა და რადიოლოკაციურ სადგურებს დაარტყა. ამიტომ ერაყული საბჭოთა წარმოების საბრძოლო თვითმფრინავებისა და მათ შორის ასე ნაქები МиГ-29-ების პილოტებიც, რომლებმაც მოასწრეს ჰაერში ასვლა და აეროდრომზევე განადგურებას გადაურჩნენ, „დაბრმავებულები" აღმოჩნდნენ და მათ ამერიკული გამანადგურებლები ადვილად გაუსწორდნენ.

ასეთი საოცარი თავგადასავლები გაიარა МиГ-29-მ თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე.

Су-25 მოიერიშე თვითმფრინავთან ერთად МиГ-29 გამანადგურებელი თვითმფრინავი ყველაზე მეტად შეესაბამება საქართველოს თავდაცვითი პოლიტიკის ინტერესებს.

ერთი შერეული საავიაციო ესკადრილია (დაახლოებით 4-6 МиГ-29 გამანადგურებელი და ამდენივე Су-25 მოიერიშე თვითმფრინავი) განლაგებული დასავლეთ საქართველოში (სავარაუდოდ, სენაკში ან კოპიტნარში) და მეორე განთავსებული აღმოსავლეთ საქართველოში (მარნეულში, თუმცა, სჯობს, ვაზიანში) შესაძლებელს გახდის ოფიციალურმა თბილისმა უფრო ეფექტური სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტი აამოქმედოს.

*ირაკლი ალადაშვილი*

ერაყული კამპანიისას ამერიკელებმა ქვიშაში ჩამალული ბევრი გამანადგურებელი იპოვეს. ერაყელები მათ გამოყენებას მომავალში გეგმავდნენ...




29+08
МиГ-29

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოინტერი

პოინტერი ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პოპულარული ჯიშის ძაღლია. ის მე-18 საუკუნის დასაწყისში დიდ ბრიტანეთში გამოიყვანეს. არსებობს ვარაუდი, რომ პოინტერი ძველესპანური მწევრებიდან – პერო-დეპუიტიდან მოდის, რომელიც ინგლისში შეიყვანეს. თანამედროვე პოინტერი ფოქსჰაუნდთან შეჯვარებით გამოიყვანეს ინგლისელმა კინოლოგებმა. პოინტერს ხშირად მონადირე ძაღლების მეფედ მოიხსენიებენ.



## ამაყი და ლამაზი მონადირე ძაღლთა მეფე

პოინტერს კარგად განვითარებული ყნოსვა და სწრაფი რეაქცია აქვს. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საჭირო გახდა ძაღლის ენერგიულობისა და სისხლის გაახლება. ამ მიზნისთვის ირლანდიელმა მონადირეებმა ნაცად ხერხს მიმართეს – უკვე ჩამოყალიბებული პოინტერი კვლავ ფოქსჰაუნდთან შეაჯვარეს. შეიძლება სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ თანამედროვე პოინტერი ერთი შეხედვით ფოქსჰაუნდს მოგაგონებთ, ოღონდ გაუმჯობესებული შტრიხებით: აქვს ლამაზი თავი, გრძელი ყურები, წვრილი კუდი და მოკლე ბეწვი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოინტერი 2-3 სმ-ით „გამაღლდა“. დააგდო ზედმეტი წონა, თუმცა მას არ დაუკარგავს ძველებური ძალა და გამძლეობა. ის კიდევ უფრო ელეგანტური გახდა. მოხდა ხასიათობრივი ცვლილებაც: „უთქმელი და თავნება“ ძაღლი კეთილ, დამჯერ მეგობრად იქცა, რომელთან ერთად ნადირობაც დიდი სიამოვნებაა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოინტერს სწრაფი რეაქცია აქვს. როგორც კი ნადავლს იყნოსავს, იგი მაშინვე მთელი სხეულით ქვავდება. ასე აგრძნობინებს მონადირეს ნადავლის სიახლოვეს.

პოინტერი გრაციოზული, ჰარმონიულად შერწყმული, პლასტიკური და ზომიერად დაკუნთული, კეთილი და მომთმენი ბუნების ძაღლია. ის სავსეა საკუთარი ღირსების შეგრძნებით. მოძრაობა მსუბუქი და ტალღისებური აქვს.






არსენალი
პოინტერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პოინტერი მოკლებალნიანია. საშუალოზე ოდნავ მაღალი, კარგად განვითარებული კუნთებითა და ძლიერი თავით. ის მამაცი, ენერგიული, ტემპერამენტიანი ძაღლია, რომელიც საკმაოდ მაღალ ფეხებზე დგას. ხვადის სიმაღლეა 57-65 სმ, ძუსი – 54-63 სმ.

თავი ზომიერად წაგრძელებულია, თხელი ტყავით დაფარული, მშრალი, მკვეთრი რელიეფით. კეფის სიმაღლე ნათლად ჩანს, მაგრამ მკვეთრად გამოყოფილი არ არის. ღაწვები მკვეთრად გამოხატულია, ოღონდ არა წინ წამოწეული. საშუალო სიდიდის თვალები აქვს, მრგვალი, პირდაპირი ჭრილით. თვალის ფერი ხშირ შემთხვევაში თავად ძაღლის ფერისაა. მშვიდი და ჭკვიანური გამოხედვა აქვს. დაკიდული, სამკუთხა ფორმის ყურები ბოლოში მომრგვალებულია. ხასიათდება ძლიერი, მჭიდროდ მიჯრილი, ბასრი კბილებით. მკერდი ღრმა და ძლიერი (გრძელი, მომრგვალებული ნეკნებით), ტანი კი ოვალური ფორმის აქვს. წელი ფართო, მუცელი კი შეწეული. წინა და უკანა ფეხები პირდაპირი და ერთმანეთის პარალელურია. მხრები დაკუნთული და ზომიერად მრუდე, კუდი კი ელასტიკური, მშრალი და მოძრავია. რაც შეეხება პოინტერის შეფერილობას, გვხვდება ერთი, მთლიანი ფერის ან ორი ფერის. არის ყავისფერი, შავი, ფერფლისფერი სხვადასხვა ზომის ლაქებით. ასევე შავ-თეთრი, ყავისფერი ლაქებით, აგურისფერი და ყვითელ-ფერფლისფერი. არსებობის ასი წლის განმავლობაში პოინტერმა მთლიანად შეძლო აკლიმატიზაცია, ამიტომ დღეს უკვე არავინ თვლის საჭიროდ სქელტყავიან და უხეშბალნიან ძაღლს, რომელმაც შემოდგომის წვიმიან დღეებს უნდა გაუძლოს. შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელი კინოლოგის არკრაიტის ოცნება ახდა და გამოყვანილია ისეთი პოინტერი, რომელიც მზად არის ნებისმიერ პირობებში ინადიროს. ■

# პოინტერს უნდა შეაგნებინოთ, რომ მისი პატრონი, მეფე და ღმერთი ხართ

*„პოინტერის პატრონი უნდა იყოს ესთეტი მონადირე და არა ხორცის მომპოვებელი“, – აცხადებს ჩვენთან ინტერვიუში მონადირე ძაღლთა კლუბის კინოლოგი შალვა ციხისთავი, რომლის ხელშიც უამრავმა პოინტერმა გაიარა.*



*თავად კი ცხრა პოინტერის მფლობელი იყო. ბატონი შალვა დიდი სიამოვნებით ჰყვება მათთან დაკავშირებულ უამრავ ისტორიასა და კურიოზს. ჩვენ რამდენიმე მათგანს შემოგთავაზებთ.*

– პოინტერი საქართველოში დაახლოებით 150 წლის წინ, ძირითადად, რუსეთიდან შემოვიდა. სავსებით შესაძლებელია, რომ ცალკეული ეგზემპლარები თავადაზნაურობას უცხოეთის სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოეყვანა.

— **რამდენად მალე გახდა პოპულარული ეს ჯიში ჩვენთან?**

– პოინტერი დედაქალაქში სწრაფად გახდა პოპულარული, მაგრამ პროვინციაში მას არ სწყალობდნენ და ახლაც არ გამოირჩევა რიცხოვნობით. ზოგი სინაზეს აბრალებს, ზოგი სიცივის მოშიშობას სწამებს, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილია. პოინტერით სკანდინავიის ქვეყნებშიც ნადირობენ, იქ კი ჩვენთან შედარებით, ბევრად მკაცრი ბუნებრივი პირობებია...

— **ძირითადად რაზე ნადირობენ პოინტერები?**

– მხოლოდ და მხოლოდ ფრინველებზე – მწყერი, კაკაბი, გნოლი და ა.შ. პოინტერი არის შეუდარებელი მონადირე და სწორედ შესანიშნავმა სანადირო თვისებებმა გახადა პოპულარული მთელ მსოფლიოში.

— **როგორი ხასიათის ძაღლები არიან?**

– ძალიან თბილი ხასიათით გამოირჩევიან და დამჯერნი არიან. უკიდურესად მცირეა შემთხვევა, როცა ეს ძაღლი აგრესიულობას ამჟღავნებს. ისიც გაზრდის ბრალია ხოლმე. საერთოდ, პოინტერი რომც გააბრაზო, არაფერს დაგიშავებს, მაგრამ შეიძლება სერიოზულად გაიბუტოს. ძალიან უყვარს ბავშვები. ჩემს მეორე პოინტერს ბოი ერქვა, ჩემი ორი წლის შვილიშვილი კუდზე ექაჩებოდა, ყურებით ათრევდა. ზედ აჯდებოდა, საბრალო ბოი კი ხმას არ სცემდა, მაგრამ ძალიან რომ გაუჭირდებოდა, თავს ლოგინის ქვეშ შეძრომით შველოდა. მოკლედ, რასაც ჩვენგან არაფრის დიდებით არ აიტანდა, შეეძლო, ბავშვისგან აეტანა.

— **როგორ უნდა ვკვებოთ პოინტერი, და საერთოდ, რამდენად პრეტენზიულია საჭმლის მიმართ?**

– საერთოდ, ზრდასრული ძაღლისთვის მიღებულია დღეში ერთხელ ჭამა. ლეკვს კი დღეში ექვსჯერ აჭმევენ და თანდათან უკლებენ ულუფების რაოდენობას. სიმართლე რომ ვთქვა, მე არ მიმაჩნია სწორად, რომ დღეში ერთხელ აჭამონ პოინტერს. მას დღეში მინიმუმ ორჯერ მაინც

უნდა კვება. ძირითადად სპეციალური საჭმელებია მიზანშეწონილი. მაგრამ შეიძლება ვაჭამოთ ყველაფერი, რითაც ადამიანი იკვებება. თუმცა არ შეიძლება ცხარე, მჟავე და ძალიან მარილიანი საკვები. მისთვის აუცილებელია ხორცი. ყოველდღე ერთი ნაჭერი ხორცი მაინც უნდა მიიღოს. პრეტენზიულობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ცოტა უჭირს უხეში და ცხიმიანი საკვების ჭამა. საერთოდ, ყველა სანადირო ძაღლს, რომელიც ქალაქში, ბინის პირობებში ცხოვრობს, სუსტი ორგანიზმი აქვს და შეიძლება საკვებიდანაც კი რაიმე დაავადება შეეყაროს. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო და აუცილებელია დროული აცრების გაკეთება.

— **რამდენად ეგუებიან სახლის (ბინის) პირობებს?**

– ეგუებიან იმ შემთხვევაში, თუკი ავარჯიშებენ და ოთახში არ გამოკეტავენ. დღეში რამდენიმე საათით უნდა გაიყვანოთ გარეთ და არბენინოთ. ჩვენში ბევრია ინგლისური, გერმანული, ფრანგული ტიპის პოინტერები. სხვათა შორის, ძალიან ხარისხიანებიც. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ბოლო დროს თბილისური პოინტერიც „გაჩნდა".

— **ანუ მათ ქართული თვისებები ახასიათებთ?**

– (იცინის) დიახ. როგორც ჯიში, რა თქმა უნდა, არ განსხვავდება, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ქართული თვისებები აქვს. ერთი პერიოდი თბილისელი პოინტერები გერმანულმა პოინტერებმა შეავიწროვეს. მაგრამ მერე, ისევ წინა პლანზე გადმოინაცვლეს.

— **გვასწავლეთ, როგორ უნდა გავწვრთნათ პოინტერი?**

– დავიწყებ იქიდან, რომ მწვრთნელი უნდა იყოს ნასწავლი და მომზადებული. ისე, ეს ცოტა რთული ასახსნელია არაპროფესიონალებისთვის. საერთოდ, პოინტერის პატრონი უნდა იყოს გადამკვდარი მონადირე და არა ხორცის მომპოვებელი. რაც შეეხება მის გაწვრთნას. პირველ რიგში, უნდა შეაგნებინოთ, რომ თქვენ მისი პატრონი, მეფე და ღმერთი ხართ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ყველაფერში დაგემორჩილოთ. მეორე, აუცილებელია ალერსი და მისი უდიდებულესობა — ქრთამი. მიცემულ დავალებას თუ შეგისრულებთ, დაასაჩუქრეთ რაიმე სასუსნავით და შემდეგ ნებისმიერ დავალებას სიხარულით შეგისრულებთ. თუ ძაღლი თავნებაა, ეს ადამიანის ბრალია. გაწვრთნილი ძაღლი არასოდეს იკადრებს თავნებობას. პოინტერი გაუწვრთნელობის შემთხვევაშიც კი არ კარგავს თავის სანადირო თვისებებს. ის მაინც ინადირებს, მაგრამ პატრონს არ დაემორჩილება.

— **ნადირობისას რომელი ჯობია, ძუ თუ ხვადი?**

– აქ ერთმნიშვნელოვნად პასუხის გაცემა ცოტა ძნელია. ძუ უფრო დამჯერია და დამყოლი. ხვადი შედარებით თავისებურია, მაგრამ ძალით და სიძლიერით ხვადი სჯობს. რაც მთავარია, ხვადი მუდამ მზად არის სანადიროდ. ძუ თუ ორსულობის პერიოდშია, ან პატარა ლეკვები ჰყავს, სანადიროდ ვერ წაიყვან. თუმცა ხვადის მოპარვა ადვილია და ეს, სამწუხაროდ, ძალიან გავრცელებულია ჩვენში.

— **რამდენი ლეკვის გაჩენაა მიზანშეწონილი პოინტერისთვის და როგორ უნდა შევარჩიოთ ხარისხიანი ლეკვი?**

– შეიძლება 15 ლეკვიც გააჩინოს. ისე, ყველაზე კარგია ექვსი ან მაქსიმუმ რვა. საერთოდ, რაც ცოტა ლეკვი ეყოლება,



მით უფრო კარგად გაზრდის. პოინტერის ლეკვის შერჩევა ძალიან რთული საქმეა, თითქმის შეუძლებელიც. სანამ ლეკვი არ გაიზრდება, ვერ გაიგებ, რა გამოვა მისგან.

— **ბატონო შალვა, თქვენ ძალიან ბევრი პოინტერი გყავდათ. გაიხსენეთ რამე კურიოზი.**

– დიახ, მე 9 პოინტერი მყავდა. ზოგი მომპარეს, ზოგი ადრე მომიკვდა. ყველაზე ხნიერმა 9 წელი იცოცხლა. ბოის შესახებ მოგიყვებით ერთ კურიოზს. ბოი ქურდბაცაცობით გამოირჩეოდა. ერთ დღეს მე და ჩემი მეგობარი სანადიროდ წავედით. თანაბრად ვნადირობდით, მაგრამ წამოსვლისას აღმოჩნდა, რომ მე ძალიან ბევრი ნანადირევი მომიგროვდა, ჩემს მეგობარს კი – ცოტა. თურმე ბოი ჩემი მეგობრის ნანადირევს იპარავდა და ჩემთან მოჰქონდა. ერთ ამბავსაც მოგიყვებით. სამოციანი წლების დასაწყისში მყავდა ძუ პოინტერი დიანა. სამჯერ მომპარეს. მესამე შემთხვევისას გავიგე, რომ ვიღაც რუსთაველს მოუპარავს. მისამართი გავარკვიე და წავედი. იმ კაცმა მითხრა, გამექცაო. არ დავუჯერე და ერთი ამბავი დავაყენე. ბოლოს კი, როცა უკან ვბრუნდებოდი, ჩემი დიანა გზაში შემხვდა. იმ კაცს მართლა გაჰქცევია და თბილისში მოდიოდა...

— **დიანას რა რეაქცია ჰქონდა?**

– მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დასუსტებული იყო, მაინც გახარებული ხტუნავდა ჩემ წინ და მელაქუცებოდა. სახლში რომ მოვიყვანე, ერთი დიდი ტაშტი წყალი დალია. საბრალოს, თურმე, მთელი სამი დღე წყალი არ დაელია...

*სალომე გოგოხია*
*მაკა ქობალია*



# სამტრედე ანუ სასტენდე თოფები

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ხარისხის აბსოლუტურ ეტალონად ჩამოყალიბებული ეს თოფები, დღესაც ნებისმიერი მონადირისა და იარაღის კოლექციონერის ნანატრ ოცნებას წარმოადგენს. ლონდონის სახელგანთქმული სახლების, „სოტბისა" და „კრისტის" პრესტიჟულ აუქციონებზე გამოფენილ სანადირო იარაღს შორის ნახევარზე მეტი სწორედ სამტრედე თოფებია. რას წარმოადგენს სამტრედე თოფი? რა არის მისი ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები? რა კონსტრუქციული გადაწყვეტა დაედო საფუძვლად მის მექანიზმს? როდის, ვინ და რა მიზნით შექმნა ეს იარაღი?



კლასიკური ტიპის სანადირო თოფის სისტემა საბოლოო სახით უკვე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. დღევანდელი ორლულიანი სანადირო თოფები თავის დახვეწილ ფორმებსა და კონსტრუქციებს, სამტრედე სროლებს უნდა უმადლოდნენ. ეს თავისებური, სპორტული გართობა ერთობ პოპულარული იყო, მე-19 საუკუნის შუა წლების ევროპის არისტოკრატულ წრეებში, — საგანგებოდ მოწყობილ საფარში მყოფი მსახური (ასისტენტი) დაძახილზე, ჰაერში ცოცხალ მტრედს შესტყორცნიდა, რომელსაც გარკვეულ მანძილზე მყოფი მონადირე ესროდა. თავიდან სპორტსმენები ჰაერში შეტყორცნილ მტრედებს იმ დროისთვის გავრცელებული, შომპოლიანი (ლულიდან გასატენი) თოფებიდან უშენდნენ საფანტს. დროთა განმავლობაში კი, როცა ამგვარი სპორტი პოპულარული გახდა, ტექნიკურმა სრულყოფამაც არ დააყოვნა, გამოიგონეს საგანგებო სათავსი გალიები, საიდანაც მექანიკურად იტყორცნებოდა მტრედები (ასეთ გალიებს რუსულად „სადკა" ეწოდებოდა, აქედან მოდის ამ სპორტული იარაღის რუსული დასახელებაც „სადოჩნიე რუჟია". ქართულად კი ამ თოფებს ფრინველზე სანადიროს უწოდებენ. მათ შორის განთქმული იყო: ინგლისური „გოლანდ-გოლანდი" და ბელგიური ე.წ. „ზაუერი", რომელთა რაოდენობაც საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაიზარდა) და სრულყოფილი თოფები, რომლებიდანაც სწრაფად და მოხერხებულად სროლა იყო შესაძლებელი. მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისთვის სპორტსმენები უკვე ორლულიან თოფებს იყენებდნენ. სამტრედე სროლებმა უფრო მეტად შეუწყო ხელი სანადირო იარაღის განვითარებას, ვიდრე თვით ნადირობამ. ამ სპორტის პიონერთა მისწრაფებამ, სრულყოფილი იარაღის მეშვეობით უპირატესობა მოეპოვებინათ მოწინააღმდეგეზე, მეიარაღეები აიძულა დაემუშავებინათ და შეექმნათ ახალი ტიპის ორლულიანები. მოგვიანებით კი, როცა ტექნიკურმა პროგრესმა ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა, ცოცხალი მტრედები „მფრინავმა თეფშებმა" შეცვალა და მეცხრამეტე საუკუნის ევროპელ არისტოკრატთა სისხლიან-აზარტული გართობა, სპორტის სერიოზულ სახეობად, სასტენდო სროლად ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დროს გამდიდრდა აწ უკვე სპორტული თოფების კონსტრუქციები ახალი გამოგონებებითა და მიგნებებით.



თანამედროვე სანადირო იარაღის ჩამოყალიბებასა და განვითარება-სრულყოფაში დიდი როლი შეასრულეს ინგლისელმა მეიარაღეებმა. 1871 წელს ინგლისელმა გამომგონებელმა — სერ ჯოზეფ ვიტვორტმა დაამუშავა მაღალხარისხიანი ფოლადის ტიგელური მიღების ეფექტური მეთოდი, რომელიც მეიარაღეებმა უმალ თოფის ლულების დასამზადებლად გამოიყენეს. 1865 წელს უილიამ გრინერმა დააპატენტა მრგვალი გასწვრივი ურდული, რომელიც თოფის დაკეტვისას სამიზნე თამასის ფეროს გავლით ლულების კოლოფში გადიოდა. 1863 წელს „მეიარაღეთა მეფემ" — ჯეიმს პერდემ დააპროექტა ლულების სპეციალური ჩარჩოთი მორაკთან შეერთების სისტემა, რომელიც ლულათა კავებქვეშ, კილოებში გადიოდა. პერდეს ეს გამოგონება დღემდე გამოიყენება როგორც ჰორიზონტალური, ისე ვერტიკალური ორლულიანი თოფე-

ბის კონსტრუქციებში.

ათი წლის შემდეგ კი უილიამ გრინერმა დააპატენტა თავისი გასწვრივი ურდულის პრედეს ჩარჩოსთან შეერთების ხერხი, რომელსაც „გრინერის სამმაგი საკეტი" ეწოდა. თოფი ჩარჩოს ზემოთ მოთავსებული გასალები ბერკეტის მარჯვნივ გადაწევით იხსნებოდა. თავის სიმარტივითა და საიმედოობით გამორჩეული გრინერის სისტემა 135 წლის განმავლობაში დღემდე, — ჰორიზონტალურლულიანი თოფების კონსტრუქციებში გამოიყენება.

1875 წლის 11 მაისს ფირმა „ვესტლი რიჩარდსის" ორმა მეიარაღემ — უილიამ ენსონმა და ჯონ დილიმ გააფორმეს ჩამკეტი კოლოფის გამოგონების №1756 პატენტი, რომელმაც თავისი კონსტრუქციული სიმარტივით, ტექნოლოგიურობითა და დამზადების სიიაფით, ფართო გავრცელება მოიპოვა. იმავე ენსონმა მოგვიანებით გამოიგონა კონდახის ბოლო ჩამკეტი, რომელიც კონდახზე მდებარე ზამბარის ღილაკით იმართება. ზუსტად ეს სისტემა გამოიყენება სპორტულ თოფებსა და სანადირო თოფების საუკეთესო მოდელებში.

1878 წელს უილიამ სკოტმა საკეტიანი, უჩახმახო თოფის კონსტრუქცია დააპატენტა. 1880 წელს მეიარაღე ოსტატმა ფრედერიკ ბიბლიმ, რომელიც ადრე ჯეიმს პადრეს სახელოსნოში მუშაობდა, დააპატენტა დამსხლეტ-დამცემი მექანიზმის თავისებური კონსტრუქცია, რომელსაც შემდგომ მისი გამომგონებლის სახელი ეწოდა, პატენტი პადრემ შეიძინა და ყველაზე ძვირად ღირებულ სასტენდე თოფებისთვის გამოიყენა. ჯერ კიდევ 1852 წელს ცნობილმა ინგლისელმა მეიარაღე ჩარლზ ლანკესტერმა ექსტრაქტორის ახ-



ალი კონსტრუქცია შექმნა, რომელიც მცირეოდენი შესწორებებით მას შემდეგ თითქმის ყველა ორლულიან გადასახსნელ სანადირო თოფებში გამოიყენება.

1886 წელს დ. დალი-უმცროსმა დააპატენტა ეჟექტორი, რომლებიც უჩახმახო თოფებში გავრცელდა, 1893 წელს კი ჰენრი ჰოლანდის სისტემის ეჟექტორი გამოიგონეს.

ძნელი სათქმელია, პირველმა ვინ მოიგონა ჩოკი (ლულის სათანადო შევიწროება), რომლის დანერგვამ სანადირო იარაღის კონსტრუირებაში რევოლუცია მოახდინა. ევროპაში ჩოკის ფართოდ გამოყენება დაუდგრომელ უილიამ გრინერის სახელთანაა დაკავშირებული. საფანტიანი იარაღის ინგლისელი მკვლევარი ჯერალდ ბურარდი ჩოკის გამოგონებას თავის თანამემამულეს, უილიამ პეიპს მიაწერს — 1866 წელს აღებული პატენტის საფუძველზე. სხვა წყაროებით, ლულათა შევიწროება ამერიკელმა მონადირემ ფრედ კიმბლიმ 1870 წელს დააპატენტა. ამ ორის გარდა, არაერთი დიდების მაძიებელი არსებობს, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ჩოკის ავტორობაზე, ამ გამოგონებამ სანადირო და სასტენდო თოფების, მათი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი თვისებები — სროლის სიშორე, სამიზნეზე საფანტის გროვად მიტანა და მკვეთრი ჭრა უზრუნველყო. ყველა საიარაღო ფირმამ, რომლებიც თითქმის საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ამზადებდა სასტენდე-სანადირო თოფებს, თავისი წვლილი შეიტანა მისი თანამედროვე სახის ჩამოყალიბებაში.

მეიარაღეთა მრავალი გამოგონება და ორიგინალური ტექნოლოგიური გადაწყვეტა განაპირობა: ტყვია-წამლის სრულყოფამ, მეტალურგიის განვითარებამ, ლითონმცოდნობის და ლითონდამუშავების მიღწევებმა, ახალი ტექნოლოგიური პროცესების წარმოებაში დანერგვამ, აგრეთვე სასტენდო სპორტის წესების შეცვლამ და მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩატარებულმა ღონისძიებებმა. არა მარტო სტენდის კორიფეების, არამედ თითოეული სპორტსმენის ოცნებაა, ჰქონდეს ისეთი უმტყუნო იარაღი, რომელიც მიზნის დაზიანებაში ყოველგვარი ძალდატანების გარეშე დაეხმარება. საფანტიანი თოფების გერმანელი სპეციალისტის აზრით: „სროლაში შეჯიბრებისას შეცდომა შესაძლებელია მხოლოდ მსროლელ სპორტსმენებს მოუვიდეს, თოფები და ვაზნები კი უნაკლო უნდა იყოს და ყოველგვარი ეჭვგარეშე უნდა იდგეს. მიუხედავად იმ-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ისა, რომ სასტენდო შეჯიბრებებისას ნებადართული იყო სხვადასხვაგვარი თოფის გამოყენება, სტენდისთვის საგანგებოდ მაინც 12-კალიბრიან თოფებს ამზადებდნენ. მათი ყიდვა მაღაზიებში, ნებისმიერ ადამიანს შეეძლო. უფრო შეძლებულები კი საგანგებო დაკვეთებით, სათანადო ფასად ამზადებინებდნენ პირად იარაღს.

ყველა ამ ტიპის იარაღის განმასხვავებელი ნიშნები შემდეგია: სოლიდური წონა – 3,2-დან 3,7 კგ-მდე, მასიური ლულის კოლოფი. უჩახმახო მოდელებში – საკეტები გვერდითა დაფებზე, ლულების საიმედო ჩაკეტვა (არანაკლებ სამი კვანძისა), უზადო ბალანსი და მორგებულობა, ზამბარების რბილი დაჭიმულობა და მექანიზმების ძალდაუტანებელი ფუნქციონირება, მაღალი სამიზნე თამასა, არაავტომატური დამცველი და სწორი პირდაპირი კონდახი.

სასტენდე თოფების ლულები შედარებით გრძელია, ვიდრე ჩვეულებრივი სანადირო თოფებისა, მათი სიგრძე უზრუნველყოფს სამიზნე არეალის სიდიდეს და შესაბამისად, მიზნის სიზუსტეს. ორივე ლულა სავაზნის გათვალისწინებით (70 მმ) ერთნაირი შევიწროებით იჩარხებოდა, რომელიც 50 მეტრის სიშორეზე, საფანტის მაქსიმალური გროვის მიტანის უზრუნველყოფაზე იყო გათვლილი. ლულების არხების პროფილის სწორი შერჩევა და მათი დიდი მასა (ჩვეულებრივ 1,5-1,7 კგ) საშუალებას იძლეოდა ყოველი სროლისას საფანტის ერთი და იმავე რაოდენობისა და სიმჭიდროვის მიზანში მიტანას მკვეთრი ჭრის პირობებში.

ძვირფასი სამტრედე, ანუ სასტენდე იარაღი ყოველთვის მისი დამამზადებელი ფირმის ტექნიკური აზრისა და ტრადიციების ხორცშესხმულ ნაყოფად ითვლებოდა. ისინი მათი მფლობელების: მონადირეების, სპორტსმენებისა და კოლექციონერების სიამაყეს წარმოადგენდნენ.

თოფების ცალკეული დეტალები ხელით კეთდებოდა, აწყობა და გაფორმება კი, განსაკუთრებული რუდუნებით სრულდებოდა. სასტენდე თოფების ძირითადი ღირებულება ზუსტად მისი ხარისხიანი წარმოების სირთულეში მდგომარეობს. ასეთი იარაღის თითოეული დეტალის დამზადებას და მათ ერთმანეთთან მორგებას, გაცილებით მეტი დრო ეთმობოდა, ვიდრე ჩვეულებრივი სანადირო მოდელების დამზადებას. აქედან გამომდინარე სასტენდო იარაღი გაცილებით ძვირი ღირდა.

სასტენდო თოფების ფენომენალურ შედეგებს მეიარაღეებმა დენთის გაზების გაფართოების თავისებურებების შესწავლის ხარჯზე მიაღწიეს. იცოდნენ რა, კონკრეტული მარკის დენთის წნევის მოქმედების მრუდი, დიდი სიზუსტით ადგენდნენ ლულების ოპტიმალურ ზომებს, სწორედ ლულის პროფილის ოპტიმალური შერჩევა უზრუნველყოფდა სტაბილურ, შორეულ და მკვეთრი ჭრის მქონე საფანტის გროვის მიზნამდე მიტანას.

ყველაზე გამძლე, ძვირად ღირებულ და პრესტიჟულ თოფებს ინგლისში ამზადებდნენ: „ჯემს პერდე და შვილები", „ჯ.ჩ.სკოტი", „ტომას ბოსი", ვესტლი რიჩარდსი, „ჰოლანდ-ჰოლანდი", „ვ.ვ. გრინერი", „უილიამ პაუელი", „ფრედერიკ ბიბლი" და სხვები. ამ ფირმის გამოშვებული 80-100 წლის წინანდელი სამტრედე თოფები დღესაც პირვანდელ ფორმაშია. მათ არა მხოლოდ ბრძოლისუნარიანობა შეინარჩუნეს, არამედ მექანიზმის ფუნქციონირება, ლულების მშვენიერი მდგომარეობა, სილამაზეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.



ინგლისელებს ბევრად არ ჩამორჩებოდნენ ბელგიური ფირმების უმაღლესი კატეგორიის მეიარაღე ოსტატები. ფირმები: „ავგუსტ ლებო", „ავგუს ფრანკოტი", „ლიეჟის მანუფაქტურა" და „როჟე და შვილი", საუკეთესო იარაღს ამზადებდნენ. საუკეთესო სამტრედე იარაღს ამზადებდა „ი.პ.ზაუერი და შვილი". იარაღის სოლიდურ ტიპებს სთავაზობდა მყიდველს გერმანული ფირმა „ედუარდ კეტნერი". შორსმსროლელ გამძლე თოფებს ამზადებდა პრაღაში ჩეხი ნოვოტნი. მოხდენილ და ლამაზ მოდელებს უშვებდა პარიზული ფირმა „ფორე ლე პაჟი". ვერც ერთი ფირმის გამოშვებული თოფი ვერ შეედრებოდა შორს სროლაში შვედური ფირმის „გუსკვარნის" თოფებს. გამორჩეულ და მშვენიერ თოფებს აწყობდნენ ბელგიური ფირმები: „ხუბერტ ლე პაჟი" და „პაულ შოლბერგი". იაფი ღირებულების, მაგრამ მშვენიერი თვისებების მქონე იარაღს უშვებდა ანრი პიპერის საწარმო (მეოცე საუკუნის დასაწყისში „პიპერბოიარდი" დაერქვა); საუკეთესო უჩახმახო, განსაკუთრებული სტილის თოფებს აწყობდნენ რუსი ოსტატები ფ.ო. მაცკა და ბ. იენჩი.

შეუძლებელია იმ დროის ზუსტად განსაზღვრა, როცა ტერმინმა – „სამტრედე თოფი" აზრობრივი მნიშვნელობა დაკარგა. გასული საუკუნის ოციანი წლებისთვის აფრენილ მტრედებზე სროლა თანდათან მფრინავ სამიზნეებზე ანუ სასტენდე სროლამ, განდევნა რის გამოც მსროლელებმა მოგვიანებით სხვადასხვა ტიპის თოფების შერჩევა დაიწყეს: მრგვალ სტენდზე სროლისას ერთი ტიპისა, სატრანშეო-სასანგრე სროლისას – მეორე ტიპისა. მიუხედავად ამისა, მეიარაღეთა მრავალი თაობის გამომუშავებული სამტრედე იარაღის ტიპი მეწარმეებს ტექნიკურად იმდენად სრულყოფილი, სტილურად კი იმდენად დახვეწილად მიაჩნდათ, რომ ევროპის მრავალი ფირმა მათ კარგა ხანს ისევ ძველი, სამტრედე თოფების სახელით უშვებდა. სპორტსმენები მათ სასტენდო შეჯიბრებებზე იყენებდნენ, მონადირეები კი ისეთი ნადირობის დროს, როდესაც შორს სროლა იყო აუცილებელი. სამტრედე თოფების ურთიერთშერწყმული, გამორჩეული საბრძოლო თვისებები და ფაქიზი გემოვნების გაფორმება, სამაგალითო ტექნიკური გამართულობა და ესთეტიკური სრულყოფა, ბოლოს კი, ამოუცნობი მომხიბვლელობა, დღემდე მიუღწევლად ითვლება და უკვე ას წელზე მეტია, სანადირო თოფების ეტალონად ითვლება.

თამაზ ჟორჟოლიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანკესზე წამოსაცმელი სატყუარა

## თუ გინდათ, რომ ბევრი თევზი დაიჭიროთ...

**„არსენალის“ წინა ნომერში გაგაცანით მოსაჩვევი სატყუარას დამზადების მეთოდები. ახლა წარმოგიდგენთ უშუალოდ ნემსკავზე წამოსაცმელი სატყუარების სახეობებს.**



სათევზაოდ არ ღირს მხოლოდ ერთი ტიპის სატყუარათი სარგებლობა, თუნდაც ერთი სახეობის თევზზე თევზაობისას. უმჯობესია, 2-3 განსხვავებული სატყუარა გამოიყენოთ. თევზს ნაირფეროვანი მენიუ უნდა შესთავაზოთ. სატყუარას კარგად მომზადების გარდა, მნიშვნელოვანია, ყურადღებით ადევნოთ თვალყური თევზის მოზიდვის დინამიკას. მორიგი სატყუარას დოზის მიცემის შემდეგ დგება პაუზა, ხანდახან – ხანგრძლივიც. გამოუცდელი მეთევზე ნერვიულობს, ზედმეტად მოძრაობს, გადადის სხვა ადგილზე და შედეგად თევზაობა უხარისხო გამოდის. მოზიდვის დროს ხანგრძლივი პაუზა ნიშნავს მსხვილი თევზის მოსვლას საკვების ადგილზე. ის აფრთხობს წვრილ თევზს და მის ადგილზე აუჩქარებლად მიირთმევს საჭმელს. მსხვილი თევზი დროებით გვერდით მიდის და ფრთხილობს. ამ დროს უნდა გამოიცვალოს სატყუარა, მაგალითად – ქერი სალაფავით. 4-5 დიდი თევზის დაჭერის შემდეგ კვლავ დგება პაუზა და შეიძლება ახალ სატყუარაზე გადასვლაც.

წარმოგიდგენთ სატყუარას რამდენიმე სახეობას: ***სალაფავი*** – ყველაზე იოლად დასამზადებელი და უნივერსალური სატყუარაა. ერთი ულუფა სალაფავის მოსამზადებლად საჭიროა ერთი სუფრის კოვზი მანანის ბურღული, რომელსაც უნდა დაასხათ ასევე ერთი სუფრის კოვზი წყალი. მასას ხუფი დაახურეთ და 1 საათი გააჩერეთ. მანანის ბურღულმა მთლიანად უნდა შეიწოვოს წყალი. 1 საათის შემდეგ მოურიეთ წებოვანი მასის მიღებამდე. თუ სალაფავი 5-7 სანტიმეტრზე გაწელვისას წყდება, ე.ი. მზადაა. ეს სატყუარა ადვილად უნახება. მას ასხამენ ერთჯერად შპრიცებში და ინახავენ საყინულეში (1 თვემდე). შპრიციდან გამოსულ სალაფავის წვრილ ნაკადს ახვევენ ნემსკავზე ისე, რომ წვერი არც კი დაიფაროს, რადგან გადაგდებისას ჩამოცურდება და თავად დაფარავს. მანანის სალაფავი ყოველგვარი დანამატის გარეშეც საუკეთესო სატყუარაა. თუმცა თანამედროვე მრეწველობა აწარმოებს ისეთ პროდუქციას, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო მიმზიდველი გავხადოთ სატყუარა. ლაპარაკია არომატულ დანამატზე. დღეს მოიპოვება ყველანაირი გემოს დანამატი, რაც ადვილებს მეთევზის შრომას. სალაფავი არევის წინ უნდა დაიყოს რამდენიმე ნაწილად და დაემატოს სხვადასხვა არომატიზატორი. ყველაზე ხშირად იყენებენ ვანილს, ბანანის ესენციას, კანაფის ზეთს, კაკაოს. ესენი შეიძლება იყოს ფხვნილისა და სითხის სახით. მთავარია, არ გადავაჭარბოთ – სითხის ერთი წვეთი, ფხვნილი კი დანის წვერზე რაც დაეტევა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თევზს კი არ მოვიზიდავთ, არამედ დავაფრთხობთ. სწორად მომზადებული სალაფავი კარგად ჩერდება ნემსკავზე და განსაკუთრებით მიმზიდველია კობრისებრთა ოჯახისთვის.

***ბარდა+მანანის ბურღული:*** 2 ჩაის კოვზ ბარდის ფქვილს ასხამენ ცოტა წყალს, ადუღებენ და ურევენ კისელის სისქემდე, შემდეგ ამატებენ მანანის ბურღულის ფქვილს, გადმოდგამენ და სწრაფად ურევენ, სანამ არ გასქელდება. შემდეგ კრავენ გუნდას და დებენ სითბოში ქვაბით 1 საათის განმავლობაში. გამზადებული მასა პლასტელინივით უნდა იყოს.

***შვრია+მანანის ბურღული:*** 1 სუფრის კოვზ შვრიას ვყრით ნახევარ ჭიქა მდუღარე წყალში. ვამატებთ 2-3 ჩაის კოვზ შაქარს და ვდგამთ ცეცხლზე. ქაფის გამოჩენისას გადმოვიღებთ და მორევით ვამატებთ ნახევარ ჭიქა მანანის ბურღულს.

***ქერის სატყუარა*** – 1 სუფრის კოვზი ქერის ბურღული ჩავყაროთ თერმოსში და დავასხათ მდუღარე წყალი. 45 წუთის მერე გადმოვასხათ საწურზე, გავაციოთ, გადავიტანოთ ჭურჭელში (არა პლასტმასის) და სატყუარა მზადაა. ქერის სატყუარას შეიძლება დაემატოს 1 სუფრის კოვზი თაფლი ან დაჭრილი ვაშლი. ყველა წყალსაცავის თევზი არ არის ქერის სატყუარას მიჩვეული. ამიტომ შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს სატყუარა არაეფექტურია. ამას გამოვასწორებთ, თუ მოსაჩვევ სატყუარაში რამდენიმე მარცვალ ქერს დავუმატებთ. თევზი მას გასინჯავს და ინტენსიურად წამოვა ანკესზე.

ქერის ბურღულიც და მანანის სალაფავიც დიდი ექსპერიმენტების საშუალებას იძლევა. მასში არომატიზატორების დამატებით შეიძლება მიაღწიოთ არაჩვეულებრივ შედეგს. ხანდახან კარგი იქნება, თუ ქერის მარცვლებს საკვები საღებავით წითლად შეღებავთ.

***ხორბალი:*** ეს იქნება ყველაზე კარგი სატყუარაა, თუ გადაწყვეტთ მსხვილ კაპარჭინასა და კობრზე თევზაობას. დიდ თევზსაშენ მეურნეობაში საკვებად სწორედ ხორბალს იყენებენ. მისი მომზადება უადვილესია. თერმოსის 1/5-ზე ვყრით ხორბალს, ვავსებთ მდუღარე წყლით და ვტოვებთ მთელი ღამით, დილით სატყუარა მზადაა, მაგრამ ყველა სახის ხორბალი არ გამოდგება დასალბობად. საჭიროა მაგარი მარცვალი, რომლისგანაც უმაღლესი ხარისხის ფქვილს ამზადებენ. რბილი ხორბლის დალბობა 4 საათის შემდეგ უნდა ვაკონტროლოთ, რომ არ გადაიხარშოს. რბილი ხარისხის ხორბალი ცუდად ჩერდება ანკესზე, ამიტომ 2-3 მარცვლის წამოცმა უხდებათ. ხორბალს არ სჭირდება არომატიზატორი.

თევზჭერის პროცესში სატყუარა დაშვებული უნდა იყოს ფსკერზე, რადგან ეს თევზის საკვების ბუნებრივი მდგომარეობაა.

გამოცდილმა მეთევზეებმა იციან, რამდენად კარგად მოიზიდავს ფეტვი კაპარჭინასა და კობრს. ოღონდ ერთი ნაკლი აქვს – სწრაფად ანაყრებს თევზს, იმდენად, რომ არავითარ ყურადღებას აღარ აქცევს ყველაზე მიმზიდველ საკვებსაც კი. ფეტვი არ უნდა იყოს ძველი, მწარე, ჭუჭყიანი. დამზადების წინ მას რეცხავენ. შემდეგ ერთ ჭიქაზე ასხამენ 2 ჭიქა წყალს და ნელ ცეცხლზე ხარშავენ. შემდეგ ხის კოვზით ერთგვაროვან მასამდე დასრესენ. თავდახურულს 2-3 საათით ღუმელში ათავსებენ. რამდენჯერმე მოურევენ. გამზადებული ფაფა გადააქვთ სხვა ჭურჭელში, სიცივეში. ინახება ერთი კვირა. ხმარების წინ ცომისგან ბურთულებს აკეთებენ. ასეთი სატყუარა კარგად ჩერდება ნემსკავზე.

**ლევან ებრალიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნიკოლოზ დადიანი და შიპკის გმირული ეპოპეა

*1979 წელს ბულგარეთში სტუმრად ჩასული ქართული ეკლესიის დელეგაცია უცნაური მოვლენის მომსწრე გახდა. ისინი ბულგარელებმა შიპკის ქრისტეშობის ეკლესიაში მიიპატიჟეს. ქართველებს ტაძარში სტაროზაგორსკის ეპარქიის სამღვდელოება შეხვდა. მღვდელმა ენჩო ჟელიაზკოვმა თავისი მისასალმებელი სიტყვა ამგვარად დაიწყო: „აქ, შიპკაში, ბულგარელ და რუს მეომართა მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი რაინდებიც. გენერალ-მაიორ ნიკოლოზ დადიანის მეთაურობით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ ბულგარელი ხალხის თავისუფლებას მაიორი ჭილაშვილი, თავადი წერეთელი, კაპიტანი ვაჩნაძე, პორუჩიკი გრიგორაშვილი, კორნეტი სუმბათაშვილი და მრავალი სხვა. მათი სახელები ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული ტაძრის მარმარილოს კედლებზე და კიაფობს, როგორც სიმბოლო ქართველთა უჩვეულო ვაჟკაცობისა“.*

ქართველთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისის შემდეგ სტაროზაგორსკის მიტროპოლიტმა პანკრატიმ აღნიშნა: „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ანალებსა და შიპკის ეპოპეაში სამუდამოდ დაიმკვიდრა სახელი საქართველოს საამაყო შვილმა, გენერალ-მაიორმა ნიკო მინგრელსკიმ და როგორც ბალკანეთის ველებზე სამუდამო ყვავილობა უწერია წითელ ვარდებს, ასევე მარადიულია ხსოვნა ქართველი გმირებისა ბულგარელი ხალხის გულებში“.

ბრძოლა, რომელშიც სამეგრელოს უკანასკნელმა თავადმა ნიკოლოზ დადიანმა ისახელა თავი, ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი იყო.

ყველაფერი 1877 წელს დაიწყო, რუსეთის ჯარებმა 5-6 ივლისს ბულგარეთში შიპკის უღელტეხილი დაიკავეს. სტრატეგიული პუნქტი ზღვის დონიდან 1185 მეტრზე, „სტარა-პლანინას“ მთებში მდებარეობს და მისი საშუალებით სტამბოლისაკენ უმოკლესი გზა მიდის. თურქეთის სარდლობამ ბალკანეთის სხვადასხვა რეგიონიდან და ჩერნოგორიიდან სასწრაფოდ სულეიმან ფაშას არმია გადაისროლა და კონტრშეტევის დაწყება განიზრახა.

ოსმალები მიზნად რუსების დუნაის იქით განდევნას ისახავდნენ. სულეიმან ფაშას 35 ათასკაციან არმიას შიპკის დაკავება დაევალა, რის შემდეგაც რუშუკში, შუმლასა და სილისტრიაში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებს უნდა შეერთებოდა. ძალთა თანაფარდობა უთანასწორო იყო, ოსმალები 35 ათასი, შიპკის დამცველები კი დაახლოებით 5 ათასი იყვნენ.

შიპკის უღელტეხილის შტურმი 1877 წლის 21 აგვისტოს დილის 7 საათზე დაიწყო, სამხრეთიდან შაქირ-ფაშას ნაწილები უტევდნენ, აღმოსავლეთიდან კი რეჯებ-ფაშას ქვედანაყოფები ჩერქეზულ კავალერიასთან ერთად.

გამარჯვებაში დარწმუნებული სულეიმან-ფაშა 22 აგვისტოს საღამოს სულთანს ფირმანში სწერდა: „რუსებს არა აქვთ ძალა წინააღმდეგობა გაგვიწიონ, ისინი ხელიდან ვერ დაგვისხლტებიან, თუ ამაღამ მოწინააღმდეგე თავს გაქცევით არ უშველის, ხვალ დილით მე მათ გავსრეს“.

სულეიმან-ფაშა მწარედ ცდებოდა, შიპკისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, 1877 წლის 17 სექტემბერს ოსმალებმა უღელტეხილზე კიდევ ერთი თავგანწირული შტურმი მიიტანეს – თუმცა უშედეგოდ.

ოსმალების დაუსრულებელმა შეტევებმა შიპკის დამცველთა რიგები ძალიან დააზარალა, მათ დამატებითი ძალები ესაჭიროებოდათ. სწორედ ამ დროს მოხდა ფრონტზე მნიშვნელოვანი გარღვევა, რამაც ომის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა....

პლევნის დაცემის შემდეგ იმპერატორის ბრძანებით, გენერალ გურკოსა და მაიორ ნიკო დადიანს ბალკანეთის გადალახვა დაევალათ. ოპერაცია გაზაფხულის დადგომამდე უნდა განხორციელებულიყო, დადიანს უნდა მოეხდინა დუნაის ფორსირება, ჩაეტარებინა ტაქტიკური წვრთნები და გაეწმინდა მარშრუტი. ხელმწიფის ბრძა-



შიპკის ბრძოლა

ნება ნიკო მინგრელსკიმ უმოკლეს დროში ბრწყინვალედ შეასრულა.

1877 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში შიპკის რაზმი სამ კოლონად შეტევაზე გადავიდა. ეს იყო ერთ-ერთი ურთულესი ოპერაცია. რაზმებს მტრის გარემოცვაში, თოვლსა და ქარიშხალში უნდა გადაელახათ ძნელად გასავლელი ციცაბო და მთუვალი მთები, სადაც, როგორც თვით ბულგარელები ამბობდნენ, ზაფხულშიც კი საშიში იყო მოგზაურობა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მარჯვენა კოლონა, რომლის მარშრუტიც ყველაზე მძიმე დასაძლევი იყო, მაგრამ 28 დეკემბერს სამივე კოლონა გარს შემორტყა შეინოვის ბანაკს, სადაც ვესელი ფაშას არმია იყო განლაგებული. თავდაუზოგავ ბრძოლაში თურქები დამარცხდნენ, ვესელი ფაშა მთელი თავისი ავლადიდებით დანებდა. შიპკა-შეინოვის ოპერაცია ამ ომის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევას წარმოადგენდა.

შიპკას გადალახვასთან ერთად რუსებმა მეორე წარმატებითი ოპერაციაც განახორციელეს. ეს იყო დასავლეთ ბალკანეთის გადალახვა სერბეთის ძალებთან ერთად. გურკო-დადიანის 60 ათასიანი რაზმი დეკემბრის დამლევს შეუდგა ბალკანეთის რთული მარშრუტის განხორციელებას. მოწინავე ნაწილი ძლიერ ქარიშხალში მოხვდა, რის გამოც 900 კაცი გაიყინა. დადიანის მთავარსარდლობით რუსებმა დასავლეთ ბალკანეთის გადალახვა რამდენიმე კოლონად, 20 გრადუსიან ყინვაში, დიდი შეფერხების მიუხედავად, მაინც მოახერხეს. გურკო-დადიანის ძალები სოფიის ველზე დაეშვნენ და შეტევა ფილიპოპოლისის მიმართულებით განავითარეს. ფილიპოპოლისთან სამდღიანი ბრძოლის შემდეგ გურკომ და დადიანმა სულეიმან-ფაშას 50 ათასიანი არმია დაამარცხეს. ამით თურქეთის წინააღმდეგობა ფაქტიურად შეწყდა.

სამეგრელოს უბრწყინვალესი თავადის არქივში დღემდე დაცულია გათავისუფლებული სოფიის ფოტო, რომელზეც მასირებული საარტილერიო ცეცხლისაგან დაზიანებული ბულგარეთის საკათედრო ტაძარი მოჩანს.



დანგრეული სოფიის საკათედრო ტაძარი

ბულგარეთის დედაქალაქის გათავისუფლების შემდეგ გზა სტამბოლისაკენ ხსნილი იყო, იმპერიის არმია შეუჩერებლად მიიწევდა წინ.

შიპკის ოპერაციაში გამოჩენილი გმირობისათვის 1878 წელს დადიანს რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის ჩინი მიანიჭეს, დააჯილდოვეს „წმინდა ანას" II და IV ხარისხის ორდენებით და ასევე გადასცეს ოქროს ხმალი წარწერით „ერთგულებისათვის".

ბულგარეთის გათავისუფლებაში მონაწილეობა იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ 1886 წელს პრინც ბატენბერგის ჩამოგდების შემდეგ, რუსეთის იმპერატორმა ბულგარეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტად უბრწყინვალესი თავადის, ნიკო დადიანის კანდიდატურა წამოაყენა. იმდროინდელი პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ფაქტს. გაზეთ „ივერიის" ერთ-ერთი ნომერი (1886წ. 257) მთლიანად ამ ამბავს ეხება. მიმოხილულია რა უცხოეთის პრესა, მოთავსებულია ცნობები სამეგრელოს თავადის ცხოვრებაზე, აღზრდასა და განათლებაზე. გაზეთი „ნოვოსტი" აღწერს ნიკოლოზის ევროპაში და განსაკუთრებით ჰაიდელბერგში ცხოვრებას. წერს რა მის დადებით თვისებებზე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მინგრელსკის განსაკუთრებული ნიჭი აქვს ენების შეთვისებისა, რომ ის მშვენივრად ლაპარაკობს რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ ენებზე, ამჟამად გერმანული ენაც ისწავლაო.

გაზეთი „რაინიშერ კურიერი" დასძენს, რომ ჰაიდელბერგის გარდა თავადი ნიკოლოზი, ვისბადენის, ჰამბურგისა და სხვა დიდი ქალაქების მკვიდრთაც შესანიშნავად ახსოვთ. ისინი დიდად აფასებენ ქართველი პრინცის კეთილშობილ ხასიათსო. „ეხლაც ამბობენ ვისბადენის მცხოვრებნი სამეგრელოს თავად ნიკოლოზზე, მეტად კეთილი მმართველი იქნება ნახევრად განადირებული ბულგარელებისათვის, რომელნიც ჯერ კიდევ არ გადაჩვეულან ოსმალეთის უღელსო".

ნიკოს კანდიდატურა ბულგარეთის სამეფო ტახტზე ვერ გავიდა, ამას ხელი ევროპის ქვეყნების ანტირუსულმა ბლოკმა შეუშალა.

დადიანების სასახლეების ფოტოფონდში დღემდე დაცულია ალბომი „ბალკანეთის იქით ლაშქრობა 1877-1878 წ.წ", რომელიც პეტერბურგიდან ნიკო დადიანმა ჩამოიტანა. ალბომი 80 გვერდიანია და მასში 150-ზე მეტი ფოტოსურათია მოთავსებული. ყოველ მათგანზე გაკეთებულია მინაწერი „ასლის გაკეთება აკრძალულია", რაც სურათების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს. აქედან ისიც ცხადია, რომ დადიანი ბალკანეთის განმათავისუფლებელი ოპერაციის დეტალებსა და სტრატეგიას ზედმიწევნით იცნობდა.



კავკასიელები ბალკანეთში

**გიორგი კალანდია**

*დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის თავმჯდომარე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი*



ამბობენ, რომ ქალის სექსუალობის დონის დასადგენად, მისი ლოგინში გასინჯვაა საჭირო, თუმცა მსგავსი ექსპერიმენტების მოყვარულები ხშირად ერთობ მოულოდნელი სიურპრიზების წინაშე აღმოჩენილან.



# სუსტი სქესის უკეთ ამოსაცნობად...

ერთი შეხედვით, ვერაგი და მაცდური ქალბატონის ნილაბაფარებული არსება, ლოგინში სექსუალური თამაშებისადმი ერთობ ვულგარული და ცივად განწყობილი გამოდგვარა, ხოლო ახლომხედველი „ფრიადოსანი“, რომელიც თავისი მრგვალშუშიანი სათვალითა და მოშჩვარული მოძრაობებით გარეგნულად არანაირ ქალურობას არ ამჟღავნებს, სარეცელზე დელფინივით სხარტი გამოდგვარა და სექსუალობის უმაღლესი კლასის გაკვეთილები ჩაუტარებია. იბადება კითხვა — არსებობს თუ არა მომავალი პარტნიორის სექსუალობის წინასწარ გამოცნობის ხერხები და მეთოდები?

რა თქმა უნდა, არსებობს, უბრალოდ, კიდევ ერთხელ ყურადღებით დააკვირდით მათ.

## თმა

გრძელი და მოვლილი თმა, რა თქმა უნდა, კარგი შესახედავია, მაგრამ ფრთხილად იყავით. კეფიდან წელსქვემოთ დაშვებული ნაწნავი, შესაძლებელია ერთობ შემაშფოთებელი ფაქტის მიმანიშნებელი აღმოჩნდეს. მოდით, ლოგიკურად განვსაჯოთ. გრძელი თმა სერიოზულ მოვლას საჭიროებს. ამას პატრონი ყოველდღიურად რამდენიმე საათს უთმობს. რაზე მეტყველებს ეს? იმაზე, რომ ამ ქალბატონს ცხოვრებაში ყველაფრის მიმართ სერიოზული და საფუძვლიანი დამოკიდებულება აქვს. რაც შეეხება სექსს, უკეთეს შემთხვევაში, გრძელნაწნავიანი არსება გაჭიანურებული და ფაქიზი პრელუდიის მოყვარულია, ამასთან ერთად, მას სწრაფად გაალიზიანებს ყოველივე, რაც მის მიერ წინასწარ დაგეგმილ გრაფიკს არ დაემთხვევა. უარეს შემთხვევაში, იგი ტრადიციული და ერთფეროვანი სექსის მომხრეა და მისთვის რესტორანში ან მამაკაცთა ტუალეტის ფანჯრის რაფაზე სექსუალური კავშირის დამყარება წარმოუდგენელია.

თუ თქვენ უფრო ტემპერამენტიან პარტნიორს ეძებთ, ყურადღება მიაქციეთ გოგონებს, რომლებსაც თმა მოკლედ აქვთ შეჭრილი — სტილისტები და პარიკმახერები ადასტურებენ, რომ ქალი, რომელიც თმებს იჭრის, გამომწვევი ხდება და ეს გამოწვევა ცხოვრებაში რაღაცის შეცვლის სურვილის მიმანიშნებელია. ამას გარდა, ქალბატონები ვარცხნილობას ხშირად განცდილი სტრესების შემდეგ იცვლიან, კერძოდ კი, საყვარელ ადამიანთან განშორების შემდეგ. ასეთ სიტუაციებში ქალბატონები ცდილობენ, დაკარგულ სიყვარულს ახალი სიყვარულით უმკურნალონ, უპრობლემოდ ერთვებიან სასიყვარულო ავანტიურებში და ცდილობენ, სწრაფად დაივიწყონ წარსული.

## თვალები

იმის მიხედვით, თუ როგორ გიცქერის ქალი, შეიძლება მისი ხასიათის ზოგიერთი თავისებურების დადგენა. თუ ის პირდაპირ ხედვით კონტაქტს არ გაურბის და თვალებში უტიფრად გიყურებს, ნიშნავს, რომ ლოგინში იგი ერთობ თავდაჯერებულია და ეცდება, თავისი გამოცდილება კარგად გამოიყენოს, რათა თქვენგან სიამოვნების მაქსიმუმი მიიღოს. თუ ქალი საუბრის დროს თვალებდახრილი ზის ანდა შეშინებულ მზერას აქეთ-იქით აცეცებს, რათა თქვენს მზერას გაექცეს, გახსოვდეთ, რომ ის ლოგინშიც მორცხვი და თავდაჭერილი იქნება და სამსახურიდან დათხოვნილი მოსამსახურესავით მოიქცევა. ასე რომ, თქვენ მდგომარეობის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი იქნებით.

## სათვალე

ცნობილია, რომ მხედველობა უუარესდება მათ, ვინც დიდ დროს ატარებს კომპიუტერის მონიტორთან, ვინც დიდხანს და ბევრს კითხულობს, ანდა მიკროსკოპულ „შპარგალკებს“ ადგენს. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ჭკვიანი და განათლებული გოგონები უფრო ხშირად ატარებენ სათვალეს, ვიდრე ფოტომოდელები ან ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშები. გამეფებულია აზრი, რომ რაც უფრო განათლებულია ქალი, მით უფრო რთულია მასთან ურთიერთობა. ასე რომ, ბატონებო, დაიმახსოვრეთ! სოციოფსიქოლოგებმა და სექსოლოგებმა დიდი ხანია გაფანტეს ეს გამოქვაბულისდროინდელი მითი — ყველაფერი პირიქითაა! სექსოლოგები ამტკიცებენ, რომ უნივერსიტეტის დიპლომიანი გოგონები უფრო მეტად დაუცხრომელნი არიან სექსში, ვიდრე მათი ნაკლებგანათლებული თანატოლები. ამე-




თუ შეამჩნევთ, რომ თქვენკენ მანდილოსანი „მოეშურება“, მაშინვე კონტრშეტევაზე ნუ გადახვალთ. ჯერ კარგად დააკვირდით — შეიძლება მას „თავის საქმეზე“ მიეჩქარება, თქვენ კი თქვენი ემოციებით გზაზე ელობებით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიკული სტატისტიკის თანახმად, ქალები, რომელთაც სამეცნიერო ხარისხი აქვთ, ჭკუას კარგავენ ერთღამიან სექსუალურ ურთიერთობებზე. გარდა ამისა, განათლებული გოგონები საკუთარ კარიერაზე ზრუნავენ და მტკიცე, ხუთშვილიანი ოჯახის შექმნაზე არ ოცნებობენ. ვიღა იტყვის ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რომ ქალისთვის განათლების მიცემა ფუჭი საქმეაო...

## მკერდი

გახსოვდეთ, რომ ქალის ჩაცმა-დახურვის მანერა შემთხვევითი არასოდესაა. ასე რომ, თუკი ქალბატონის დეკოლტე თქვენში სასკოლო ისტორიის წიგნში დაბეჭდილ მკერდმოშიშვლებული თავისუფლების ეპიკური გამოსახულების მოგონებას აღძრავს, შეგიძლიათ, გადამწყვეტ მოქმედებებზე გადასვლა. ოღონდ გირჩევთ, მანამდე თქვენს მომავალ პარტნიორს ჰკითხოთ რა ჰქვია...

## ფიგურა

ფსიქოლოგები ადასტურებენ, რომ ადამიანის სხეულის ფორმასა და მის პირად თავისებურებებს შორის უშუალო კავშირი არსებობს. მეცნიერებმა ორი ძირითადი ფსიქოსომატური ტიპი დაადგინეს: ენდომორფული და მეზომორფული. ენდომორფული ტიპისთვის დამახასიათებელია რბილი მუსკულატურა, მრგვალი სახე, განიერი თეძოები და მნიშვნელოვანი სიმსუქნე. მეზომორფული ტიპი კი გამოირჩევა ძლიერი მუსკულატურით, გამხდარია და მისი ტანის მოყვანილობას კუთხოვანების ელფერი ადევს.

ახლა, როცა ფსიქოსომატიკის ღრმა ცოდნით ხართ შეიარაღებული, დაუკვირდით – თუკი მრგვალი და ფაფუკი არსება უკვე ერთი საათია თქვენ წინ თავის გრძელ წამწამებს აფახულებს და დროდადრო სუნთქვას ოხვრასაც მოაყოლებს, მიხვდებით, რომ ეს სიმპათიური და საყვარელი არსება ტიპური ენდომორფია, ოცნებებით, მგრძნობელობითა და დამყოლი ხასიათით გამორჩეული. ენდომორფი გარემოსთან ჰარმონიის მოპოვებას ცდილობს და საშინლად იტანჯება, როცა ვინმეს რამეზე უარს ეუბნება. ასე რომ, ჩათვალეთ, თქვენ გაგიმართლათ.

სამაგიეროდ, თუ თქვენ წინაშე „მოზარდი ქალბატონის“ მოდური ტიპაჟია, ღაწვმაღალი, რომელსაც როგორც ამბობენ, „ფეხები ყურებიდან ეწყება“, ასეთ შემთხვევაში თქვენ დამცინავ და დაუყოლიებელ მეზომორფთან მოგიწევთ ურთიერთობა. დამამშვიდებლად შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ მეზოფორმი ყოველთვის სწორხაზოვანი და პირდაპირია. თუ თქვენ მას არ მოსწონხართ, იგი პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გამოგიცხადებთ. ხოლო თუ მოეწონებით, არ არის გამორიცხული, კბილებით შემოგახიოთ ტანსაცმელი...

# როგორ გავუმკლავდეთ ნაბახუსს



**სმის დროს ზომიერება საჭირო – ეს უტყუარი აქსიომაა, მაგრამ რატომღაც ხშირად მის არსებობას უგულებელყოფთ და საკუთარ თავს მძიმე გამოცდას ვუწყობთ ხოლმე. განსაცდელში ჩავარდნილნი კი ბოლოს გაჩენის დღეს ვწყევლით...**

ამასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ შეგახსენოთ რამდენიმე ხერხი, რომელთა დახმარებითაც მეგობრული სუფრის შემდეგ შეძლებთ თავიდან აიცილოთ სასმლისაგან გამოწვეული უკუჩვენებები.

თუ თქვენ აუცილებლად გელით მძიმე და დამათრობელი სუფრა, ორი საათით ადრე 50 გ. არაყი დალიეთ. როგორც ცნობილია, ორგანიზმი ალკოჰოლის დამშლელ ფერმენტებს გამოყოფს, ოღონდ მას შემდეგ, რაც „ის“ „მასში“ მოხვდება. ამიტომ ორი საათით ადრე მიღებული მცირე დოზა თქვენს ორგანიზმს მობილიზებას გაუკეთებს და ის ყველანაირ სასმელს კბილებამდე (რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით) შეიარაღებული დახვდება.

თუ იცით, რომ ქეიფი ხანგრძლივი დროით მოგიწევთ, გირჩევთ სმის დაწყების წინ არ მიირთვათ ცხიმიანი საჭმელი, თუმცა მოკლევადიან ნადიმებზე პირიქით – მცენარეული ზეთი, უმი კვერცხი ან უკრაინული „სალას“ ნაჭერი მართლაც კარგი საშუალებაა. საქმე ისაა, რომ ცხიმი ანელებს ორგანიზმის მიერ ალკოჰოლის შეწოვას, მაგრამ სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ხერხის მთელი მზაკვრობაც. როცა ალკოჰოლი კუჭიდან არ იწოვება, ის იწყებს დაგროვებას და თანდათან ნელი მოქმედების ნაღმს ემსგავსება. ეს ნაღმი 3-4 საათის შემდეგ აუცილებლად იფეთქებს... ამიტომ ხანგრძლივი ქეიფის დროს უმჯობესია, იგრძნოთ როგორ გეპარებათ სითვრალე, ვიდრე მოლხენის დასაწყისში ფხიზელი იყოთ, დასასრულს კი უგონოდ ჩაემხოთ საცივით ან ვინეგრეტით სავსე თეფშში.

თუ ოფიციალურ შეხვედრაზე მიბრძანდებით, მიირთვით ერთი კოვზი კარაქი. ეს საშუალება დიპლომატების პრაქტიკაში აპრობირებული ხერხი ყოფილა, რომლის მიზანიც გართობა და დროსტარება კი არა, ნორმალური იერსახის შენარჩუნებაა.

## ოქროს წესები

### პირველი და უმთავრესი:

არასოდეს აურიოთ სხვადასხვა სასმელი, თუ სმა წითელი ღვინით დაიწყეთ, გირჩევთ წითელი ღვინითვე დაასრულოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეთ.

### მეორე:

გაითვალისწინეთ ეტიკეტი

აპერიტივი – ეს მხოლოდ და მხოლოდ 50 გრ. გაუზავებელი ძლიერი ალკოჰოლური სასმელი ან კოქტეილია.

შეკრების მიზეზის აღსანიშნავად მიირთმევენ 100 გრ. შამპანურს, მაგრამ მხოლოდ მშრალს ან ნახევრად მშრალს, რომელსაც დესერტად თხილს ან ნამცხვარს მიაყოლებენ ხოლმე.

ცხელ ან ცივ საუზმესთან ერთად შეგიძლიათ მიირთვათ არაყი ან ცხარე ნაყენები.

წვნიანთან ერთად მიღებულია პორტვეინის, ხერესის ან მადერის ტიპის მაგარი სასმლის მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხელ კერძებს მეტად უხდება მშრალი თეთრი ღვინო. ხორცს ან გარეულ ფრინველს კი — წითელი ღვინო.

თევზეულთან — მხოლოდ თეთრი ღვინო მიირთვით.

სოკოსა და ბოსტნეულის კერძებთან, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მიზანშეწონილია ტკბილი სასმელების მოხმარება.

დესერტთან მიღებულია ლიქიორის ან ტკბილი შამპანურის მირთმევა.

## მესამე და აუცილებელი:

ყოველი ჭიქის შემდეგ სასურველია რაიმე მიირთვათ. ეს გამოიწვევს ალკოჰოლის ნელ და თანმიმდევრულ შეწოვას. ისეთი მისაყოლებელი, რომელიც შეიცავს ასკორბანის მჟავას, ანეიტრალებს ალკოჰოლის მოქმედებას.

როგორც მიჩნეულია, ღვინოს არ უხდება ხილი, განსაკუთრებით კი ყურძენი. თუ ხილის დესერტს წინ უძღოდა მსუყე ან ცილიანი კერძებით დანაყრება, „მეორადი ადუღების" ეფექტი გარდაუვალია. ამის შედეგი კი ცნობილია: ხანგრძლივი სიმთვრალე და მძიმე „პახმელია" დამახასიათებელი თავის ტკივილით. ნეგატიურ შედეგამდე მივყავართ ნებისმიერ საკვებს, რომელიც ნახშირწყლებით არის გაჯერებული. ზემოთ აღნიშნული წესების გარდა, აუცილებელია ვიცოდეთ სხვადასხვა სასმლის თვისებაც და მათი შერევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგიც.

გირჩევთ, არაფრის დიდებით არ აურიოთ ძლიერი ალკოჰოლი და გაზიანი სასმელი. დაივიწყეთ ყველანაირი ტონიკი და კოლა, რადგანაც გახსნილი ნახშირმჟავას გაზი აიოლებს ალკოჰოლის მოხვედრას სისხლში და მის შემდგომ ტრანსპორტირებას ტვინის მიმართულებით. ძლიერი და გაზიანი სასმელებისაგან დამზადებული კოქტეილები, ჯინტონიკის და რომ-კოლას მაგვარი სასმელები, გათვალისწინებულია იმისათვის, რომ ერთი ჭიქის მიღების შემდეგ მყისვე იგრძნოთ მსუბუქი თრობა და მოდუნება. ეს სასმელები მეტად დაამშვენებს ნებისმიერ პაემანს სუსტი სქესის წარმომადგენელთან. მათი დახმარებით მომენტალურად იხსნება ყოველგვარი დაძაბულობა (ემოციური) და საგრძნობლად მცირდება დისტანცია (ფიზიკური).

შეუფერებელია ძლიერი სასმლისა და შამპანურის შეხამება. საქმე ის გახლავთ, რომ ძლიერი სასმელები, განსაკუთრებით კი კონიაკი, აფართოებს სისხლძარღვებს, შამპანური კი — ავიწროებს. ეს ორი საპირისპირო თვისების მქონე სასმელი, ორგანიზმში ერთმანეთის კომპენსაციას კი არ ახდენს, არამედ ისინი იწყებენ დაუნდობელ ბრძოლას გამარჯვებისათვის, რაც სისხლძარღვთა სტრესს იწვევს.

არყისა და ლუდის შეხამების ეფექტი არაერთ ლიტერატურულ და კინომატოგრაფიულ ნაწარმოებში ასახულა. შედეგი არა მარტო სასმლის სტაჟიანმა მომხმარებელმა, არამედ პირველკლასელმაც კი იცის...

დიდი ოდენობითა და სუფთა სახით მიღებული მაგარი სასმელი ორგანიზმზე გამომფიტველ ზეგავლენას ახდენს. სპირტი თავისკენ იზიდავს სითხეს, რაც ნაბახუსევზე დაუკმაყოფილებელ წყურვილს იწვევს. ამის ასაცილებლად, შეეცადეთ, სუფრაზე ყოფნისას მიიღოთ რაც შეიძლება მეტი სითხე, ეს წყურვილის თავიდან აცილებასა და ორგანიზმიდან ალკოჰოლის სწრაფ გამოდევნაში დაგეხმარებათ.

მათ, ვისაც მთელი საღამო რესტორანში უფროსთან ან საქმიან პარტნიორთან უწევს ყოფნა, ბარმენები ხშირად ვისკის ან კონიაკს ურჩევენ. ეს სასმელები, არყისგან განსხვავებით, გრძელი ფილოსოფიური საუბრებისაკენ განაწყობენ.

ზომიერი დოზით ალკოჰოლი მამაკაცის საუკეთესო თანამზრახველია. ცნობილია, რომ ქალის მოხიბვლა ყოველი ბოკალი სასმლით უფრო და უფრო იოლი ხდება. აქ მთავარია არჩევანში არ შეცდეთ. შამპანური ქალთა უმეტესობას რომანტიკულ განცდებს აღუძრავს. თუ გადაწყვეტთ თქვენს სტუმარს სწორედ ეს სასმელი შესთავაზოთ, გაითვალისწინეთ, რომ მთელი საღამო გაუთავებელ პრელუდიაში, ხვევნა-კოცნასა და ოხვრაში ჩაივლის.

მშრალი სასმელი ქალბატონებს გრძელი ინტელექტუალური საუბრისადმი განაწყობს, სამაგიეროდ, საერთოდ არ აღაგზნებს სექსუალურ ინტერესს.

ლიქიორები მეტად ნელა „თიშავენ" ტვინს, მაგრამ ჩქარა და საიმედოდ „აბამენ" კიდურებს, განსაკუთრებით კი ფეხებს. შესანიშნავ ეფექტს ახდენს ქალის სექსუალობაზე ტკბილი და დესერტული ღვინოები. მათ შორის ყველაზე სექსუალურად მასტიმულირებელ სასმელად ვერმუტი ითვლება. ამ სასმლის სახელწოდება აბზინდას გერმანული სახელიდან მომდინარეობს. სწორედ მასზე აყენებდნენ მეთექვსმეტე საუკუნეში გერმანელები ღვინოს. მწარე ბალახისაგან ღვინო სასიამოვნო არომატს იძენს და მკვეთრ ფანტაზიებს იწვევს. იგი შეიცავს ფსიქოსტიმულარულ და ჰალუცინოგენურ ნივთიერებას. ამ სასმლის რეცეპტი იტალიელებმა გადაიღეს და სრულყვეს კიდეც. თანამედროვე ვერმუტის ნატიფი ტკბილი არომატი 30-ზე მეტი სახის ბალახზე დაყენებული ღვინის საფუძველზე იქმნება. სწორედ ისინი მოქმედებენ ქალურ სექსუალობაზე, ათავისუფლებენ გონებას და გზას უხსნიან ეროტიკულ ფანტაზიებს.

თუ ვერმუტი ვერ იშოვეთ, არ დაღონდეთ, ქართული ტკბილი ან ნახევრატკბილი ღვინოებიც ბრწყინვალე საშუალებაა მანდილოსნის მოსახიბლავად. მთავარია, ეს სასმელი ბლომად მოიმარაგოთ, თორემ თუ შემოგაკლდათ და ამის გამო არაყზე გადასვლა მოგიწიათ, მოალერსე არსების ნაცვლად დორბლმორეულ, თვალებდაელამებულ, ხელფეხწართმეულ და ენადაბმულ მდედრობითი სქესის არსებას მიიღებთ, რომელსაც სიყვარულის ახსნის მაგიერ (იმედი გვაქვს, რომ ჯენტლმენი ბრძანდებით) სახლამდე მიცილებისას გულში ასჯერ მაინც შეუკურთხებთ...

**პაემანზე წასვლისას გაითვალისწინეთ, მაღალგრადუსიან სასმელს ქალები და კატები დაახლოებით ერთნაირად იტანენ...**





ეროვნული
ბიბლიოთეკა





# დიდი წყურვილი






***მშრალი კანონის ათწლეულმა ამერიკაში კარგად შედუღაბებული, ბრძოლებში გამოწრთობილი დანაშაულებრივი სამყარო გააჩინა. ქუჩების წვრილ-წვრილი ბანდები, რომლებიც აწყობილ დიდ დაჯგუფებებად იქცნენ, უზარმაზარ ფულს ფლობდნენ და ამ ფულს ახალ დარგებში — სერიოზულ ლეგალურ ბიზნესში, გართობის ინდუსტრიასა და, რაც მთავარია, პოლიტიკაში აბანდებდნენ. მათ წინ დიდი მომავალი ელოდა.***

## მაფიის ხელახალი დაბადება

კორუფცია ამერიკული ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. სიტყვები „პატიოსანი პოლიტიკოსი" ან „პატიოსანი პოლიციელი", სიცილს იწვევდა. პატიოსანი ან სულელს ნიშნავდა, რომელსაც ქრთამს არ აძლევდნენ ანდა კაცს, რომლის ყიდვაც მხოლოდ დიდი ფულის ფასად შეიძლებოდა.

უფულო ამერიკელები, რომელთაც ნორმალური ვისკის ან ჯინის ყიდვა არ შეეძლოთ, სუროგატებს „უბერავდნენ", რომლებიც ლატაკი უბნების იატაკქვეშეთში იხდებოდა. შედეგად, გაიზარდა სიკვდილიანობა, ფსიქიკურად დაავადებულთა რაოდენობა, თვითმკვლელობებისა და ავტოკატასტროფების რიცხვი. სამაგიეროდ, განგსტერები და მათი მეგობარი, მოსყიდული ჩინოვნიკები წარმოუდგენლად გამდიდრდნენ. მშრალი კანონი პროფანაციად იქცა... რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკამ კარგად ორგანიზებული, მდიდარი და ძლიერი დანაშაულებრივი სამყარო მიიღო. სწორედ ოციან წლებში გაერთიანდნენ უმნიშვნელო ბანდები ძლიერ სინდიკატებად, რომლებიც მილიონებს ატრიალებდნენ და ცალობით და ბითუმად ყიდულობდნენ პოლიტიკოსებს, პოლიციელებსა და პროფკავშირების ლიდერებს. ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატების დედაქალაქად ჩიკაგო იქცა. ამერიკის ამ განგსტერული მექისკენ დაიძრნენ ახალგამოჩეკილი დამნაშავეები, რომლებსაც დიდი ფულის სუნი ეცათ. ისინი თავის სამსახურს სთავაზობდნენ დანაშაულებრივი სამყაროს მაშინდელ მეფეებს — ხაიმე ვაისს, დაიონ ობენიონს, ბაქს მორანოს და სხვებს. დიდი ბოსები ჯერ კიდევ არ ასულიყვნენ იმ დონეზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დიდი ფულის სანაცვლოდ პოლიტიკაში ან ხელისუფლებაში მოხვედრა შეიძლებოდა. იმ განუკითხაობის ჟამსაც კი წარმოუდგენელი იყო მსგავსი რამ. სამაგიეროდ, შესაძლებელი იყო, უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკოსების, სახელმწიფო მოხელეებისა და პოლიციის ყიდვა...

## „სახენაიარევი"

თუკი ნიუ-იორკში ლაკი ლუჩიანოს, ვიტო ჯენოვეზესა და ბაქსი სიგალის ხსენება იწვევდა შიშის ზარს, ჩიკაგოში ყველა დაჩრდილა „სახენაიარევმა კაცმა" – ალფონსო კაპონემ, რომელსაც „მოფერებით" ალ კაპონეს უწოდებდნენ. ნეაპოლიტანელი ემიგრანტის შვილმა, რომელსაც ნიუ-იორკში საპარიკმახერო ჰქონდა, მაშინდელი ქუჩის ვიგინდარების სტანდარტულ უნივერსიტეტში გაასრულა განათლება. სკოლა მიატოვა, ჩამოაყალიბა ახალგაზრდული ბანდა, ყაჩაღობდა და ავაზაკობდა. მოგვიანებით იგი აღმოსავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ ავტორიტეტს ჯონი ტორიოს მოუვიდა თვალში. ადამიანს, რომელიც ფსონს საჭირო ადამიანებთან კავშირის დამყარებასა და ლეგალურ ბიზნესზე ჩამოდიოდა. ტორიო მალე ჩიკაგოში გადაბარგდა. კაპონეც, რა თქმა უნდა, თან გაჰყვა. ოციან წლებში ჩიკაგოში დიდი ფული კეთდებოდა. ბანდიტებმა ყველაფერი იყიდეს, რისი ყიდვაც შეიძლებოდა. კანონს და წესრიგს კი, „ტომპსონის" ავტომატებით ამყარებდნენ.

საერთოდ, ჩიკაგოელებს სისხლის ხილვა მაინცდამაინც არ აშინებდათ – ამ ქალაქში ხომ მსოფლიოს უმსხვილესი საქონლის სასაკლაოები იყო. განგსტერების მოსვლის შემდეგ კი სისხლის მდინარეები ქუჩებსა და ტროტუარებზეც გაჩნდა.

ჩიკაგოსეული „საძმოს" საშუალო რგოლის წევრებს, ანუ, როგორც მათ ბოსები უწოდებდნენ, კაპოებს, არაფრის ეშინოდათ. უყვარდათ გარეგნული ბრწყინვალება. როცა ქუჩაში მათი თავახდილი „პაკარდები" და „ლინკოლნები" გამოჩნდებოდა, ბავშვები ნაღვლიანად აყოლებდნენ მზერას. თუმცა მოგვიანებით იძულებული გახდნენ, კაბრიოლეტებზე უარი ეთქვათ, რადგან თუკი, ერთი მხრივ, მოსახერხებელი იყო გადახდილი მანქანიდან ავტომატიდან ცეცხლის გახსნა, მეორე მხრივ, არც მოწინააღმდეგეს გაუჭირდებოდა ხელყუმბარის ერთი სროლით თავახდილი მანქანის მგზავრების ამოჟუჟვა...

ჩიკაგოს მთავარი კაპოს, capo di tutti capi – ყველა ბოსის ბოსის, ჯონ ტორიოს კაბრიოლეტს, ერთ მშვენიერ დღეს, ჩიკაგოს ლუდის მეფის, ხაიმე ვაისის ხალხმა ცეცხლი გაუხსნა. ეს იყო შურისძიება დაიონ ობენიონის მოკვლის გამო, რომელიც ტორიოს ბიჭებმა ყვავილების მაღაზიიდან გამოსვლისას გაასაღეს. ტორიოს სამი ტყვია მოხვდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. იგი მიხვდა, რომ ასეთ მდგომარეობაში „ბიზნესიდან" წასვლა ჯობდა. შეკრიბა კლანის ავტორიტეტები და თავის მემკვიდრედ კაპონე დაასახელა. ამის შემდეგ, იტალიური მაფიის ისტორიაში ერთადერთმა არასიცილიელმა ბოსმა, „ყავისფერმა" კაპონემ (ერთთავად ყავისფერი კოსტიუმები ეცვა) გაუგონარი სისასტიკით დაიწყო საქმეების წარმართვა.

ირლანდიელი ჯიმი სალივანის მსგავსი უცხვირპირო კონკურენტები შეუბრალებლად გაანადგურეს – თავად სალივანი ეკლესიიდან გამოსვლის დროს მოკლეს. ობენიონის ბანდა ამობუგეს. ვაისს შევიწროება მოუწია. მალე ჩიკაგო ახალი ბარონის ფეოდალურ ტერიტორიად იქცა. მხოლოდ პოლიციის მონაცემებით, იმ წელს ჩიკაგოში 500 განგსტერი დაიღუპა.

კაპონეს წლიური შემოსავალი 60 მილიონს აჭარბებდა, ხოლო მისი პირადი არმია 700 კაცს ითვლიდა. იგი საგანგებოდ შეკვეთილი ჯავშნიანი „კადილაკით" დადიოდა, რომელსაც დუიმნახევრიანი, ტყვიაგაუმტარი მინები და სპეციალური ჯავშანი ჰქონდა. მანქანა ოთხ ტონაზე მეტს იწონიდა, მაგრამ 7,1 ლ მოცულობის და 200 ცხენისძალიანი ძრავის წყალობით, პოლიციისთვის მაინც მიუწვდომელი იყო. ეს „სათამაშო" 30 ათასი დოლარი დაუჯდა. ოფიციალურად ალ კაპონე ავეჯით მოვაჭრედ ითვლებოდა. მის მადასა და თავხედობას ბოლო არ უჩანდა. ერთ-ერთი არჩევნების დროს კაპონე შეეცადა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ქალაქის საკრებულოში თავისი ხალხი გაეყვანა. იგი არც მკვლელობებს, გატაცებებს, შანტაჟს, მოსყიდვასა და ურნების გატაცებას დარიდებია. მისმა თავხედობამ თვით ქალაქის მერი განარისხა და აი, სამოქალაქო ტანისამოსში გადაცმულმა პოლიციელებმა პირდაპირ საარჩევნო უბანზე, ავტომატებით დაცხრილეს ფრედ კაპონე, ალ კაპონეს ღვიძლი ძმა. კაპონემ ძმას მდიდრული დასაფლავება მოუწყო და ჩიკაგოს პოლიციას ვენდეტა გამოუცხადა. ამასთან ერთად, კონკურენტებსაც არ ივიწყებდა. ყველაზე დიდ დანაშაულად, რომელმაც მთელი ამერიკა შეძრა, „წმინდა ვალენტინის დღეს მოწყობილი სასაკლაო" ითვლება.

1929 წლის 14 თებერვალს პოლიციის ფორმაგადაცმულმა კაპონეს ამფსონებმა დღისით, მზისით, მორანოს ბანდის შვიდი წევრი „დააპატიმრეს". ისინი იქვე, საკუთარ საწყობში შეიყვანეს და ყოველგვარი აღელვების გარეშე დახვრიტეს.

დაპატიმრებულებს იმის ეჭვიც არ გასჩენიათ, რომ ეს ჩვეულებრივი პოლიციური რეიდი იყო, ამიტომ ხელებაწეული მშვიდად მიბრუნდნენ კედლისკენ. ბავშვისთვისაც კი ცხადი იყო, ვინ უნდა ყოფილიყო ამ დანაშაულის ჩამდენი, მაგრამ ალ კაპონეს ალიბი აღმოაჩნდა და ვერ დააპატიმრეს.

კაპონეს პიროვნებით ახლა უკვე შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჰერბერტ გუვერი დაინტერესდა: „მე მინდა, რომ ეს ყმაწვილი ციხეში აღმოჩნდეს", – განაცხადა ზესახელმწიფოს პრეზიდენტმა, რომელმაც გაპრეზიდენტებამდე მომხდარი ფაქტი გაიხსენა. ფაქტი კი ნამდვილად არასახარბიელო იყო. საქმე ის გახლდათ, რომ ჰუვერი შვებულებას მაიამიში, რესპექტაბელურ სასტუმროში ატარებდა და მისდა საუბედუროდ, ალ კაპონეს მეზობელი აღმოჩნდა. მართალია, მეზობლობა მხოლოდ ერთი ღამე გაგრძელდა, მაგრამ ეს ღამე ჰუვერისთვის




კორუფციაში ჩაფლული პოლიცია იშვიათად აპატიმრებდა მსხვილ ბუტლეგერებს. ძირითადად, საზოგადოებისთვის თვალის ასახვევად ცოტაოდენ კონტრაბანდას თუ აკავებდა. სამაგიეროდ, ამაზე ყველა გაზეთი წერდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალ კაპონე სასამართლო დარბაზში (მარცხნიდან მეორე). მან ჯერ არ იცის, რომ რამდენიმე წუთში თორმეტივე მოსყიდულ მსაჯულს შეუცვლიან...

ძალიან მწარედ დასამახსოვრებელი გამოდგა. თურმე კაპონეს მეგობრებთან და ბანდის წევრებთან ერთად ქეიფი მოუწყვია და მას შემდეგ, რაც ყველა ბოთლი დაცალეს, ისინი აივნის მოაჯირზე დააწყვეს და კოლტები და სმიტვესონები იძრეს... სწორედ ეს ღამე გაახსენდა ჰუვერს, როდესაც პრეზიდენტი გახდა...

## გადაიხადე გადასახადი და იძინე მშვიდად

ჭკვიანი და ვერაგი ალ კაპონე ვერაფრის დიდებით ვერ დააკავშირეს მრავალრიცხოვან მკვლელობას, ყაჩაღობასა თუ სხვა კანონდარღვევასთან, ამიტომ დარტყმა იმ მხრიდან მიაყენეს, საიდანაც ამას ნაკლებად ელოდა.

ჯერ კიდევ 1927 წელს, ამერიკის უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პროცესზე მოსამართლემ ყველასგან მოულოდნელად განსასჯელს წაუყენა ბრალდება, რომ მან საგადასახადო დეკლარაციაში არალეგალური ბიზნესიდან შემოსული თანხის რაოდენობა არ მიუთითა. ერთი შეხედვით, მოსამართლე უცნაურად მოიქცა. მისი გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციის მეხუთე შესწორებასთან (არავინაა ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ), მაგრამ სასამართლომ დაამტკიცა, რომ ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავს: კანონის მიხედვით, აშშ-ის მოქალაქენი მოვალენი არიან გადასახადები ნებისმიერი სახის შემოსავლიდან გადაიხადონ.

ლოგიკა მარტივია. თუ ბანკში შენი ანგარიში გაიზარდა, ნება იბოძე და გადაიხადე. გადასახადების ამკრებებს შემოსავლის წყარო კი არა, გადასახადები აინტერესებთ.

სწორედ ამით იყო განპირობებული ის, რომ 1931 წლის 17 ოქტომბერს კაპონემ სასამართლოს განაჩენი მოისმინა — გადასახადების გადაუხდელობის გამო, მას 11 წლით ფედერალური ციხე და 50 ათასი დოლარი ჯარიმა მიუსაჯეს. გარდა ამისა, იგი დაავალდებულეს, აენაზღაურებინა სასამართლოს წარმოების ხარჯები (დაახლოებით რვა ათასი დოლარი) და მთავარი, დაებრუნებინა ხაზინისთვის გადაუხდელი გადასახადი, 215 ათასი დოლარი მზარდი პროცენტებით.

წინასწარი მოსმენისას კაპონეს ხალხი შეეცადა მოესყიდა ნაფიცი მსაჯულები, რაც მათ მშვენივრად მოახერხეს, მაგრამ მოსამართლემ უპრეცედენტო საქციელი ჩაიდინა — ნაფიც მსაჯულთა მთელი შემადგენლობა მეზობლად მიმდინარე პროცესზე გაგზავნა, იქაური მსაჯულები კი კაპონეს პროცესის განხილვაში ჩართო. კაპონეს ადვოკატები შოკში აღმოჩნდნენ: ახალ ნაფიც მსაჯულებს არავინ იცნობდა და არც არავის მოესყიდა ისინი.

სახენაიარევმა ფედერალურ ციხეში შვიდწელიწად-ნახევარი გაატარა, თავიდან სპეციალურ, ფეშენებელურ სატუსაღოში ამყოფებდნენ და, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეს არ იკლებდა. მერე ამის შესახებ ჰუვერმა შეიტყო და კაპონე ალკატრასისკენ გაუყენეს... საიდანაც, საბოლოოდ, ვადაზე ადრე გათავისუფლდა, თავი იჩინა ძველმა ავადმყოფობამ — ათაშანგმა, რომელმაც მისი ნაწილობრივ პარალიზება გამოიწვია. გათავისუფლების შემდეგ თავის ტვინის ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ არ გაამართლა. დორბლმორეული და დალენჩებული ალფრედო კაპონე აღარ იყო ამერიკის მაფიის მეფე...

## „ძმაკაც, 10 ცენტი არ გექნება?"

1929 წლის 29 ოქტომბერს ამერიკაში „შავი სამშაბათი" გათენდა. ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის კრახით გამოწვეული გრანდიოზული ეკონომიკური ქაოსი ისე სწრაფად გავრცელდა ამერიკაში, როგორც ხანძარი პრერიებში.

სასოწარკვეთილი ადამიანები თვითმკვლელობით ამთავრებდნენ სიცოცხლეს, ფანჯრიდან ხტებოდნენ და თავს იხრჩობდნენ. კომპანიები და ფირმები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მილიონები ღირდა, 10 ათას დოლარად ძლივს იყიდებოდა. იმ წლის შემდეგ კი მთელი ათასწლეულის ფრაზად იქცა: „ძმაკაც, 10 ცენტი არ გექნება?" პარალელურად დამნაშავეობამ საშინელი სისწრაფით იწყო ზრდა.




ჩიკაგოელი განგსტერების სამიზნედ ნებისმიერი ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო...

# სახალისო სტატისტიკა

● ყოველი მეორე ამერიკელი სტუდენტი 40 წლის ასაკისთვის მილიონერად გახდომას ოცნებობს.

● ბავშვების ყველაზე მცირე რაოდენობაა გერმანიაში – მოსახლეობის მხოლოდ 15%. ყველაზე მაღალი მონაცემია კენიაში – 51%.

● იაპონიაში კრემაციას გადის გარდაცვლილთა 93%, ბრიტანეთში – 67%, აშშ-ში კი მხოლოდ 12%.

● მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ქალის სახელია ანა. ამ სახელს 100 მილიონამდე მანდილოსანი ატარებს.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ოქროს მსოფლიო მოპოვების 2/3-ს მოიპოვებენ.

● მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული გვარია ჩანგი.

● მოხუცებულების ყველაზე დიდი რაოდენობაა შვედეთში – მოსახლობის 24%. ყველაზე მცირე კუვეიტში – 2%.

● 5-მილიონიანი ფინეთის დაახლოებით 43% რეგულარულად სარგებლობს ინტერნეტით.

● 1943 წლის 5 აგვისტოდან (პირველი საბჭოთა საზეიმო ფეიერვერკის თარიღი) 1945 წლის 9 მაისის ჩათვლით სულ 354-ჯერ იგრიალეს ზარბაზნებმა.

● ჩინეთის დიდი კედლის შპალერით დასაფარავად 15.840.000 სტანდარტული რულონია საჭირო.

● მსოფლიო ისტორიაში დაფიქსირებული ორი ყველაზე მაღალი IQ ქალებს აქვთ.

● ინტერნეტის მსოფლიო მომხმარებლების საშუალო ასაკი 33 წელია.

● საკუთარი ჰიმნის ტექსტი ჰოლანდიელების მხოლოდ 15%-მა იცის.

● მსოფლიოში კათოლიკეები ბევრად მეტნი არიან, ვიდრე დანარჩენი ქრისტიანები ერთად.

● ყველაზე მეტი საფოსტო განყოფილება ინდოეთშია – 152.792. შედარებისთვის, აშშ-ში სულ რაღაც 38.000-ია.

● 1950 წელს ჩინეთში ცხოვრების ხანგრძლივობა 35 წელს შეადგენდა. 2000 წელს ეს მონაცემი 70 წელს გაუსწორდა.

● პოსტსაბჭოურ სივრცეში თუ ახალგაზრდას 20 წელი შეუსრულდა, მაგრამ ჯერ არ არის 21 წლის, იტყვის რომ 20 წლისაა. ხოლო ამერიკასა და ევროპაში იტყვის, რომ უკვე 21-ის გახლავთ.




მუზეუმად ქცეულ ალკატრასის ციხეში კაპონეს კამერა დამთვალიერებელთა დიდ ყურადღებას იმსახურებს, რითაც მუზეუმისთვის საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც მოაქვს...

მშრალი კანონის შემოღების 10 წლისთავზე ამერიკელ მოქალაქეთა 40 პროცენტი კონსტიტუციის მე-18 შესწორების გაუქმებას უჭერდა მხარს. პროკურორ უორკერშემის კომისიამ პრეზიდენტს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც დამნაშავეობის ზრდის მიზეზი იყო დასახელებული. ჰუვერმა უარი თქვა კანონის გაუქმებაზე – „მშრალი კანონი გრძელვადიანი, სიკეთის მომტანი ექსპერიმენტია“.

მომავალ არჩევნებზე ჰუვერი მიხვდა, რომ სიკეთის მომტანი კანონი უკვე აღარ იწვევდა ძველებურ სულიერ გამოძახილს ამერიკელებში. მაგრამ უკვე გვიან იყო. 50 წლის დემოკრატი ფრანკლინ რუზველტი „ახალი კურსის“ გარდა, ამომრჩევლებს „მშრალი კანონის“ გაუქმებას დაჰპირდა. ჰუვერის ანალოგიურმა დაპირებამ შესაბამისი გამოძახილი ვერ ჰპოვა – ადრე სად იყავი, შე კაცოო...

1933 წელს მოხდა სამი მოვლენა, რამაც საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ამერიკის ისტორიაზე.

იანვარში გერმანიის ხელისუფლების სათავეში ადოლფ ჰიტლერი მოვიდა, რაზეც ამერიკელების უმრავლესობას არანაირი ემოცია არ გამოუხატავს. ახალი კანცლერის სახელი და გვარი მათთვის არაფრისმთქმელი იყო. ნოემბერში ამერიკამ ოფიციალურად ცნო საბჭოთა კავშირი, ეს ფაქტიც ნაკლებად აინტერესებდა საშუალო ამერიკელს. ხოლო, როცა იმავე წელს იუტას შტატი გახდა 35-ე, რომელმაც რატიფიცირება გაუკეთა კონსტიტუციის 21-ე შესწორებას, ამერიკაში „მშრალი კანონი“ მთლიანად გაუქმდა. ახლა კი გაიხარა რიგითმა ამერიკელმა.

რუზველტმა „მშრალი კანონის“ გაუქმებასთან დაკავშირებულ თავის გამოსვლაში ერს „ზომიერებისა და თავშეკავებისკენ“ მოუწოდა... 5-6 დეკემბრის ღამით ამერიკელებმა 180 მილიონი ლიტრი(!) ლუდი დალიეს, რამდენი ვისკი და ჯინი დაილია, არავის დაუთვლია.

საბოლოო ჯამში, „ოქროს, მშრალი ათწლეულის“ შედეგები ნაკლებ დამამშვიდებელი აღმოჩნდა.

მილიონობით დოლარი, რომელიც ხაზინაში გადასახადის სახით უნდა მოხვედრილიყო, ბუტლეგერების საკუთრება აღმოჩნდა. ქვეყნაში პოლიციელთა უზარმაზარი არმია გაჩნდა, რომელიც წელიწადში 300 მილიონ დოლარს ნთქავდა, დამნაშავეობა კი უფრო და უფრო იზრდებოდა.

ყველაზე მთავარი საჩუქარი კი, რაც მშრალი კანონის ათწლეულმა ამერიკას მოუტანა, კარგად შედუღაბებული, ბრძოლებში გამოწრთობილი დანაშაულებრივი სამყარო იყო. ქუჩების წვრილ-წვრილი ბანდები, რომლებიც აწყობილ დიდ დაჯგუფებებად იქცნენ, უზარმაზარ ფულს ფლობდნენ და ამ ფულს, ახალ დარგებში – სერიოზულ ლეგალურ ბიზნესში, გართობის ინდუსტრიასა და, რაც მთავარია, პოლიტიკაში აბანდებდნენ. მათ წინ დიდი მომავალი ელოდა.

„მშრალი კანონის“ ეპოქის ორი მთავარი ფიგურა კი, ბედის ირონიის გამო ამქვეყნიდან ერთდროულად წავიდა. ალ კაპონე, კაცი, რომელიც ამ კანონმა ჯერ ოქროთი აავსო და ცოცხალ ლეგენდად აქცია, ბოლოს კი უსახელო აღსასრულამდე მიიყვანა, 1947 წლის 25 იანვარს გარდაიცვალა. კონგრესმენი ენდრიუ უოლსტედი, მე-18 შესწორების ინიციატორი და ამერიკის ისტორიაში ყველაზე დიდი ალიაქოთის ავტორი კი მასზე ერთი კვირით ადრე აღესრულა. ■

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ოფიცრის წოდება; 5. ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზა კუბაში; 7. ინგლისური მცირეგაბარიტიანი ნავსაწინააღმდეგო ტორპედო; 8. გერმანული საბრძოლო ტანკი; 11. ამერიკელი დეტექტიური ჟანრის მწერალი; 12. ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 14. ჯარის ნაწილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ჩააბამენ ბრძოლაში; 16. საჰაერო ბრძოლის ოსტატი; 17. ინდური ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 20. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 21. აშშ-ის ავიაბაზა გრენლანდიაზე; 22. ვინმეზე მონური დამოკიდებულება; 23. ყაჩაღი გურიაში; 28. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულაში და ლულიდან გამოსვლის შემდეგ; 29. „ჰარი-ჰარი" კლასის ფრანგული საავიაციო რაკეტა; 30. საარტილერიო ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს რამდენიმე ქვემეხი; 31. ასე უწოდებდნენ ჰიტლერს; 32. კორეული ავტომობილი. **შვეულად:** 1. ფრთოსანი ცხენი ბერძნულ მითოლოგიაში; 2. რიგითი არტილერისტი, მეზარბაზნე ძვ. რუსეთში; 3. მშვილდით სატყორცნი; 4. სპეციალურად მოწყობილი ადგილი ცხენოსნობაში შეჯიბრებისთვის; 6. ერთ-ერთი პირველი ამერიკული დირიჟაბლი, რომელიც სამხედრო დანიშნულებით გამოიყენეს; 8. აშშ-ის საჰაერო სამხედრო ძალების ავიაბაზა შტატ მენში; 9. წნეხი; 10. მბრუნავ სავაზნიანი ხელის ცეცხლსასროლი იარაღი; 12. რუსული თვითმფრინავის მარკა; 13. საალუმო ფორმის ნაწილი, ბუნიკიანი სამხრე ზონრები; 15. შვეიცარიული საზენიტო საარტილერიო დანადგარი; 18. ამერიკული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი; 19. სოფელი თეთრიწყაროს რაიონში, სადაც 1625 წელს გაიმართა ბრძოლა ქართველთა და სპარსელთა ლაშქარს შორის; 24. ჩინელი მსახიობი, აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი; 25. თურქეთის საჰაერო სამხედრო ძალებისა და ნატოს აეროდრომი ქალაქ იზმირთან; 26. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ფლოტის კატერი; 27. ფრანგული საზენიტო მართული რაკეტა; 28. ამერიკული ქვეითი ჯარების საბრძოლო მანქანა.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხები:* **თარაზულად:** 1. პალადინი; 6. ფორტი; 7. ლოკატორი; 9. სპა; 10. ერლიკონი; 12. კაპიტანი; 14. კირასირი; 17. ბეარი; 19. ამიტი; 20. რანგი; 22. ისარი; 25. ფოკი; 28. ლიმიტი; 29. პოლო; 30. არავა; 31. აგნი; 32. ოსაკა; 33. პენტაგონი; 35. ილი; 36. ოლე; 37. ლიე; 38. ბარბაროსი. **შვეულად:** 1. პილარუსი; 2. ლეკლერკი; 3. იფი; 4. არესი; 5. მირაჟი; 8. რაკეტა; 11. ლუპა; 13. ირა; 14. კორალი; 15. რაპირა; 16. მიტინგი; 17. ბარაკი; 18. ჯიპი; 21. ნაგი; 23. სტორმერი; 24. რიოლიტი; 25. ფლანგი; 26. კანონადა; 27. ირისი; 28. ლაზარეთი; 34. ალია; 36. ონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტური მებრძოლი

## ვაგრძელებთ ვარჯიშთა კომპლექსს ელიტური მებრძოლის მომზადების პროგრამით

### ვარჯიში 1. „ბაყაყი".

დაწექით პირქვე და დაეყრდენით ხელებს ისე, როგორც ხელებზე აზიდვის ვარჯიშის დროს. მკვეთრი მოძრაობით მოიხარეთ ისე, რომ მოხრილი მუხლებით შეეხოთ იდაყვებს. ხელები იატაკს არ მოაცილოთ. შემდეგ ასეთივე მკვეთრი მოძრაობით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ეს შესანიშნავი ვარჯიშია ხელებისა და ფეხებისთვის. ვარჯიში გაიმეორეთ 10-ჯერ.

### ვარჯიში 2. „მოხტუნავე ბაყაყი".

მიიღეთ იგივე საწყისი მდგომარეობა. ისეთივე მკვეთრი მოძრაობით მიიტანეთ მუხლები იდაყვებთან. მაგრამ სანამ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდებით, ფეხებს უბიძგებთ ისე, რომ რაც შეიძლება მაღლა ასწიოთ და იმავდროულად ჰაერში უკან გაშალოთ. ვარჯიში გაიმეორეთ ხუთჯერ.

### ვარჯიში 3. ხტომები

დადექით დაახლოებით 45 სმ სიმაღლის ყუთზე (შეგიძლიათ ისარგებლოთ სკამით). ფეხები დადგით მხრების სიგანეზე. გააკეთეთ ხტომა და ფეხები შეატყუპეთ. შემდეგი ხტომისას ფეხები ისევ დადგით მხრების სიგანეზე. ვარჯიში გაიმეორეთ 10-12-ჯერ. ეს ვარჯიში კარგად ავითარებს კოორდინაციას.

ბოლო ხტომისას შეატყუპეთ ფეხები და ჩამოხტით ყუთიდან ისე, რომ ფეხები მთელ სიგრძეზე მიტყუპებული იყოს.

### ვარჯიში 4. „საფეხურები".

აიღეთ ორი ყუთი, 45 და 90 სმ სიმაღლის. დადგით გვერდიგვერდ (კიბისებურად), მარცხენა ფეხით დადექით დაბალ ყუთზე, მარჯვენათი — მაღალზე. მარცხენა ფეხი მიაცურეთ მარჯვენა ყუთისკენ ისე, რომ დაბალი ყუთის ზედაპირს ფეხი არ მოაშოროთ. შემდეგ გამართეთ მარჯვენა ფეხი და ორივე ფეხით დადექით მაღალ ყუთზე.

ზუსტად ასევე მარცხენა ფეხით ჩამოშვით დაბალ ყუთზე. შემდეგ ჩამოდით იატაკზე. ვარჯიში გაიმეორეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეძლებთ, იმავდროულად შეანაცვლეთ წამყვანი ფეხი. ეს ვარჯიში შესანიშნავად ავითარებს კოორდინაციას.

### ვარჯიში 5. ხტომები მაღლა.

დადექით 56 სმ სიმაღლის ყუთის (სკამის) წინ. აიქნიეთ ხელები და შეხტით ყუთზე (სკამზე) ყუთზე დახტომისას ფეხები ერთმანეთთან კარგად უნდა იყოს მიტყუპებული.

# შხამიანი მწერები და პარაზიტები

თუ გადაწყვიტეთ გახდეთ ელიტური მებრძოლი, ყველაფერთან ერთად უნდა იცოდეთ თავის დაცვა არა მარტო შხამიანი მცენარეებისა და მტაცებელი ცხოველებისგან, არამედ ისეთი სახიფათო „სტუმრებისგან", როგორებიცაა შხამიანი გველები, მწერები (კოღო, ტკიპა, რწყილი, ბზიკი, ფუტკარი, ჭიანჭველა და ა.შ.), ობობები, მორიელები, მრავალფეხები. ველურ ბუნებაში მოხვედრილებს, სადაც თავშესაფრის, წყლისა და საკვების მოძიების შემდეგ თითქოსდა თქვენს სიმშვიდეს აღარაფერი დაარღვევს, სწორედ ასეთმა „სტუმრებმა" შეიძლება საშინელი დისკომფორტი და გაუსაძლისი მდგომარეობა შეგიქმნან. შესაძლოა, მათ თქვენი სიცოცხლეც კი ჩააგდონ საფრთხეში.



მწერები, ტკიპები და რწყილები სისხლისმწოველი პარაზიტები არიან, რომელთაც ინფექციური დაავადებები გადააქვთ — შავი ჭირი, ტიფი და ა.შ. ტკიპები ბალახში ბინადრობენ. ისინი იბუდებენ წყალსატევების ნაპირებში, სადაც ხშირი ბალახი იზრდება. ამიტომ ნუ დაწვებით და ნუ დაჯდებით პირდაპირ მიწაზე. სანამ დაბანაკდებით, შერჩეული ადგილი გაასუფთავეთ, უმჯობესია გადაწვათ. რწყილები მშრალ მტვერში ბუდობენ. კვერცხების დასადებად ისინი კანში ან ფრჩხილში იბუდებენ. ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ უნდა მოიშოროთ დანით ან სკალპელით.

თუ კანზე პარაზიტი მიგეკროთ, წაუსვით მას ვაზელინი, ზეთი ან ხის წვენი, რომ მწერს ჟანგბადის მოწოდება შეუწყდეს. მისი ჩაჭიდება შესუსტდება და ადვილად მოიცილებთ კანიდან. მოცილების შემდეგ ხელები კარგად დაიბანეთ და ჭრილობა ხშირად ჩამოიბანეთ.

თუ ფუტკარმა ან ბზიკმა გიკბინათ, სასწრაფოდ მოიშორეთ ჭრილობიდან ნესტარი და შხამი დანის პირით ან ფრჩხილით. არ გამორწყოთ! შემდეგ ჭრილობა წყლით და საპნით ჩამოიბანეთ და ცივი კომპრესი დაიდეთ.

მწერების კბენის შედეგად წარმოქმნილ გაღიზიანებას და ქავილს მოგიხსნით ცივი კომპრესი, ფერფლში არეული ცივი ტალახი, ბაბუაწვერას წვენი ან ნიორის დანაყილი ფოთლები.

ბევრ უსიამოვნებას მოგაყენებენ კრა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზანები, გარეული ფუტკრები და ჭიანჭველები. ისინი ძალზე მწარედ იკბინებიან. ამიტომ დაბანაკებამდე კარგად შეამოწმეთ გარემო, რათა არ იყოს ჭიანჭველის ბილიკები და ბუდეები. არავითარ შემთხვევაში არ გაიხადოთ ფეხსაცმელი.

მწერების კბენისგან თავის დასაცავად გამოიყენეთ რეპლენტი (დამაფრთხობელი), თუკი მოგეპოვებათ, დაისხურეთ იგი სხეულის ღია ნაწილებზე და მოასხურეთ ტანსაცმელს.

არანაირი საბაბით არ გაიხადოთ ტანსაცმელი, განსაკუთრებით ღამით.

დაიფარეთ ხელ-ფეხი. თუ საშუალება გაქვთ, ჩაიცვით ხელთათმანი, სახეზე ჩამოიფარეთ დოლბანდი.

ძილის დროს გადაიფარეთ კოღოების საწინააღმდეგო ბადე. თუ არ გაქვთ, სახეზე წაისვით თიხის ან ტალახის თხელი ფენა — ეს მწერებს დააფრთხობს.

მორიელებს ძალიან უყვართ ფეხსაცმელში ჩაძრომა. ისინი ჩვეულებრივ, ქვების ან მკვდარი ხის ქერქის ქვეშ ბინადრობენ. ამიტომ ჩაცმის წინ ფეხსაცმელიც, წინდაც და ტანსაცმელით კარგად დაფერთხეთ.

წურბელები, ძირითადად, ტბებში, გუბურებში ბინადრობენ. მათ წყლის მოძრაობა იზიდავს. ხმელეთის წურბელებს სისხლის საოცარი წყურვილი აქვთ; მათ შუქი, მკვეთრი ფერი, სუნი ან ტემპერატურული სხვაობა მოსწონთ. წურბელების ზოგიერთი სახეობა წყაროს, ნაკადულის ან ჭის წყლებში ბინადრობს. ისინი შეიძლება წყლის დალევისას ჩაყლაპოთ ან ნესტოში შეგიძვრეთ, რაც სისხლდენას და სუნთქვის გაძნელებას იწვევს.

წურბელას კბენა მტკივნეული არ არის. როცა ის თავის სამყოფ სისხლს ამოწოვს, თავად მოძვრება კანიდან. მაგრამ თუ ერთდროულად ბევრი წურბელა მოგეკროთ, სასწრაფო ზომებს უნდა მიმართოთ. თუკი თან გაქვთ, დააყარეთ წურბელებს მარილი, დაასხით სპირტი, დაწვით სიგარეტით ან სანთებელას ცეცხლით და ა.შ. ნუ მოიგლეჯთ წურბელას ძალით, მისი „პირი“ შესაძლოა კანში ჩაგრჩეთ, ეს კი კანის გაღიზიანებას გამოიწვევს. ■

# რჩევები შაშხანიდან მსროლელს



თუ იდაყვს, რომელზეც მოდის შაშხანის ძირითადი წონა და მიწის ზედაპირიდან აწეული გულმკერდის წონა, ზედმეტად წასწევთ წინ, შაშხანის ლულა მაღლა აიწევს. თუ ძალიან გასწევთ უკან, ლულა დაიწევს. ამიტომ მსროლელმა თავად უნდა შეარჩიოს ოპტიმალური მდგომარეობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი საყრდენი მარცხენა იდაყვია, მარჯვენა იდაყვი გულმკერდს მარჯვენა მხრიდან აფიქსირებს, მაგრამ მარცხენასთან შედარებით მასზე ორჯერ ნაკლები დატვირთვა მოდის. შაშხანას აკავებს მხოლოდ მარცხენა ხელი და მხარი. ამ პროცესში არავითარ შემთხვევაში არ მონაწილეობს მარჯვენა ხელის მტევანი და წინა მხარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება შაშხანის უკონტროლო მოძრაობას.

თუ მსროლელს იარაღი სწორად აქვს მომარჯვებული და იდაყვი მკაცრად შაშხანის ქვეშ არის მოთავსებული, მსროლელი არ უნდა „გადაგორდეს“ მარჯვნით ან მარცხნივ. ამ დროს მარჯვენა იდაყვი სროლის სიბრტყიდან გარეთ იმყოფება, ანუ კონდახიდან მარჯვნივ და გულმკერდი მას უმნიშვნელოდ ეყრდნობა. თუ მარცხენა იდაყვი მარცხნივ არის გაწეული, კორპუსი (ტანი) მარჯვნივ იხრება და მარჯვენა იდაყვი დიდ დატვირთვას იღებს. ამ შაშხანის დაკავებაში დროს მარჯვენა ხელი ერთვება. ყოველივე ამის შედეგად შაშხანა იწყებს „ცურვას“ ჰორიზონტალურ სიბრტყეში და ტყვიები მარჯვნივ-მარცხნივ იფანტება.

სალულის მიმართ მარცხენა ხელის მტევნის მდებარეობაზეა დამოკიდებული, როგორი საბრძოლო მზადყოფნა (მდებარეობა) ექნება მსროლელს — მაღალი თუ დაბალი. სალულის წინ მოთავსებული მტევანი განაპირობებს დაბალ მზადყოფნას. თუ მდებარეობა ძალზე დაბალია, მხედველობა მალე იღლება. ასეთ მდგომარეობაში მსროლელი აწვება გულ-მკერდს და სუნთქვა ძნელდება. თუ მდებარეობა ძალზე მაღალია, დიდდება სილუეტი. შემხვედრი დაზიანებისთვის მსროლელი ზედმეტად იძაბება და მალე იღლება, ხოლო მარცხენა ხელის კუნთები ზედმეტად იტვირთება და სროლის სიზუსტე უარესდება.

თუ ქამარი ზედმეტად დაჭიმულია, იარაღზე პულსაციის მოქმედება იზრდება — იარაღი იწყებს „ხტუნვას“, სქელ ხელთათმანშიც კი. გარდა ამისა, ხელი იწყებს დაბუჟებას.

თუ ქამარი სუსტად არის დაჭიმული, მსროლელი განიცდის „იარაღის ქვეშ სიცარიელის“ შეგრძნებას. იარაღი მუდმივად ვარდება ამ სიცარიელეში. ამის შედეგად სასხლეტზე გამოკვრის სწორი ჩვევის ჩამოყალიბება ძნელდება.

გამოცდილ მსროლელებს საყრდენიდან სროლას „ქამრიდან“ სროლა ურჩევნიათ. ეს ხერხი ძალზე ეფექტურია მოძრავი, მორბენალი მიზნების დასაზიანებლად. სნაიპერები, რომლებიც „ქამრიდან“ სროლას არიან მიჩვეული, მშვიდ, არამანევრულ ვითარებაშიც ამ ხერხით ისვრიან.

თუმცა იარაღის ასეთ მომარჯვებას თავისი ნაკლიც აქვს — ამაღლებული, აწეული სილუეტი. ამიტომ ისეთ საბრძოლო ვითარებაში, როდესაც აუცილებელია დაბალი მზადყოფნიდან სროლა, შაშხანას დებენ იმაზე, რასაც ნახავენ შემთხვევის ადგილზე.

***მაიორი ზურაბ ხუციშვილი***



ეროვნული ბიბლიოთეკა

# LAND ROVER Discovery-3



ახალი Land Rover Discovery-ს აქვს ყველაფერი, რაც ყველაზე მომთხოვნი ადამიანის დახვეწილ გემოვნებასაც კი დააკმაყოფილებს – სწორი პროპორციები, მკაცრი ლაკონურობა, მემკვიდრეობითი სტილურობა, ორიგინალობა და აბსოლუტური გეომეტრიულობა. განსაკუთრებით მშვენიერია რადიკალური შავი ფერის დისკოვერი ტონირებული მინებით, რომელიც გიგანტური ნაჯახის რამდენიმე დარტყმით გამოთლილ მოზრდილი ლოდის ნატეხს წააგავს...

ყველაფერი კვადრატული ან მართკუთხაა, სრული სურათისთვის უკანა კარზე დაკიდებული სათადარიგო, კვადრატული საბურავიღა აკლია (წინამორბედისგან განსხვავებით, დისკო-3-ზე საბურავი, საბარგულის ფსკერქვეშაა დამალული). დისკო-3-მა თავისი მთავარი განმასხვავებელი დეტალიც შეინარჩუნა – სახურავის უკანა მხარეს ამაღლებული ნაწილი ე.წ. საფეხური, რომლის წყალობითაც უკანა რიგის მგზავრებს სალონში თავს ზემოთ უფრო მეტი სივრცე აქვთ. ამას გარდა, ლეგენდარული მანქანის მესამე თაობის წარმომადგენელს ფანჯრები თავის წინამორბედზე გაცილებით დიდი მოცულობისა აქვს. მანქანის უკანა კარი ახლა ვერტიკალზე, ასიმეტრიულად ორადაა გაყოფილი: მისი ქვედა ნაწილი გარეთ იღება, რაც სატვირთო ფართს ზრდის. ხოლო მეორე, ზედა ნაწილი, რომელიც გაცილებით დიდი მოცულობისაა, ზემოთ იხსნება. ასეთი გადაწყვეტა კი საბარგო განყოფილების რაციონალურად და კომფორტულად მოხმარებას



ამ მანქანას ვერავითარი ლაფი ვერ შეაშინებს, მთავარია, საქარე მინაში გზის კონტური დალანდოთ და გაზს აუჩქარებლად დააწვეთ, დანარჩენს დისკო თავადაც მოახერხებს...


არსენალი
LAND ROVER
Land Rover DISCOVERY







„დისკო-3“ ეფექტურად არა მარტო ტყე-ღრეში გამოიყურება, არამედ — ცივილიზებული ქალაქის „ჯუნგლებშიც“.

უკანა ხედი გათავისუფლდა ტრადიციული სათადარიგო საბურავისგან, რომელიც ახლა საბარგულის ქვეშ არის მოთავსებული...

მანქანის გაყიდვა, რა თქმა უნდა, ბრიტანეთის გარდა, ევროპასა და ამერიკაშიც იგეგმება და ამიტომ არსებობს „მემარჯვენე“ და „მემარცხენე“ ვარიანტები

უწყობს ხელს. ინტერიერის კიდევ ერთ სიახლეს წარმოადგენს მესამე რიგის ფსკერზე ჩაკეცილი სავარძლები, რომელთა მოულოდნელი და მსუბუქი გამოჩენაც მნახველთა გაკვირვებას იწვევს. სალონი შედარებით იაფი მასალებითაა მოპირკეთებული.

2005 წლის ლანდ როვერ დისკოვერის „ტოპ-ვერსიის“ კაპოტქვეშ გათვალისწინებულია 4,4 ლიტრის მოცულობის V8, 300 ძალიანი ძრავა. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 2,7 ლიტრი მოცულობის V6, 190 ცხ.ძ.-იანი ტურბოდიზელის ძრავაც. ბენზინისძრავიანი ვერსია აღჭურვილია გადაცემათა ავტომატური კოლოფით, ხოლო ტურბოდიზელიანი — მექანიკურით. ორივე 6 საფეხურიანია. 2005 წლის ლენდ როვერ დისკოვერიმ



ახალი, ინტეგრირებული ჩარჩო მიიღო. გარდა ამისა, მის ამორტიზაციას უზრუნველყოფს პნევმოსაკიდი და ავტონომიური საკიდი ოთხივე ბორბლისთვის. ამ ელემენტების ურთიერთშერწყმამ ავტომობილის კომფორტი უნდა გაზარდოს და იგი უმაღლეს კლასში გაიყვანოს. როგორც გამომცდელები ამბობენ, პნევმოსაკიდი შეუმჩნევლად ნთქავს გზის ყველა წვრილმან დეფექტს. ხოლო მსხვილმანზე, ადამიანს რომ შევადაროთ, „მსუბუქი სლოკინით“ პასუხობს.

ახალ დისკოს აქვს ჰიპერმგრძნობიარე საჭე — მისი ოდნავი მოძრაობა და მანქანა მიმართულებას რბილად ემორჩილება. მოსახვევში ყველგანმავალი ერთობ მდგრადია და მშვენივრად უხვევს სიჩქარის მომატების დროს. ინგლისელების აზრით, არსებობს გზის მდგომარეობის ხუთი ტიპი, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ, სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. აქედან წარმოიშვა ავტომობილის მოძრაობის ხუთი რეჟიმი. კომპანიის ინჟინრებმა 2005 წლის „ლენდ როვერ დისკოვერი“ აღჭურვეს ახალი საგანგებო სისტემით, რომელიც საშუალებას იძლევა ნებისმიერ დროს შეირჩეს ისეთი რეჟიმი, რომლის დროსაც ავტომობილის ძრავი და ყველა დანარჩენი დეტალი, ურთიერთშეთანხმებით, ერთ მიზანს დაექვემდებარება. მისი წინამორბედი 1989 წლის მოდელი, ავტომობილი ლეგენდა, წმინდა ყველგანმავალი იყო, რომელმაც ერთხელ და სამუდამოდ შექმნა როვერების განვითარების იმიჯი. იმიჯი და არა ტონი, რადგან ის ავტომობილი, რომელიც დღეს არსებობს, სულ სხვა, ყველაზე უკეთესი, ყველაზე მოხერხებული და ჭკვიანი, ყველაზე მრავალფუნქციური და მრავალმხრივია.






„დისკოვერი“ თოვლიან სტეპშიც და უდაბნოს ქვიშებშიც იპოვის გამოსავალს





ეროვნული ბიბლიოთეკა

n 10/27

# ბრაზილიური „გაცოფებული ხარი“

## აქ რა ქნა და იქ რას იზამდა?!

## ფრთხილად! გასროლისას შეიძლება ხელი მოგტეხოთ

„არსენალის” მიერ გამოცდილი ცეცხლსასროლი იარაღის კოლექციაში მართლაც რომ უიშვიათესი ეგზემპლარი მოხვდა – ბრაზილიური მსხვილკალიბრიანი რევოლვერი **Taurus**-ის **Raging Bull** ანუ „გაცოფებული ხარი”.



**Raging Bull-იდან გასროლისას ძლიერმა უკუდარტყმამ შეიძლება ხელი მოგტეხოთ...**



ძნელი წარმოსადგენი არ იქნება, თუ რა საშიშია ხარის გაცოფება, მაგრამ, გინდ დაიჯერეთ და გინდა არა, ბრაზილიელების რევოლვერის ერთმა, მაქსიმუმ ორმა გასროლამ, ეს ხარი შეიძლება სამუდამოდ „დააწყნაროს“.

ბრაზილიური „გაცოფებული ხარის“ მოძიება საქართველოში იარაღის მაღაზიებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია. „არსენალს“ უბრალოდ ბედმა გაუღიმა და შემთხვევის წყალობით გამოსცადა თბილისში კერძო პირის მიერ ჩამოტანილი ეს საკმაოდ იშვიათი რევოლვერი.

ვისაც Colt Anaconda ან Smith and Wesson G29-ის Classic PX მოდელი ან სულაც Colt Python 357-ის ტიპის რევოლვერი უნახავს და, მით უმეტეს, უსვრია, ბრაზილიური „გაცოფებული ხარის“ გასროლისას სულ სხვა, უდიდეს შეგრძნებას, ანდა დაზიანებულ ხელს მიიღებს.

რევოლვერის ინსტრუქციაში დაუფარავად წერია – გასროლისას წარმოქმნილ უკუდარტყმას შეუძლია სახსრიდან ამოუგ-




ოპტიკური სამიზნე შესამჩნევად აადვილებს ნადირობას ამაზონის ჯუნგლებსა და აფრიკულ სავანებში, მაგრამ ისედაც მძიმე ხარი ორმაგად უფრო დიდ ტვირთად იქცევა



სურვილის მიხედვით „ჯიბის ჰაუბიცას" ლულასაც უმოკლებენ

დოს ხელი მსროლელს, ხოლო დახურულ ტირში ჯობს, „გაცოფებული ხარი" არ გამოსცადოთ, თორემ თქვენს ყურებს კარგი დღე არ დაადგება, გინდ ყურსაცვამები გეკეთოთ.

„გაცოფებული ხარის" ბარაბანში ხუთი ცალი მძლავრი – .454 CASULL-ან .45 LONG COLT-ის ტიპის ვაზნა ექცევა. ამ ტყვიების მოხვედრას შეუძლია წააქციოს დიდი დათვი და კამეჩი, უკეთეს დღეში არც სპილოს ჩააგდებს.

ფაქტობრივად, ბრაზილიური „გაცოფებული ხარი" სანადირო რევოლვერის კლასს მიეკუთვნება და მდიდარნი ამა ქვეყნისა ამაზონიის ჯუნგლებში „გაცოფებულ ხარის" გარეშე იშვიათად დადიან. ბრაზილიური რევოლვერი ვიზუალურად ძალიან გრძელი ლულით გამოირჩევა. თავად განსაჯეთ, რევოლვერის მთლიანი სიგრძე 36,2 სმ-ია, საიდანაც ლულაზე 21,4 სმ მოდის.

გარდა ძირითადი მოდელისა, მცირე პარტიით იწარმოება „გაცოფებული ხარის" მოკლე ვარიანტიც, რომლის ლულა 16 სმ-მდეა დამოკლებული.

„გაცოფებული ხარი" ვაზნების გარეშე 1,8 კგ-მდე იწონის, დამოკლებული მოდიფიკაცია კი 1,6 კგ-მდე.

რევოლვერს უყენდება ოპტიკური სამიზნე ნადირობის გასაადვილებლად, რის გამოც საერთო წონა შესამჩნევად იზრდება, თუმცა ეს უკეთესიცაა, რადგან ძლიერი ვაზნის გამოყენებისას ჯობს, იარალი მეტს იწონიდეს, რათა უკუდარტყმის ძალა შემცირდეს.

სხვანაირად ბრაზილიურ „გაცოფებულ ხარს" „ჯიბის ჰაუბიცასაც" უწოდებენ და არც ცდებიან, რადგან გასროლის ხმა მართლაც რომ დამთრგუნველია.

და ერთიც, როგორც წესი, „არსენალის" ამ რუბრიკაში დაბეჭდილ სურათებზე გამოსახულ მშვენიერ მოდელებს საშუალებას ვაძლევთ თავად ისროლონ გამოსაცდელი იარალიდან. ჩვენი ამ ნომრის მოდელი გოგონა კი ნამდვილად ვერ გავიმეტეთ ბრაზილიური „გაცოფებული ხარის" უკუდარტყმისთვის.

*ირაკლი ალადაშვილი*



„გაცოფებული ხარის" ბარაბანში ხუთი მსხვილკალიბრიანი ვაზნა ეტევა...

*მადლობას ვუცხადებთ ცეცხლსასროლი იარაღის მაღაზია-სალონ „17/21"-ს (სანაპიროს ქ.№2) რევოლვერის გამოცდაში გაწეული დახმარებისთვის. ფოტოზე – სააგენტო „შარმის" მოდელი ნათია ფარულავა*


არსენალი
454 CASULL
RAGING BULL
Taurus
RAGING BULL